პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა ლიხი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

სამშაბათი, 15 ოქტომბერი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 238 (2584)

დღიური

- „საბჭოთა ქვეყანა" მიფრინდა სიეტლში.
- ვარშავის მელითონეები გაფიცვისათვის ემზადებიან.
- ამერიკის კომპარტიის ცეკას პლენუმი.
- მდგომარეობა ავღანისტანში. — ბაჩე-საკაოს ჯარი ალყა შემორტყმულია.
- გაიხსნა ლიუცერნის სასპორტო ინტერნაციონალის კონგრესი.
- რევოლიუციონურ ლიტერატურის საერთაშორისო ბიუროს დელეგაცია თბილისში.

ხუთშაბათს, 1929 წ. ოქტომბრის 17-ს, საღამოს 7 საათზე, საქ. ს.ს.რ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში (სასახლე, ოთახი № 9), **დანიშნულია** დასავლეთ საქართველოსა, აფხაზეთსა, აჭარისტანსა და სამხრეთ-ოსეთში მომხდარ **სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან მებრძოლ კომიტეტის პირველი სხდომა.**

კომიტეტის წევრების დასწრება სავალდებულოა.

საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

საქართველოს ინდუსტრიალიზაციის კერა

საკავშირო კომუნისტური პარტიის ძირითადი ლოზუნგი სამეურნეო აღმშენებლობაში — საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია —საქართველოს სინამდვილეშიაც ფართო პრაქტიკულ გამოხატულებას პოულობს. უკანასკნელი თითქმის ერთი ათეული წლის განმავლობაში ძველი, ეკონომიურად დაჩიავებული საქართველო გამაღლებული ნაბიჯით მიდის წინ სამრეწველო აღმშენებლობის გზით.

ქვეყნის ახალ ბატონ-პატრონთა —მუშებისა და გლეხების დაუშრეტელ შემოქმედებითი ენერგიამ აამოძრავა საუკუნეებით დამუნჯებული ბუნებრივი სიმდიდრენი. ჩვენი პირობები პოხიერ ნიადაგს ქმნის მრეწველობის განვითარებისათვის. არის ნედლეული, სათბობი მასალა, მადნეული და თავისუფალი მუშა ხელი. ყოველივე ეს იმის საწინდარია, რომ სამრეწველო მშენებლობას საქართველოში საუკეთესო მომავალი აქვს. საჭირო იყო მხოლოდ ამ პირობების მაქსიმალური მიზანშეწონილობით გამოყენება, საჭირო იყო ქვეყნის მატერიალურ შესაძლებლობის გაძლიერებული მობილიზაცია, რომ ეკონომიურად ჩამორჩენილი საქართველო ინდუსტრიალურად გარდაქმნის გზაზე შემდგარიყო. ეს კი შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, მხოლოდ მაშინ, როცა ჯერ მეფის დამქაშების და შემდეგ მენშევიკების სატრაპების მიერ დამონებულ-დაძაბუნებული საქართველო მუშურ-გლეხურ თავისუფალ ქვეყნად გადაიქცა.

ამის ერთერთი საუკეთესო მაჩვენებელია ის მდგომარეობა, რომელიც ჩვენ დღეს გვაქვს მარგანეცის მრეწველობის დარგში. ჭიათურა თავის საქვეყნოდ ცნობილ საუკეთესო ხარისხის მადნით წარმოადგენს საქართველოს ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთ მთავარ ქვა-კუთხედს. ამ მიმართულებით უკვე სწარმოებს გამაღლებული მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ ჭიათურის მაღაროები აოხრებულ-გაპარტახებული დასტოვა კონცესიონერმა, ჩვენ შედარებით მოკლე დროის განმავლობაში შევსძელით საკუთარი ძალებით მდგომარეობის იმდენად გამოსწორება, რომ მნიშვნელოვნად გაფართოებულიყო მუშაობა მაღაროებში და სათანადოთ გაზრდილიყო მარგანეცის ექსპორტი. გასულ წელს ამოღებულ იქნა 1.230.072 ტონა ქვა, მუშა ხელის რაოდენობა კი 750 კაციდან 9.500 კაცამდე გაიზარდა. ჭიათურის შავი ქვა ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით კვლავ იპყრობს უცხოეთის ბაზარზე თავის პოზიციებს, რომელიც მან დაჰკარგა ჯერ იმპერიალისტური ომის, ხოლო შემდეგ კონცესიონერის უხეირო მუშაობის წყალობით.

მაგრამ მარგანეცის ექსპორტის დღევანდელი მდგომარეობა ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს. მთელი ჩვენი ყურადღება იქითკენ უნდა იქნას მიმართული, რომ ჭიათურის შავმა ქვამ უპირატესი ადგილი დაიკავოს მსოფლიო ბაზარზე. ამისათვის კი საჭიროა მთელ რიგ საფუძვლიან ტეხნიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა ჩატარება. დღევანდელ პირობებში, როცა მაღაროების ექსპლოატაცია შეუდარებლად დაბალ ტეხნიკურ დონეზე დგას, მოკლებული ვართ საშუალებას მარგანეცის საქმე დავაყენოთ იმ სიმაღლეზე, რომელიც მას თავის მნიშვნელობით უნდა ეკავოს ჩვენს ეკონომიკაში. ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ ხუთწლიან სამეურნეო გეგმაში მარგანეცის მრეწველობას საპატიო ადგილი უნდა დაეჭირა და ასედაც არის. თვით ის ფაქტი, რომ ჭიათურის ქვის ექსპლოატაციის გაუმჯობესება-გაფართოებისათვის ხუთწლიანი გეგმა კაპიტალურ დაბანდებაზე ითვალისწინებს 34.190.000 მანეთს, უკვე აშკარად მოწმობს, თუ რა ფართოდ და აქტუალურად სდგას ჩვენს წინაშე ეს ამოცანა.

უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში ჭიათურა თავისი ტეხნიკურ მოწყობილობით და შრომის ორგანიზაციით უნდა გადაიქცეს ერთ-ერთ პირველხარისხოვან მაღაროდ მთელ საბჭოთა კავშირში. უნდა განიდევნოს შრომის ყველა ის პრიმიტიული ფორმები, რომელთაც დღეს თვალსაჩინო ადგილი უკავიათ შავი ქვის წარმოებაში. მექანიზაცია უნდა შეეხოს მარგანეცის მრეწველობის ყველა დარგს. ამასთანავე ადგილობრივ ჩატარდება უდიდესი მუშაობა კომუნალურ მეურნეობის სათანადოთ განვითარებისათვის საჭიროა შეიქმნეს ყველა პირობები იმისათვის, რომ მუშა-ხელი უზრუნველყოფილ იქნას შესაფერი ბინით, წყალით, განათებით და კულტურულ-გონივრულ დასვენების საშუალებებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარგანეცის მრეწველობის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფერო-მარგანეცის ქარხნის აგების საკითხს. ჩვენი მიზანია არა მარტო ის, რომ გავაფართოოთ და გავაუმჯობესოთ შავი ქვის ამოღება, არამედ ამასთანავე უნდა ვიზრუნოთ იმაზედაც, რათა ნედლეული ადგილობრივადვე გადამუშავდეს, რომ შეიძლებოდეს მისი პირდაპირ გამოყენება მრეწველობაში. ფერო-მარგანეცის ქარხანა, რომელიც უკვე შენდება, ყოველწლიურად გადაამუშავებს 150.000 ტონა შავ ქვას.

ძნელია აქედანვე იმის გათვალისწინება, თუ რა უდიდესი ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნისათვის ჭიათურის მაღაროების რეკონსტრუქციას დასახულ ხუთწლიანი გეგმის მიხედვით. მიუხედავად ფინანსიურ ხელმოკლეობისა, ხელისუფლება მზად არის უზრუნველყოს მატერიალურად მარგანეცის მრეწველობის განვითარება, მაგრამ მარტო ეს არ კმარა, ამასთანავე საჭიროა მშრომელი მასების აქტიურად ჩაბმა ამ საქმეში. საჭიროა ყველა გაიმსჭვალოს დასმულ ამოცანების მნიშვნელობათა სიდიადით. მარგანეცის მრეწველობა უნდა გადაიქცეს ჩვენი ყოველდღიური მზრუნველობის ერთ-ერთ მთავარ საგნად. ჭიათურა უნდა გადაიქცეს მოწინავე პოზიციად საქართველოს ინდუსტრიალიზაციის საქმეში.

საზოგადოება თვითმოქმედების საფუძველზე

(საზ. „წერა-კითხვა"-ს ყრილობის გამო)

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილებაში („კომუნისტი" № 232), რომელშიც ჩამოთვლილია პრაქტიკული ღონისძიებანი წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის, სხვათა შორის, ნათქვამია: „წინადადება მიეცეს „წერა-კითხვა"-ს საზოგადოებას —წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ირგვლივ შემოკრიბოს ფართო საზოგადოებრიობა, ძირითად ამოცანად დაისახოს საზოგადოების გადაქცევა ნამდვილ მასიურ ორგანიზაციად და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა დარაზმოს ამ საქმის გარშემო".

ჩვენში მომქმედ ნებაყოფლობით საზოგადოებათა შორის „წერა-კითხვა"-ს იმ უაღრესი მნიშვნელობის ამოცანების გამო, რომლებიც მას ეკისრება, ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს. მისი როლი განსაკუთრებით იზრდება დღევანდელ პირობებში, როცა, მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და ფართე სოციალისტურ მშენებლობასთან ერთად. ჩვენს წინაშე პრაქტიკულად დგას კულტურული რევოლიუციის საკითხი. ამ საკითხის გადაჭრაში მან უთუოდ თვალსაჩინო როლი უნდა შეასრულოს.

წარსულ მუშაობაში საზ. „წერა-კითხვა"-ს ზოგიერთი მიღწევა უდავოდ აქვს, მაგრამ ეს ოდნავადაც არ არის საკმარისი. თუ ჩვენ ერთი მხრით გავითვალისწინებთ ჩვენი პარტიის მეექვსე ყრილობის გადაწყვეტილებას, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია საქართველოში უნდა ჩატარდეს სამი წლის განმავლობაში, ხოლო მეორე მხრით — იმ გარემოებას, რომ ჩვენში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი მეტად დიდ პროცენტს შეადგენს, — ცხადი იქნება ის რთული და საპასუხისმგებლო მოვალეობა, რომელიც სახელმწიფოსა და სხვადასხვა სათანადო ორგანიზაციებთან ერთად აწევს „წერა-კითხვა"-ს ხსენებულ დირექტივის განხორციელების დარგში.

სახელმწიფო, რა თქმა უნდა, ყოველგვარ ღონისძიებას ღებულობს და მიიღებს მოსახლეობის კულტურული დონის ასამაღლებლად. მაგრამ ის ფინანსიურად ჯერ კიდევ არ არის იმდენად ზურგმომაგრებული, რომ მარტო თავისი საშუალებებით საქმეს გაწვდეს. აქ საჭიროა მშრომელთა მთელი საზოგადოებრივობის ამოძრავება. და ამაში უნდა გამოიჩინონ თავისი უნარი საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, როგორიცაა პროფკავშირები, კოოპერაცია, „წერა-კითხვა" და სხ.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ საქმიანობა ჯერ კიდევ სრულებით არ არის გაშლილი სათანადო მასშტაბით და ტემპით. ნამდვილად რო ითქვას, სერიოზული და სისტემატიური მუშაობა თითქმის ახლა იწყება. მართლაც, რა გაკეთდა დღემდე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის პოპულიარიზაციისათვის ფართო მოსახლეობაში და ამ საქმეში მასების ჩაბმისათვის? — შეუდარებლად იმაზე ნაკლები, რაც შესაძლებელი იყო. ჩამორჩენილ მასებს ჯერ კიდევ საფუძვლიანად ვერ შეუგნიათ წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის მთელი აუცილებლობა. განა ახლაც ცოტას შევხვდებით ისეთებს, უმთავრესად სოფლად, რომელნიც ამბობენ: დღემდე არ ვიცოდით წერა-კითხვა და ასე „იოლად" გავდიოდით ფონს და აწიც როგორმე გავატარებთ სიცოცხლესო. ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია. განა მტკიცება უნდა, რომ საბჭოთა წყობილება გულისხმობს თვითეული მუშის და მშრომელ გლეხის, მთელი მასის აქტიურ ჩაბმას როგორც მართვა-გამგეობასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისე სამეურნეო მშენებლობაში, ქვეყნის ეკონომიკის გარდაქმნაში სოციალისტურ საფუძველზე. მაგრამ ამისათვის ელემენტარულ პირობას ხომ წერა-კითხვის ცოდნა წარმოადგენს, საერთოდ მასების კულტურული გათვითცნობიერება. ამის გარეშე უაღრესად ფერხდება სოციალისტური მშენებლობა და მასების კეთილდღეობის აწევა. ყოველივე ეს ნათელი უნდა გახდეს მუშათა და გლეხთა მასებისათვის, რომელნიც უნდა დავრაზმოთ წარსულის ამ ბნელ მემკვიდრეობასთან — წერა-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველად. ამ დარგში სხვადასხვა ორგანიზაციებმა, მათ შორის პირველ ყოვლისა „წერა-კითხვა"-მ, გაცილებით მეტი ენერგია უნდა გამოიჩინოს, ვიდრე ამას აქამდე ჰქონდა ადგილი.

„წერა-კითხვა"-მ ჯერ კიდევ ვერ შესძლო თავის ქსელის ფართედ გაშლა და მშრომელი მოსახლეობის საკმაო რიცხვის მოზიდვა; მის გარეშე უამრავი ხალხია დარჩენილი. მისი ყურადღება იქეთკენ უნდა იყოს მიქცეული, რომ ყოველი მუშა და გლეხი, ყოველი მშრომელი გახადოს ამ საზოგადოების წევრი. გახდეს არა პასიური წევრი, რომელიც მხოლოდ სიაში ირიცხება, არამედ აქტიური ძალა, რომელიც ცხოველად ჩაებმება მუშაობაში. ამით გაიზრდება არა მარტო მატერიალური საშუალებები, რაც ასე საჭიროა წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად, არამედ მომზადდება სხვა ხელსაყრელი პირობებიც მიზნის მისაღწევად. ისე უნდა მოეწყოს მდგომარეობა, იმგვარი საზოგადოებრივი ატმოსფერა უნდა შეიქმნას, რომ თვითეული უცოდინარი გრძნობდეს წერა-კითხვის შეძენის აუცილებლობას და ხალისით კიდებდეს ხელს ამ საქმეს. ამავე დროს ფართოდ უნდა გაიშალოს კულტურულ ძალების ჩაბმა უცოდინარობის ლიკვიდაციაში. საზ. „წერა-კითხვა"-ს თვითეულ მცოდნე წევრს უნდა დაეკისროს რამოდენიმე უცოდინარ წევრს წერა-კითხვა შეასწავლოს. ამ მიმართულებით უნდა მოეწყოს შეჯიბრება „წერა-კითხვა"-ს წევრებ შორის, მის ცალკე უჯრედებს შორის, რაც უეჭველად დიდ ეფექტს მოგვცემს.

თავის თავად ცხადია, რომ „წერა-კითხვა"-მ თავისი მუშაობა უნდა შეუთანხმოს სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს. საქმიანობა უნდა წარიმართოს მტკიცე და მთლიანი გეგმის მიხედვით. აქამდე იმ ორგანოთა შორის, რომელნიც მიზნად ისახავენ წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრას, შესამჩნევი იყო განცალკევებული და უგეგმო მოქმედება, რასაც საგრძნობლად მიეწერება ის შედარებით ნაკლები შედეგები, რომლებიც ამ დარგში გვაქვს. მომავლისათვის მაინც ამას ბოლო უნდა მოეღოს.

საზოგადოება „წერა-კითხვა"-ს სრულიად საქართველოს ყრილობა, რომელიც დღეს იხსნება, გამოიმუშავებს კონკრეტულ ღონისძიებებს თავის მუშაობის გადასახალისებლად, რათა უცოდინარობასთან მებრძოლთა მოწინავე რიგებში ჩადგეს და დასახულ ამოცანების ირგვლივ მოახდინოს საბჭოთა საზოგადოებრივობის მობილიზაცია. ამ მხრივ უნდა გაცხოველდეს პრაქტიკული მუშაობა ადგილებზე. ამისათვის პირველყოვლისა აუცილებელია პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება ყველა იმ ორგანიზაციებზე, რომელნიც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის მუშაობენ, მათ შორის საზ. „წერა-კითხვა"-ს ადგილობრივ უჯრედებზე. სისტემატიურად უნდა ხდებოდეს იმის შემოწმება, თუ როგორ ასრულებენ ისინი პარტიის გადაწყვეტილებებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში.

საბჭოთა მთავრობის ახალი გაფრთხილება ჩინელ ბანდიტებს

საკავშირო მთავრობა აცხადებს, რომ იგი მომავალშიაც მიიღებს ყველა საჭირო ზომას მშვიდობიანობის დასაცავად ჩინეთ-საბჭოთა საზღვარზე

გრძელდება ჩინელ და თეთრგვარდიელ ბანდების თავდასხმა მშვიდობიან საბჭოთა მოქალაქეებზე

საგარეო საქმეთა კომისარიატის განცხადება

ნანკინისა და მუკდენის მთავრობების მიმართ

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა გერმანიის საელჩოს გადასცა ქვემოდ მოყვანილი განცხადება და სთხოვა—გადასცეს იგი ნანკინის და მუკდენის მთავრობებს:

„მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო მთავრობამ მრავალჯერ გააფრთხილა ჩინეთის ხელისუფლება და მრავალი პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ არ სწყდება სროლა და თავდასხმა საბჭოთა ტერიტორიაზე ჩინეთის ჯარის ნაწილებისა და ჩინეთის ხელისუფლების მიერ მოწყობილ თეთრგვარდიელთა ბანდების მხრივ, სროლა და თავდასხმა კვლავ გრძელდება. ამ სროლამ და თავდასხმამ მწვავე, სისტემატიური ხასიათი მიიღო მდინარე ამურის რაიონში, განსაკუთრებით კი სუნგარის შესართავთან. მდინარე სუნგარის შესართავთან და მდინარე ამურის ნაპირზე დაბანაკებული ჩინეთის ჯარი ოქტომბრის დასაწყისიდან ყოველ დღე რამდენჯერმე უშენს ტყვიას მშვიდობიან მოსახლეობას — მეთევზეებს მდინარე ამურის საბჭოთა მხარეზე, აგრეთვე მიმავალ სავაჭრო გემებს, და ამით არღვევს ნორმალურ მიმოსვლას მდინარე ამურზე. იმავე ხნის განმავლობაში გახშირდა თეთრგვარდიელთა ბანდების გადმოსვლა ჩვენს ტერიტორიაზე, რასაც აშკარად უწყობენ ხელს ჩინეთის ჯარი და ჩინური გემები. საბჭოთა მოდარაჯე კატერებმა არა ერთხელ აღმოაჩინეს მდინარეში საბჭოთა ნაპირებთან მცურავი ნაღმები. ეს ნაღმები ჩინეთის ჯარმა გამოუშვა ალბად სუნგარის შესართავის რაიონიდან. ჩვენ იძულებულნი ვხდებოდით ამოგველო წყალიდან ეს ნაღმები ამ მოგვესპო. 10 ოქტომბერს მცურავი ნაღმები აღმოჩენილ იქნა მიხაილოვო-სემენოვის რაიონში, მოდარაჯე გემების სადგომების მახლობლად, და მხოლოდ საბჭოთა მოდარაჯე გემების სიფხიზლით იქნა აცილებული თავიდან კატასტროფა და შესაძლებელი გახდა ნაღმების დროზე მოსპობა. 11 ოქტომბერს საბჭოთა მოდარაჯე გემებს და მცველ რაზმს ტყვიები დაუშინეს სუნგარის შესართავის რაიონის ჩინელთა თხრილებიდან. ბოლოს, 12 ოქტომბერს, განთიადისას საბჭოთა სავაჭრო გემების ქარავანს, რომელიც მდინარე ამურით მიდიოდა მდინარე სუნგარის მახლობლად, ტყვიისმფრქვეველები და ზარბაზნები დაუშინეს ჩინეთის ნაპირიდან. ქარავნის ზოგიერთი გემი დაზიანდა, ხოლო ქარავნის ეკიპაჟში არიან დაჭრილნი და მოკლულნი. საბჭოთა სამხედრო ფლოტილია, რომელიც გემების ქარავანს მისდევდა, იძულებული გახდა საპასუხო სროლა აეტეხა ჩინეთის თხრილებისა და ჩინეთის სამხედრო გემებისათვის. მაგრამ სროლა ჩინელების მხრივ შესწყდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ჩვენმა ფლოტილიამ და ჯარის ნაწილებმა მიიღეს უფრო გადამჭრელი ზომები, რამაც ჩინეთის და თეთრგვარდიელების ნაწილები აიძულა შეეწყვიტათ ტყვიების დაშენა საბჭოთა გემებისათვის და თავდასხმა აღნიშნული სანაპირო რაიონის მშვიდობიან მოსახლეობაზე.

საკავშირო მთავრობა სასტიკ პროტესტს აცხადებს პროვოკაციული თავდასხმებისა და სროლის წინააღმდეგ, რასაც კვლავ განაგრძობენ ჩინეთის ჯარი და მათ მიერ მოწყობილი თეთრგვარდიელთა ბანდები. **საკავშირო მთავრობა აცხადებს, რომ იგი მომავალშიაც მიიღებს ყველა საჭირო ზომებს მშვიდობიანობის დასაცავად ჩინეთ-საბჭოთა საზღვარზე და სანაპირო რაიონების საბჭოთა მოსახლეობის მშვიდობიანი შრომის უზრუნველსაყოფად**".

თეთრგვარდიელთა ბანდების თავდასხმა საბჭოთა ტერიტორიაზე

ხაბაროვსკი, 13 ოქტომბერი. 10 ოქტომბერს განთიადისას თეთრგვარდიელთა ბანდა (ბევრი თეთრგვარდიელი ჩინელთა სამხედრო ფორმაში იყო გამოწყობილი) ლახასუსის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, ლახასუსიდან 40 კილომეტრის მანძილზე, თავს დაესხა სოფელ ვოსკრესენსკოეს, აიკლო სასოფლო საბჭო, მოჰკლა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, აგრეთვე კომკავშირის უჯრედის მდივანი, გაძარცვა გლეხები და გაიტაცა მეთევზეთა ნავები. როცა თეთრგვარდიელთა ბანდა უკან დაბრუნებისას მდინარეს გადადიოდა, ჩინეთის მხრიდან ტყვიას უშენდნენ სოფელს.

2 ოქტომბერს თეთრების ბანდა ბირას სადგურზე, 120 კილომეტრის მანძილზე ჩინეთის საზღვრიდან, თავს დაესხა ხაბაროვსკში მიმავალ საქონლის მატარებელს. მატარებლის მცველი რაზმის მიერ საპასუხო სროლის შემდეგ თეთრები დაიმალნენ. დაიჭრა წითელარმიელი, აგრეთვე რკინის გზელი.

8 ოქტომბერს თეთრების ბანდა, რომელშიაც ჩინელებიც იყვნენ, თავს დაესხა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას ნადეჟდინსკში, 40 კილომეტრის მანძილზე სუნგარის შესართავიდან, მის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, გადასჭრა მავთულები, გაიტაცა აპარატები და ფული.

2 ოქტომბერს ვოსხმე ბალაგანოვის მხრიდან ბიჯანის შესართავის პირდაპირ, ლეხასუსის დასავლეთით, ტყვიები დაუშინეს მეთევზეთა ნავებს.

6 ოქტომბერს სუნგარის შესართავთან ტყვიები დაუშინეს ჩვენს კატერს და რამდენიმე ნავს. დასჭრეს მეთევზეები.

4 ოქტომბერს ეკატერინო-ნიკოლსკოეს რაიონში, 100 კილომეტრის მანძილზე სუნგარის შესართავიდან, ტყვიები დაუშინეს ნავს, რომელიც დატვირთული იყო ნავგომვის კოოპერატივის საქონლით.

22 სექტემბრიდან 6 ოქტომბრამდე ლიგინის სიმაგრეების მხრიდან, 40 კილომეტრის მანძილზე ხაბაროვსკიდან, მის დასავლეთით, თოფებსა და ტყვიამფრქვეველებს ესროდნენ ჩვენს კატერს.

ამ განუწყვეტელი სროლის, მდ. სუნგარის შესართავის დანაღმვის და მდ. ამურში მცურავი ნაღმების გამოჩენის გამო მიმოსვლა მდ. ამურზე ბოლო დროს შესწყდა.

დანამდვილებით გამოირკვა, რომ სუნგარის შესართავის რაიონში, ჩვენს ტერიტორიაზე თავდასხმების დროს, მოქმედებს სემიონოვის ოფიცრის პრესტოულოვის ბანდა. მოქმედებენ აგრეთვე სხვა პატარა ბანდები. ამ ბანდებს იარაღს, ტყვიებს, ტანისამოსს და ფულს აწვდის გირინის მე-9 ბრიგადის შტაბი.

ჩინეთის სარდლობა 400 ქვეითი ჯარისკაცისა და 60 არტილერისტისაგან აწყობს რაზმს ჩვენს ტერიტორიაზე გადმოსასვლელად. (ადს).

სუმბეის ბანაკში დაპატიმრებულნი მძიმე პირობებში იმყოფებიან

ნიუ-იორკი, 13 ოქტომბერი. ვაშინგტონში ხარბინიდან მიიღეს ცნობები იმის შესახებ, რომ სუმბეის ბანაკში დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქენი მძიმე ანტისანიტარულ პირობებში იმყოფებიან და სველ და ცივ სადგომებში სცხოვრობენ.

მას შემდეგ, რაც ბანაკი ამერიკელებმა და იაპონელებმა ინახულეს და დაპატიმრებულებმა მათ საჩივრებით მიმართეს, ჩინეთის ხელისუფლებამ დაპატიმრებულთ აღუთქვა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მაგრამ ამ მხრივ დღემდე მას არაფერი გაუკეთებია. (ადს).

ნანკინი განაგრძობს პროვოკაციას

შანხაი, 13 ოქტომბერი. მოსკოვის მიერ უარყოფის მიუხედავად, ნანკინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კვლავ განაცხადა, ვითომ ჩინეთის ბერლინელი ელჩის, ჩან ძოპინისაგან მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ მიღწეულ იქნა წარმატება მოსკოვთან მოლაპარაკებაში და რომ მოსკოვი „თანდათან კომპრომისის გზაზე ადგება"-ო. (ადს).

კოსტს მოლაპარაკება აქვს თავისი აეროპლანის გაყიდვის შესახებ

ტოკიო, 13 ოქტომბერი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, მფრინავ კოსტს მოლაპარაკება აქვს მუკდენის ხელისუფლებასთან თავისი აეროპლანის მიყიდვის შესახებ. წარსულ კვირას მუკდენელებმა იყიდეს ერთი ფრანგული აეროპლანი. სხვადასხვა ცნობებით მტკიცდება, რომ მუკდენის სამხედრო ავიაციას და ზოგიერთ ფრანგ ინსტრუქტორებს შორის კონტაქტი არსებობს. მუკდენის ხელისუფლების სათანადო ღონისძიებებს ფინანსებს აწვდიან საფრანგეთ-აზიის ბანკის განყოფილება, რომელიც მუკდენში გაიხსნა. ეს ბანკი ნაწილობრივ რუსეთ-აზიის ბანკის მემკვიდრეა. (ადს).

საფრანგეთის პრესა უარჰყოფს

პარიზი, 13 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო ოფიციალურად უარჰყოფს ხმებს იმის შესახებ, რომ მფრინავ კოსტის განზრახვა აქვს თავისი აეროპლანი ჩინეთს მიჰყიდოს.

სამოქალაქო ომი ჩინეთში

ფინ-იუი-სიანის არმიის გამოსვლა ნანკინის წინააღმდეგ

პეიპინი, 13 ოქტომბერი. მართლდება ცნობები ნანკინის წინააღმდეგ ფინ-იუი-სიანის გამოსვლის შესახებ. ნანკინში იმედი აქვთ, რომ ენ სი-შანი მომავალ ბრძოლაში ნეიტრალიტეტს დაიცავს. ჩან სიუე-ლიანის და ჩან-კაი-შის წარმომადგენლები ენ-სი-შანთან გაემგზავრნენ. ნანკინის მთავრობა ორი დივიზიის მობილიზაციას ახდენს ფინ იუი-სიანის აჯანყებული ნაწილების წინააღმდეგ. ამ დივიზიებს მეთაურობას გაუწევს სიუ იუან-ჩანი. ტან შენ-ჩიმ თავისი ჯარის დასახმარებლად ლოიანის რაიონში ორი აეროპლანი გაგზავნა. ტან შენ-ჩის ჯარმა ფინ-იუი-სიანის ჯარს ხელი უნდა შეუშალოს, რომ იგი ხუბეისა და ხენანში არ შეიჭრას.

გოვენის სააგენტო იუწყება, რა ამას, აცხადებს, რომ ტან შენ-ჩის პოზიცია ორჭოფულიაო. იგივე სააგენტო იუწყება, რომ ფინ იუი-სიანის არმიის მეთაურთა შემადგენლობის 27 წარმომადგენელმა ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომელშიაც აკრიტიკებენ ჩან კაი-შის. ეს დეკლარაცია ცირკულიარული დეპეშით გაიგზავნა. (ადს).

ფინ იუი-სიანის არმიის შეტევა

შანხაი, 13 ოქტომბერი. გომინძიანის რაზმები (ფინ იუი-სიანის სახალხო არმია) ლუნხაის რკინის გზით აღმოსავლეთისაკენ გაემართნენ. მათ განზრახული აქვთ ქალაქ ხუნანის დაჭერა. როგორც ფიქრობენ, ტან შენ-ჩის კავშირი აქვს გომინძიანთან, მაგრამ რადგან თვითონ ტან შენ-ჩი ნანკინშია, მის მომხრეებს არ შეუძლიათ აშკარად განაცხადონ, თუ რა პოზიცია უჭირავთ მათ. ენ სი-შანი მოულოდნელად ტაიუანში (შანსის პროვინცია) ჩავიდა. იქ „ჩრდილოელთა" თათბირია, რომელსაც მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

ჩან კაი-შის წარმომადგენელი ხო ჩენჩუნიც ტაიუანში წავიდა იმ მიზნით, რომ ენ სი-შანი გადაიბიროს ნანკინის მხარეზე. ტაიუანშივე გაემგზავრა ჩან სიუე-ლიანი.

გენერლების შეტევა ჩინეთში

ტოკიო, 12 ოქტომბერი. ნანკინის მთავრობამ გამოსცა ბრძანება „რეორგანიზაციონისტების" ბელადების ჩენ გუნ-ბოს, ვან ფა-ჩუნის და სხვათა დაპატიმრების შესახებ.

ფინ იუი-სიანის მომხრე გენერლებმა, სუნ ჩე-იუანის მეთაურობით, გამოაქვეყნეს ფურცლები, რომლებშიაც მოითხოვენ გომინდანის „მემარცხენე" ბელადის ვან ძინვეის დაბრუნებას ევროპიდან ჩან კაი-შისთან თანამშრომლობისათვის და ფინ იუი-სიანის დაბრუნებას ყველა მის წინანდელ თანამდებობაზე. ფურცლები ილაშქრებენ ჩან-კაი-შის მახლობელი თანამშრომლების წინააღმდეგ.

შეუმოწმებელი ცნობებით, შეტაკება ჩან კაი-შის და ფინ იუი-სიანის ჯარს შორის უკვე დაიწყო ხუბეის და შანსის პროვინციების საზღვარზე. (ადს).

ჩუ-დეს რევოლიუციონური რაზმები ფუძიანის პროვინციაში

შანხაი, 13 ოქტომბერი. ტაჩუნის სააგენტოს ცნობით, ჩუ-დეს რევოლიუციონურმა რაზმებმა დაიჭირეს ქალაქი ხესხუა ფუძიანის პროვინციაში. სააგენტო აღნიშნავს, რომ ჩუ-დეს რაზმებმა ბოლო დროს რამდენიმეჯერმე სერიოზულად დაამარცხეს მთავრობის ჯარი. (ადს).

სამხედრო მოქმედება შანდუნის პროვინციაში

შანხაი, 14 ოქტომბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, 11 ოქტომბერს შანდუნის პროვინციაში, ვეიასიანის მიდამოებში, დაიწყო სამხედრო მოქმედება გენერალ სუნტია-ტინსა (ამასწინად გადაუდგა ნანკინის მთავრობას) და პეიპინის გენერალ ფან სიჩის შორის. ამასთან დაკავშირებით, შანდუნში მდგომარეობა მეტად აწეწილია.

როგორც იუწყებიან, ფინ იუი-სიანის მომხრე გენერალის სუნ ლან-ჩენის სარდლობით ძოძქუდმა ჯარმა ააფეთქა რკინის გზის ხიდი ლუნხაის რკინის გზაზე. ლოიანის დასავლეთით. ნანკინიდან იქ ჯარი გაგზავნეს.

ნანკინის ლიდერებმა, მათ შორის ხუ ხანმინმა, ტა ცი-ტაომ და ტან ენ-კაიმ ენ სი-შანს მიმართეს მოწოდებით— მოახდინოს თავისი ჯარის მობილიზაცია „ჩრდილოეთის ჯარების" „ამბოხების" ჩასაქრობად. მეორეს მხრით— გომინძუნის (ფინ იუი-სიანის მიერ შექმნილი სახალხო არმიის) გენერლებმა მოუწოდეს ენ სი-შანსა და ფინ იუი-სიანს —სათავეში ჩაუდგნენ ჩრდილოეთის ძალებს.

მაკდონალდის მოლაპარაკება ჰუვერთან

ამერიკის პრესა ჰუვერისა და მაკდონალდის განცხადების შესახებ

ნიუ-იორკი, 13 ოქტომბერი. გაზეთი „ვაშინგტონ-პოსტ"-ი სწერს:

„ჰუვერისა და მაკდონალდის საერთო განცხადებამ გაუგებრობა გამოიწვია, რადგან მან ევროპაში ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს ინგლისმა და ამერიკამ კავშირი შეჰკრეს. მთელ პრესას გაუცრუვდა წინანდელი ოპტიმიზმი. პრესა აღნიშნავს, რომ მოუგვარებელი დარჩა საკითხები „ზღვების თავისუფლების", ვალების ტარიფების და სხვათა შესახებ. (ადს).

სტიმსონი უარყოფს

ნიუ-იორკი, 13 ოქტომბერი. როგორც ვაშინგტონიდან იუწყებიან, სტიმსონმა უარყო პრესის მიერ გაზვიადებული ზოგიერთი ცნობა ჰუვერ-მაკდონალდის მოლაპარაკების შესახებ. იგი აცხადებს, რომ ინგლისსა და ამერიკას არ დაუდვიათ საზღვაო კავშირიო. იმ ცნობების გამო, რომელიც ერთ გაზეთში გამოქვეყნდა იმის შესახებ, რომ ინგლისმა და შეერთებულმა შტატებმა დასდეს „საზღვაო კავშირი საყოველთაო მშვიდობიანობის დასაცავად", სტიმსონი ოფიციალურად აცხადებს:

„მთელი მოლაპარაკების დროს არც ერთი სიტყვა არ ყოფილა ნათქვამი ამის შესახებ. მოლაპარაკების აზრი სწორედ ამის საწინააღმდეგო იყო. შეთანხმება, რომლისაკენაც ჩვენ მივისწრაფოდით, წმინდა მორალური ხასიათისაა. გავლენა, რომელიც გვინდა მოვახდინოთ სხვა ქვეყნებზე, წმინდა მორალურია და არა სამხედრო ხასიათისა".

მდგომარეობა ავღანისტანში

ციხე-სიმაგრეს ალყა აქვს შემორტყმული

თერმეზი, 12 ოქტომბერი. ქაბულში ციხე-სიმაგრეს კვლავ ალყა აქვს შემორტყმული. კუგისტანელების ნაწილი კუგისტანში წავიდა. ბაჩე საკაო თავის ჯარის ნაწილით კვლავ ციხე-სიმაგრეშია და სცდილობს წინააღმდეგობის გაწევას. (ადს).

ნადირ-ხანს ქაბულში მიელიან

თერმეზი, 12 ოქტომბერი, იუწყებიან, რომ ნადირ-ხანს ქაბულში მიელიან. აღმოსავლეთ პროვინციაში შეტევას აწარმოებს ნადირ-ხანის ძმა ხაშიმ-ხანი. (ადს).

„დეილი მეილ"-ი ქაბულის აღების შესახებ

ლონდონი, 12 ოქტომბერი. „დეილი მეილ"-მა გამოაქვეყნა დაწვრილებითი ცნობა იმ გალაშქრების შესახებ, რომელსაც შედეგად მოჰყვა ქაბულის აღება ნადირ-ხანის მიერ. ცნობაში აწერილია ოპერაციები სამი არმიისა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ **ნადირ-ხანი და მისი ძმები—ვალი და მაჰმუდი**. გაზეთის სიტყვით, ცნობა პეშევარში მიღებულია შიკრიკის ხელით ნადირ-ხანის ჯარის ბანაკიდან.

დასასრულ ნათქვამია, რომ შეუძლებელია ნადირ-ხანის შემდგომი მოქმედების გათვალისწინება, მაგრამ სანამ იგი გადასწყვეტს ტახტის საკითხს, ალბად, შეეცდება გამარკვიოს ტომების სულისკვეთება. თვითონ ნადირ-ხანი ვითომ არ ფიქრობს მეფობას. (ადს).

ვარშავის მელითონეთა ბრძოლა

მელითონეთა შორის იზრდება საგაფიცვო მოძრაობა

ვარშავა, 12 ოქტომბერი. ვარშავის ლითონის მრეწველობის მუშები გაფიცვისთვის ემზადებიან. ამ მზადების ჩასაშლელად პოლიციამ დააპატიმრა ვარშავის მელითონეთა სადელეგატო კრების 58 მონაწილე. დაპატიმრებამ მუშათა შორის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. მელითონეებმა დაუყოვნებლივ შეაგროვეს ფული დაპატიმრებულთათვის სურსათის მისაწოდებლად. პოლიციამ დააპატიმრა ის მუშებიც, რომელთაც სურსათი მიიტანეს გადასაცემათ. შეიპყრეს დაპატიმრებულთა ნათესავებიც. დაპატიმრებულთა ერთი ჯგუფი გაანთავისუფლეს. გაძლიერდა გაფიცვის სასარგებლო სულიერი განწყობილება. (ადს).

ამერიკის კომპარტიის ცეკას პლენუმი

ნიუ-იორკი, 12 ოქტომბერი. ამერიკის კომპარტიის ც. კ.-ის პლენუმი, რომელიც პირველად შეიკრიბა მას შემდეგ, რაც კომინტერნის აღმასკომის დახმარებით მიღწეულ იქნა ფრაქციული ბრძოლის ლიკვიდაცია, ერთხმად ესალმება კომინტერნის აღმასკომს, კისრულობს მთელ ძალ-ღონის დარაზმვას მემარჯვენე ფრთის რენეგატების ლიკვიდაციისათვის, შემარიგებლების წინააღმდეგ საბრძოლველად და ამერიკის პროლეტარიატის უმრავლესობის ხელმძღვანელობის დასაპყრობად. ც. კ-ის პლენუმი აცხადებს, რომ იგი მტკიცედ სდგას კომინტერნის მე-6 კონგრესის და მე-10 პლენუმის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისზე. პლენუმმა მიიღო აგრეთვე საორგანიზაციო ზომები წარსული ფრაქციული შეცდომების გამოსასწორებლად და ახალი პროლეტარული ძალების ჩასაბმელად ხელმძღვანელ მუშაობაში. ც. კ-ის პლენუმი გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ კომპარტია, კომინტერნის ხელმძღვანელობით, შესძლებს—უჩვენოს ამერიკის პროლეტარიატს გზა მასიური რევოლიუციონური პარტიის შესაქმნელად ამერიკაში. (ადს).

ლიუცერნის სასპორტო ინტერნაციონალის კონგრესი

პრაღა, 13 ოქტომბერი. გაიხსნა ლიუცერნის (რეფორმისტული) სასპორტო ინტერნაციონალის კონგრესი, რომელსაც ესწრება ასამდე დელეგატი და სტუმარი. ამ უკანასკნელთა შორის არის ერთი ლიგის შრომის საერთაშორისო ბიუროს წარმომადგენელი. კონგრესზე დაუშვეს მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პრესის წარმომადგენელნი. სამდივნოს ანგარიშში დიდი ადგილი აქვს დათმობილი წითელ სასპორტო ინტერნაციონალთან ურთიერთობის საკითხს. წითელ სასპორტო ინტერნაციონალთან ურთიერთობის გაწყვეტის მიზეზად ანგარიში ასახელებს იმას, რომ ვითომ წითელი სასპორტო ინტერნაციონალი „სისტემატიურად ილაშქრებდა" ლიუცერნის წინააღმდეგ.

დასასრულ ნათქვამია, რომ ლიუცერნის ინტერნაციონალი წითელი სასპორტო ინტერნაციონალის მიმართ განაგრძობს შეურიგებელ პოზიციაზე დგომასო.

ლიუცერნის კონგრესის გამო გაიმართა წითელი სპორტსმენების კრება, რომელმაც ამხილა ლიუცერნის ორგანიზაციების როლი ომის მომზადების საქმეში. კრებაზე სიტყვები წარმოსთქვეს კონგრესის ინგლისელმა დელეგატებმა და გერმანიისა და ჩეხო-სლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. კრება მათ „ინტერნაციონალის" სიმღერით შეეგება. პოლიციამ კრება დაშალა და ორი მონაწილე დააპატიმრა. (ადს).

ინგლისის მუშათა სასპორტო ფედერაციის დელეგატები კონგრესიდან გააძევეს

პრაღა, 13 ოქტომბერი. დელეგატები ინგლისის მუშათა სასპორტო ფედერაციისა, რომელიც ლიუცერნის (რეფორმისტულ) სასპორტო ინტერნაციონალში შედის, გააძევეს კონგრესიდან იმის გამო, რომ ფედერაციას შეურიგებელი პოზიცია ეჭირა სოციალ-რეფორმიზმის მიმართ; იგი მკაცრად აკრიტიკებდა ლიუცერნის სასპორტო ინტერნაციონალის მოღალატურ მოქმედებას. (ადს).

ალიოხინის ახალი გამარჯვება

ბერლინი, 13 ოქტომბერი. ალიოხინსა და ბოგოლიუბოვს შორის მსოფლიო პირველობაზე გამართული საჭადრაკო ტურნირი დამთავრდა ალიოხინის გამარჯვებით. ტურნირის მდგომარეობა ასეთია: ალიოხინს აქვს 6 მოგებული პარტია, ბოგოლიუბოვს—2, ყაიმით დამთავრდა 4. (ადს).

„საბჭოთა ქვეყანა" სიეტლში

საზეიმო შეხვედრა

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. 13 ოქტომბერს ჰაეროპლანი „საბჭოთა ქვეყანა" სიეტლისკენ გაფრინდა და იმავე დღეს დაეშვა იქ. მან გაიარა 1.200 კილომეტრის მანძილი. წყალვარდნილიდან სიეტლამდე ფრენას ჰაეროპლანმა 10 საათი და 7 წუთი მოანდომა.

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. სიეტლში „საბჭოთა ქვეყანა"-ს შეხვდა ვაშინგტონის გუბერნატორი, აგრეთვე ქალაქის თავი. შეხვედრის ცერემონიალი დაარღვია თავმოყრილმა მრავალმა მოქალაქემ, რომლებიც მფრინავთა მისასალმებლად ჰაეროპლანისკენ მიეშურებოდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, ხალხი დაარწმუნეს, რომ მისალმება მფრინავთა სურათის გადაღებამდე უნდა გადაიდოს. უკვე დაბინდებული იყო, როცა „საბჭოთა ქვეყანა" სიეტლში მივიდა, მაგრამ, ძლიერი განათების წყალობით, იგი მშვიდობიანად დაეშვა. (ადს)

ასანთის მონოპოლიის შემოღების გარშემო

რეიხსტაგის კომფრაქციის შეკითხვა

ბერლინი, 12 ოქტომბერი. რეიხსტაგის კომფრაქციამ შეიტანა შეკითხვა, რომლითაც მოითხოვს შესწყდეს მოლაპარაკება გერმანიაში ასანთის მონოპოლიის შემოღების ირგვლივ, ვინაიდან მონოპოლია გამოიწვევს მშრომელთა ფართო მასების მდგომარეობის ახალ გაუარესებას. (ადს).

ბერლინი, 13 ოქტომბერი. „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ"-ი, ემყარება რა სარწმუნო წყაროებს, ამტკიცებს, ვითომ შესწყდა მოლაპარაკება გერმანიაში ასანთის მონოპოლიის შემოღების შესახებ. ეს ცნობა ჯერ არ არის დადასტურებული. (ადს).

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება

მასიური პარტგანათლების შესახებ

მოსკოვი, 14 ოქტომბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სოფლად მასიური პარტგანათლების გავრცელების საკითხის შესახებ მიიღო დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია, რომ პარტიულ სწავლებაში ჩასაბმელად პარტიის ყველა კანდიდატისა და უპარტიო მოჯამაგირეების სოფლის ღარიბი გლეხობისა და კოლექტიური მეურნეობის ყველა წევრის, საჭიროა პარტიულ სკოლებთან ერთად, ფართოდ იქნას შემოღებული კურს—ყრილობების მოწყობა, განსაკუთრებით მოჯამაგირეთა კურსებს, რომელნიც უნდა მოეწყოს არა მარტო პარტორგანიზაციის ხაზით, არამედ პროფესიონალური, კოოპერატიული, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციების ხაზითაც. საჭიროა აგრეთვე მოეწყოს მიმდინარე პოლიტიკის წრეების ქსელი პარტიული და უპარტიო მასებისათვის.

კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე მანქანებისა და ტრაქტორების სადგურებთან უნდა მოეწყოს პარტსკოლებისა და, პირველ რიგში, მიმდინარე პოლიტიკის წრეების ქსელი და გამაგრებული იქნან ისინი მომზადებული პროპაგანდისტებით.

მსხვილ საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში უნდა მოეწყოს საღამოს კურსები და მიღებულ იქნას ზომები მისთვის, რომ მსხვილი საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები გადაიქცნენ სოფლის პარტსაგანმანათლებლო მუშაობის დასაყრდენ სანიმუშო-საჩვენებელ პუნქტებად.

სახალხო განათლების ორგანოებს წინადადება მიეცათ, კოოპერატიული და პროფესიონალური ორგანიზაციების მონაწილეობით, ჩააბან წერა-კითხვის ყველა უცოდინარი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ დაწესებულებათა ქსელში და პირველივე წლის განმავლობაში მოახდინონ მათი უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია.

ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია სოფლის ორგანიზაციებში საპროპაგანდისტო მუშაობა დააკისროს კომუნისტურ უნივერსიტეტში კურსდამთავრებულებს, რომლებიც, თანახმად მე-16 პარტკონფერენციის დადგენილებისა, უნდა გაიგზავნონ სოფლებში პარტმუშაობის საწარმოებლად. (ადს).

მრეწველობის მმართველობის სისტემის რეორგანიზაცია

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. თავის დროზე გამოქვეყნდა და ფართო კამათის საგნადაც გადაიქცა საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს თეზისები, რომლებიც მრეწველობის მმართველობის სისტემის რეორგანიზაციის საკითხს შეეხებოდნენ. ამ საკითხის მომხსენებელი ამხ. კოსიორი საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს პლენუმზე მხოლოდ რეორგანიზაციის ზოგადი ფორმების აღნიშვნით დაკმაყოფილდა. მრეწველობის სამეცნიერო ტეხნიკური სამსახურის ახალი ფორმების შესახებ, მრეწველობის სოციალისტური გარდაქმნის ვრცელ ამოცანებთან დაკავშირებით, მოხსენება გააკეთა სამეცნიერო-ტეხნიკური სამმართველოს უფროსმა ამხ. ბუხარინმა, რომელმაც სთქვა: „ჩვენ უნდა განვახორციელოთ ლოზუნგი: „დავეწიოთ და გავუსწროთ დასავლეთ-ევროპის და ამერიკის მეცნიერებას და ტეხნიკას", ვინაიდან მრეწველობის მეცნიერული, ტეხნიკური და ეკონომიური მმართველობის კარგად დაყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის". მომხსენებლის აზრით, საკავშირო ს. მ. უ. საბჭოსთან უნდა შეიქმნას ორი შტაბი: სამეცნიერო-ტეხნიკური— სამეცნიერო-ტეხნიკური სამმართველოს სახით და საგეგმო-ეკონომიური— საგეგმო-ეკონომიური სამმართველოს სახით. ამ ორი შტაბის მუშაობა დაუკავშირდება ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმთან არსებულ საერთო კომისიას.

ამხ. კოსიორის და ბუხარინის მოხსენებებმა გაცხოველებული კამათი გამოიწვიეს. მრეწველობის რეორგანიზაცია, რომ საჭირო და დროულია, ამას აღიარებს სამეურნეო დარგის ყველა მუშაკი. მათ მისაღებად მიაჩნიათ ამ რეორგანიზაციის ზოგად-პრინციპიალური მოსაზრებანიც. (ადს)

საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს პლენუმმა მოიწონა მრეწველობის მმართველობის სისტემის რეორგანიზაციის თეზისები

მოსკოვი, 14 ოქტომბერი. საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს პლენუმმა მოიწონა მრეწველობის მმართველობის სისტემის რეორგანიზაციის თეზისები. ამ საკითხზე საბოლოო რეზოლიუციის დამუშავება მიენდო სპეციალურ კომისიას. პლენუმმა საჭიროდ სცნო, რომ ს. მ. უ. საბჭომ ერთი თვის განმავლობაში საბოლოოდ დაამუშაოს და გადასწყვიტოს მრეწველობის რეორგანიზაციის საქმესთან დაკავშირებული ყველა საკითხი და გაატაროს ისინი სათანადო ინსტანციებში. (ადს)

ბოლშევიკური სალამი წითელ პუტილოველებს

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა „წითელი პუტილოვეც"-ის დირექციას, საქარხნო კომიტეტს და საკავშირო კომპარტიის (ბ) კოლექტივს და ლენინგრადის სამანქანო ტრესტის გამგეობას გაუგზავნა შემდეგი მისალმება:

„საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს „წითელი პუტილოვეც"-ის მიერ წლიური დავალების 3.000 ტრაქტორის—დამზადების ფაქტს. ეს არის პროლეტარიატისა და გლეხობის ფართო მასების საწარმოო კავშირის საუკეთესო საფუძველი. ცენტრალური კომიტეტი მტკიცე იმედს გამოსთქვამს, რომ ამ წლის დავალება—10.000 ახალი ტრაქტორის დამზადებაც ასეთივე წარმატებით იქნება შესრულებული. ეს ტრაქტორები დააჩქარებენ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღმოფხვრას და მრავალ სოფელში გამოიწვევენ სოციალისტურ მშენებელთა აღფრთოვანებას. ბოლშევიკური სალამი „წითელი პუტილოვეც"-ის მუშებს, მუშა ქალებს, ტეხნიკურ პერსონალს და ხელმძღვანელ ორგანოებს". (ადს).

ლენინგრადი, 13 ოქტომბერი. „კრასნი პუტილოვეც"-ის მუშებმა საზეიმო კრებაზე მიიღეს პატაკი საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ისადმი, საკავშირო ცაკისადმი და საკავშირო პროფსაბჭოსადმი. მუშები თავიანთ პატაკში აღნიშნავენ, რომ ქარხანამ ტრაქტორთშენების პროგრამა 101,5 პროცენტით შეასრულა, პროდუქციის გამოშვება გაადიდა 31-დან 43 მილიონამდე, თვითღირებულება შეამცირა 11 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება ასწია 9,5 პროც., ქარხანამ გამოუშვა 3.050 ტრაქტორი, 50 ტრაქტორით მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო. მშენებლობის წარმატება დამოკიდებულია აგრეთვე პროლეტარული შეგნების ზრდაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს 37 ამქართა 178 ბრიგადა, 83 დამკვრელი ბრიგადა და თვითღირებულების შემცირების 93 ჯგუფი.

მუშები პატაკში მთელ რიგ მოთხოვნებს უყენებენ სხვა ორგანიზაციებს; აღნიშნავენ თავიანთ შემდგომ ამოცანებსაც. (ადს).

მოსკოვი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სოციალისტური მშენებლობა დღეს

მოსკოვი, 14 ოქტომბერი. „იზვესტია" თავის დღევანდელ ნომერში აქვეყნებს მეტად საგულისხმო მასალას სოციალისტური მშენებლობის მსვლელობის შესახებ. რედაქცია წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ ის ყოველკვირეულად მოათავსებს ცნობებს იმ უკანასკნელ მიღწევების შესახებ, რომელთაც ადგილი ექნებათ სოციალისტური მშენებლობის მთავარ დარგებში.

გაზეთის ცნობით, გამაღლებულ ტემპით სწარმოებს მუშაობა **ტრაქტორის ქარხნების** აგებისათვის. მთავარი ცეხების მოწყობა წარმატებით მიმდინარეობს, უკვე აწყობილი და დადგმულია იმ მანქანათა 60 პროცენტი, რომელიც მიღებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებიდან. ამწყობ და მექანიკურ ცეხებში მუშაობა სწარმოებს ორ ცვლად. სამჭედლო ცეხის მოწყობა უკვე დამთავრებულია 70 პროცენტით.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა **ავტოქარხნების** მშენებლობის დარგშიაც. ქარხნები შენდება ნიჟნი-ნოვგოროდში. ამ საქმეზე დაბანდებულია 750 კაცი. სასწრაფოდ სწარმოებს რკინის გზის ხაზის აგება ავტო-ქარხნებამდე. სამუშაოთა მთავარი ნაწილი მექანიზაციაქმნილია.

დნეპროსტროიში გასულ თვეში მშენებლობა არაჩვეულებრივი სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. ჯებირის აგება შეუფერხებლად მიდის წინ. ოქტომბრის პირველ მესამედში მუშაობა კიდევ უფრო გაფართოვდა. მშენებლობა წინ უსწრებს გეგმას. ამის გამო უკვე სდგას საკითხი ჯებირის დასრულების შესახებ გეგმით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხნების მშენებლობაც წარმატებით მიმდინარეობს, წლიური გეგმა უკვე შესრულებულია 102,9 პროცენტით. სრულიად დამთავრდა აგება სამჭედლო ცეხისა, რომელიც უკვე მუშაობს, დამთავრებულია აგრეთვე ტყის სახერხი და ხის დამამუშავებელი იარაღების, საინსტრუმენტო და სარემონტო-მექანიკური ცეხების აგება. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მიმდინარე სამეურნეო წლის დასასრულს სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხნების მშენებლობა სრულიად დამთავრდება.

სვირის ჰიდროელსადგური, რომელიც ვოლხოვსტროიზე ორჯერ უფრო ძლიერი იქნება, აგრეთვე ჩქარი ტემპით შენდება. უკვე დასრულებულია სადგურის მახლობლად მუშათა ქალაქის მოწყობა 7.500 კაცისათვის, დაიწყო აგება ტინობის უდიდესი ქარხნისა, რომელიც დღეღამეში დაამზადებს 3.500 კუბიკურ მეტრ ტინობს, დამთავრდა უმთავრესი მუშაობა წყალის გასაღრმავებლად.

ურალ-ნეფტზე გეოდეზიური მუშაობა შეუფერხებლად მიმდინარეობს. უკვე დამთავრდა ცალკე რაიონების გამოკვლევა და მათი ტრაქტებად დაყოფა. მიდამოები გაწმენდილია სამუშაოების დასაწყებად.

კოკსის ქარხნების მშენებლობა დნეპროპეტროვსკში წარმატებით ვითარდება. პეტროვსკის სახელობის ქარხანამ უკვე გააჩაღა ახალი ღუმელები კოქსისათვის. ინჟინერ-ტეხნიკოსთა პერსონალმა თავის საერთო კრებაზე დაადგინა სთხოვოს მთავრობას, რათა ისინი გამოცხადებულ იქნან მობილიზაციაქმნილად.

ჭიათურის შავი ქვა—ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთი ქვაკუთხედია

გავაძლიეროთ მშრომელი მასების აქტივობა შავი ქვის სამრეწველო მშენებლობაში

ხუთწლიანი გეგმით შავი ქვის მრეწველობაზე იხარჯება 34.190.000 მანეთი

დაიწყო მაღაროებისა და დატვირთვის მექანიზაცია, ქარხნების რეკონსტრუქცია, კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადება.—მუშა-ხელის რაოდენობა 750-დან გაიზარდა 9.500-მდე.

საბჭოთა ხელისუფლება უზრუნველყოფს შავი ქვის გაბატონებას მსოფლიო ბაზარზე

ჭიათურის შავი ქვა ათეული წლების განმავლობაში ნედლეული სახით გაჰქონდათ უცხოეთის ბაზარზე. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაუყარა საფუძველი შავი ქვის ადგილობრივ დამუშავებას. შენდება ფერრო-მარგანეცის ქარხანა 150.000 ტონა წლიური ნაყოფიერებით

> „საჭიროდ იქნას ცნობილი ჭიათურის შავი - ქვის მრეწველობის რეკონსტრუქციის და ჭიათურის რაიონის ელექტროფიკაციის ყოველგვარი საშუალებით დაჩქარება, ამასთან ერთად დაჩქარდეს მადნეულის ამოღების, მიტანის, დატვირთვის და გადატვირთვის სრულ მექანიზაციაზე გადასვლა ფოთში და შორაპანში; 1929-30 წელს დაიწყოს პირველ რიგში ფერო-მარგანეცის ქარხნის აგება, რომლის პროდუქცია უნდა უდრიდეს 40—50 ათას ტონას, ხოლო შემდგომი ხუთი წლის დასაწყისში—150 ათას ტონას".
>
> **საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებიდან ამ.-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. მთავრობის მოხსენების გამო.**

ჭიათურამ უნდა დაიჭიროს მსოფლიო ბაზარზე კუთვნილი ადგილი

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენმა შავი-ქვის მრეწველობამ რამოდენიმე პერიოდი განვლო სანამ იგი დღევანდელ სწორ გზაზე გამოვიდოდა. საბჭოთა ხელისუფლებამ მენშევიკური მთავრობისაგან მემკვიდრეობად მიიღო მრეწველთა რამოდენიმე ათეული ფირმა და ასეული წვრილ - წვრილი მრეწველები. მუშათა კლასის ხელისუფლების დამყარებისთანავე გამოცხადდა ყოველგვარ წიაღებისა და, რა თქმა უნდა, მათ შორის შავი ქვის ნაციონალიზაცია. ასე რომ მთელი კერძო მრეწველობა გაუქმდა. მხოლოდ ხელუხლებელი დარჩა იმ დროს არსებული საექსპორტო საზოგადოება „ჩემო" ქართველ და უცხო მრეწველთა შემადგენლობით. განსაზღვრული პირობებით და ვალდებულებებით მთავრობის წინაშე, რომლებიც აღნუსხული იყო ცალკე ხელშეკრულებაში, მაშინაც ანგარიშს უწევდენ იმ გარემოებას, რომ კერძო საკონცესიო კაპიტალს განსაზღვრული სარგებლობა შეეძლო მოეტანა ჩვენი ქვეყნისათვის. მკითხველმა იცის ჩვენი საკონცესიო პოლიტიკა და ამიტომ ზედმეტად მიგვაჩნია აქ ამაზე დაწვრილებით ლაპარაკი. გავიდა რამოდენიმე წელიწადი, მაგრამ კერძო მრეწველთა ჯგუფი (როგორც ადგილობრივნი, ისე უცხოელებიც) არავითარ ინიციატივას არ იჩენდა წარმოების განვითარებაში და რაიმე ტეხნიკურ გაუმჯობესებათა შემოღება კერძო მრეწველებს აზრადაც არ მოსდიოდათ. დღესაც რომ დაიაროთ მთელი ჭიათურის რაიონი, — ვერ ნახავთ ვერაფერს ისეთს, რომელიც გვიჩვენებდეს რაიმე გაუმჯობესების ცდას კერძო მრეწველთა მხრით. 1925 წელს ჭიათურა გადაეცა კონცესიაში ამერიკელებს, რომელთაც იმუშავეს თითქმის სამი წელიწადი და წავიდნენ. ჯერჯერობით არ არის დრო ვილაპარაკოთ მათი მოქმედების შესახებ. წარმოება გადმოვიდა ჩვენს ხელში შარშან, 1928 წლ. აგვისტოში და აი სწორედ ამ დღიდან შავი ქვის წარმოება შესდგა იმ სწორ გზაზე, რომელზედაც იგი იმ თავიდანვე უნდა დამდგარიყო. თუ რა გააკეთა ტრესტმა ამ ერთი წლის განმავლობაში, სჩანს აქვე მოყვანილ წერილებიდან. მაგრამ რაც გაკეთდა დღემდე ეს სულ მცირეა იმასთან შედარებით, რაც უნდა გაკეთდეს. დღემდის ჩვენი უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული იქით, რომ წარმოება აგვემუშავებია და ბაზარზე გაგვეტანა რაც შეიძლება მეტი მარგანეცი. ვფიქრობ, რომ ეს ჩვენ შევსძელით. საქ. გასაბჭოების შემდეგ ამდენი რაოდენობის ქვა ჯერ არ გატანილა. უდიდესი ექსპორტი მარგანეცის იყო 1913 წ., როდესაც გატანილ იქნა ერთი მილიონი ტონა. ჩვენ ვამზადებთ მომავალი წლისათვის 1.250.000 ტონას და თუ მსოფლიო ბაზარმა მოითხოვა, მეტის დამზადებაც შეგვიძლია.

არის ერთი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ეს არის კონკურენციის ხასიათის შესწავლა. დღემდის ეს საკითხი ჩვენ არ გვაქვს შესწავლილი სათანადოდ, რას ყიდიან ჩვენი კონკურენტები, ან როგორ პირობებში, — ეს ჩვენ ნაკლებად ვიცით. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. უნდა ვიცოდეთ, რომ მარტო ფასები თავის-თავად არაფერს ნიშნავს. საჭიროა ჩვენ კიდევ ვიცოდეთ სხვა პირობებიც. მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ჩვენ გონიერი კონკურენცია გაუწიოთ სხვა ქვეყნის შავი ქვის მრეწველებს. ერთი სიტყვით, ჩვენ თუ გვინდა დავიკავოთ მსოფლიო ბაზარზე სათანადო ადგილი, აუცილებელია ვიცოდეთ კონკურენციის ყველა წვრილმანი. ჭიათურამ უნდა დაიკავოს მსოფლიო ბაზარზე ის ადგილი, რომელიც მას კანონიერად ეკუთვნის. ჭიათურამ უნდა მიიღოს კვოტა—50% მთელი მსოფლიო მომხმარებლებისა.

კ. მოდებაძე.

შავი ქვის მრეწველობის 5 წლიანი გეგმა

კაპიტალური დაბანდებანი

მრეწველობის ხუთწლიანი გეგმით შავიქვის მრეწველობაზე 28-29-ს — 32-33 წლების განმავლობაში უნდა დაიხარჯოს — 34.190.000 მანეთი. ეს თანხა შავი ქვის სამრეწველო მშენებლობის ცალკე დარგებს შორის შემდეგნაირად არის განაწილებული: სამაღარო - საქარხნო მშენებლობისათვის— 12.985.000 მან.; ფერო - მარგანეცის ქარხნის ასაგებად — 11.125.000 მან.; რიონჰესის მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად (ფერო-მარგანეცისა და მაღაროების ელექტროფიკაციის მიზნით) — 4.500.000 მან.; საბინაო მშენებლობისათვის — 4.120.000 მანეთი; შრომის დაცვის, უშიშროების ტეხნიკის და სანიტარულ ღონისძიებებისათვის 630.000 მანეთი; კულტდაწესებულებებისათვის — 200.000 მანეთი; სამეცნიერო - საგამომკვლევო მუშაობისა და გენერალური გეგმის დამუშავებისათვის — 630.000 მანეთი.

ხუთი წლის კაპიტალურ დაბანდებაში შედის შემდეგი ობიექტები: სამუშაო გვირაბების და ქვის ჩამოსაზიდი გზების კაპიტალური რემონტი, რაც 410 მანეთს მოითხოვს. კაპიტალური სამუშაო გვირაბების გაყვანა — 480.000 მანეთს, სამადნო ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენა — 711.000 მან. ქვის ამოღების მექანიზაცია და სამისო მოწყობილობა — 1.661.000 მანეთს; ტრანსპორტის და დატვირთვის მექანიზაცია ჭიათურაში — 1.772.000 მან., არსებულ სარეცხაო ქარხნების კაპიტალური რემონტი— 877.000 მან., საცხოვრებელ შენობებისა და ბინების კაპიტალური რემონტი — 70.000 მან., სარეწაო საურმე გზებისა და ხიდების კაპიტალური შეკეთება 155.000 მან., სატელეფონო კავშირის მოწყობა და გაფართოება 48.000 მან., სამი გასარეცხი ქარხნის აგება 1.260.000 ტონა წლიური ნაყოფიერებით —5.221.000 მან., გადასატვირთავის მოწყობა 1.200.000 მანეთს; ფერო - მარგანეცის ქარხნის ასაგებად — 11.125.000 მანეთს; წყალსადენების გაყვანა მაღაროებისა და სოფლებისათვის — 350.000 მან.; მექანიკური სახელოსნოს გაფართოება 30.000 მანეთს; საბინაო მშენებლობა—4.120,000 მან.; ქარხნებისა და მაღაროების ელექტროფიკაცია და ელექტროგანათება — 850.000 მან., კულტდაწესებულებებისათვის — 200.000 მან.; შრომის დაცვა და უშიშროების ტეხნიკა — 280.000 მან.; სამეცნიერო - საგამომკვლევო მუშაობა და გენერალური პროექტის დამუშავება— 630.000 მან., რიონჰესის მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად — 4.500.000 მან.

ქვის მოპოვებისა და ტრანსპორტის მექანიზაცია

ამჟამად სამთამადნო მუშაობის მექანიზაცია განისაზღვრება შემდეგით: მუშაობს ერთი შემჭრელი მანქანა და რამოდენიმე უკუმგდები ჩაქუჩი, რომელთა მუშაობას ცდის ხასიათი აქვს. ცდამ, საერთოდ, კარგი ნაყოფი გამოიღო. აღმოჩნდა, რომ ამ იარაღებით სამთო მუშაობის მექანიზაცია შესაძლებელია. პირველ წლებში სამექანიზაციო მუშაობა თანდათან იქნება გაფართოებული იმ ანგარიშით, რომ ხუთი წლის დამლევს ჩატარდეს სამუშაოების სრული მექანიზაცია.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მექანიზაციის გაფართოებას შემჭრელი მანქანებით. მაღაროების რიცხვი, სადაც უნდა ჩატარდეს სამთო მუშაობის მექანიზაცია, მიაღწევს 40 პროც-ს. ამასთან ერთად მექანიზაცია მოხდება ყველა იმ მაღაროებში, რომელთა ექსპლოატაცია იწარმოებს ამ ხუთწლედის მთელს პერიოდში. მადნის ჭრის მექანიზაციის გარდა გათვალისწინებულია თვით მადნის დატვირთვის მექანიზაციაც, რადგან ხელით დატვირთვა მეტად აბრკოლებს მადნების ამოღების მექანიზაციის წინსვლას. დასატვირთი მანქანების შემოღება გათვალისწინებულია ხუთწლედის მესამე წლისათვის, ე. ი. იმ დროისათვის, როცა საკმაოდ გაშლილი იქნება მადნების მექანიკური ამოღება. ვარაუდით ამ დროს მექანიზაციაქმნილმა ამოღებამ მთელს ჭიათურის რაიონში უნდა მიაღწიოს 22,8 პროც-ს, ხოლო ზოგიერთ მაღაროში კი 45 პროც-ს. თანდათან მოხდება აგრეთვე სამაღარო ტრანსპორტის მექანიზაცია, ე. ი. მადნის გამოტანის მექანიზაცია. მთავარ ჩასაგორებელ გვირაბებზე და ზედაპირზე გვირაბებიდან ქარხნებამდე. სამადნო ტრანსპორტის მექანიზაცია იწარმოებს იმ ანგარიშით, რომ ხუთი წლის დამლევს მიაღწიოს 11-დან 61 პროც-მდე, ხოლო ცალკე მაღაროებში 85 პროც-მდე. მთელი იმ თანხების ჯამი, რომელიც საჭიროა მექანიკურ მოწყობილობის და სამადნო ტრანსპორტის შეძენას, შეადგენს 1.799.000 მანეთს.

აუცილებელია აგრეთვე ტრანსპორტის მექანიზაცია მაღაროებიდან ქარხნებამდე და ქარხნებიდან რკინის გზის ბაქანამდე. იმის გამო, რომ ასეთი ტრანსპორტი არ არსებობს, ამჟამად საჭირო ხდება საურმე გზების და ხიდების კაპიტალური შეკეთება. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ამ ტრანსპორტის თანდათანობით მექანიზაციასაც. იგი დაიწყება მიმდინარე 29-30 წელს იმ ანგარიშით, რომ ხუთი წლის დამლევს დამთავრდეს სავსებით მთელი ამ ტრანსპორტის მექანიზაცია.

გემების დატვირთვის მექანიზაცია

შავიქვის გემებზე დატვირთვის საერთო პირობები ამჟამად ასეთია: ფოთის ნავთსადგურში სპეციალურად შავიქვის დატვირთვისათვის გამოყოფილია სამი სანაპირო, რომელთა სიგრძე უდრის 918 მეტრს. პირველი სანაპიროს სიგრძე 385 მეტრს არ აღემატება, მეორესი 210-ს, ხოლო მესამესი, რომელიც ჩრდილოეთით მდებარეობს, 320 მეტრს. გემები ადგებიან სანაპიროს 27 ფუტის დაშორებით. ყველა ამ სანაპიროების სივრცე საშუალოდ იტევს 5-6 დიდ გემს.

შავიქვის დატვირთვა გემებზე ამჟამად ხელით სწარმოებს, ნავთსადგურში მოტანილი შავიქვის დიდი ნაწილი გადმოაქვთ საწყობებში, შემდეგ საწყობებიდან ისევ ვაგონებს ტვირთავენ, ვაგონებს ქვა მიაქვთ გემის ქიმთან, ხოლო ვაგონებიდან ქვა გადააქვთ ერთ გვარი რკინის ბადიებით, რომელშიაც ქვამადანი იყრება ნიჩბებით. დატვირთვის რაოდენობა დღე-ღამის განმავლობაში თანაბარი არ არის. იგი ხან მეტია, ხან ნაკლები, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ვაგონებს ხშირად აგვიანდებათ, მტვირთავი მუშების რიცხვი ხან მცირეა, ხან ბევრი, ხან კი ავდრის გამო შეუძლებელი ხდება ნაყოფიერი მუშაობა, ამიტომ დატვირთვა ირყევა 200-დან 1.400 ტონამდე დღე - ღამეში. ერთ ნავთმისადგომზე ფაქტიური დატვირთვა უდრის საშუალოდ 540 ტონას.

ექსპორტის მოსალოდნელ გადიდების დროს ეს საკმაო არ არის, რაც აუცილებლად ხდება გემზე დატვირთვის მექანიზაცია. კონცესიონერ ჰარიმანს პირობის ძალით ფოთში უნდა მოეწყო გადამტვირთველი, რომლის ნაყოფიერება 2 მილიონი ტონა უნდა ყოფილიყო. კონცესიონერს ეს პირობა არ შეუსრულებია, მან მხოლოდ შეადგინა გადამტვირთველის საესკიზო პროექტი, რომელიც შემდეგ განიხილა და დაამტკიცა გზათა სახკომის სამეცნიერო - სატეხნიკო კომიტეტმა. ტრესტს გადაწყვეტილი აქვს ამ პროექტის მიხედვით მოაწყოს გადამტვირთველი, რომელიც წლის განმავლობაში გადატვირთავს გემზე 1.600.000 ტონა შავ ქვას. ამავე დროს გადაწყვეტილია, რომ მოგვარდეს მთელი გადასატვირთი მადნის 65 პროცტის პირდაპირ ვაგონებით მიზიდვა გემებთან და, საერთოდ, მთელი გადასატვირთი ოპერაციების მაქსიმალური მექანიზაცია. ელევატორის მოწყობა და გემების დატვირთვის მექანიზაცია მოგვცემს 45 კაპიკს ეკონომიას თვითეულ ტონაზე, ანუ 720 ათასი მანეთის ეკონომიას 1.600.000 ტონის მარგანეცის ექსპორტის დროს. საგრძნობლად შემცირდება აგრეთვე ის თანხა, რომელსაც ვიხდით გემების ხანგრძლივი გაჩერებისათვის. ეს თანხა დაახლოებით 960 ათასი მანეთით შემცირდება.

მუშაობის დაწყება ელევატორის ასაგებად განზრახულია 29-30 წლისათვის. ელევატორი ჯდება 1,200,000 მანეთი.

ქარხნების რეკონსტრუქცია

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მადნის სარეცხი ქარხნების აღდგენასა და ახალი ქარხნების აგებას. ეს ღონისძიება შემდეგი მოსაზრებით არის ნაკარნახევი: ძველი ქარხნები არ არიან შეგუებულნი და არ შეეფერებიან მადნის თვისებებს. ამის გამო მადნის გარეცხის დროს იკარგება მადნის დიდი ნაწილი, რომელიც 45-65 პროც-ს აღწევს. ქარხნების კონსტრუქცია მეტისმეტი პრიმიტიულია. ეს კი იწვევს დიდი ენერგიის ხარჯვას და თხოულობს დიდ მოსამსახურე პერსონალს, რაც საგრძნობლად აძვირებს გარეცხვის თვითღირებულებას. ამჟამად ქარხნების მოწყობილობა დაცვეთილია, რის გამოც ხშირია ავარია და ქარხნების ხშირი შეკეთება დიდ ხარჯებს ითხოვს. იმის გამო, რომ ქარხნები გაფანტულნი არიან, იზრდება ხარჯებიც გარეცხილი მადნის გადასატვირთად. ამიტომ გადაწყვეტილია 1931-32 წლიდან ძველი ქარხნების უმრავლესობა დაიხუროს, გაუქმდეს სავსებით საურმე ტრანსპორტი იმ ანგარიშით, რომ 1932-33 წლიდან მთელი ამოღებული მადნის გარეცხვა გადავიდეს ცენტრალიზაციაქმნილ ახალ ქარხნებში.

მანამდე, ვიდრე ახალი სარეცხი ქარხნები იქნება აგებული, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ძველი ქარხნები, რომელნიც უნდა შეკეთდნენ იმდენად, რომ შესძლონ ამოღებული ქვის სავსებით გარეცხვა. არსებულ ქარხნების კაპიტალური რემონტისათვის გადადებულია 877 ათასი მანეთი. ამ თანხიდან პირველ წელიწადს უნდა დაიხარჯოს 257 ათასი მანეთი, მეორე წელიწადს 70 ათასი მანეთი, მესამეს — 50,000 მანეთი. 31-32 წლისათვის კი ამ ქარხნებს შესცვლიან ახლად აგებული ცენტრალიზაციაქმნილი ქარხნები, მაშასადამე, ფულის დახარჯვა მათ შესაკეთებლად უკვე საჭირო აღარ იქნება. ახალი ქარხნების ასაგებად პირველი წლისათვის გადადებულია 280 ათასი მანეთი, მეორე წლისათვის 2.120.000 მანეთი, მესამე წლისათვის 1.967.000 მან., მეოთხე წლისათვის 904.000 მან. ქარხნების წლიური ნაყოფიერება იქნება 1.260.000 ტონა. სულ აგებული იქნება სამი ცენტრალიზაციაქმნილი ქარხანა.

ელექტროფიკაცია

ხუთწლიან გეგმაში შედის მაღაროების და ქარხნების ელექტროფიკაცია ელექტრონის განათებით. პირველ ყოვლისა განზრახულია ქალაქის ელექტროსადგურის კაპიტალური შეკეთება, მის მამოძრავებლებისათვის სამარქაფო ნაწილების შეძენა, გენერატორის დადგმა და სხვ., რაც მოითხოვს 100 ათას მანეთს, 1929-30 წლისათვის გათვალისწინებულია მოტორების დადგმა 15 ქარხნისათვის, ერთი ელექტროსადგურის აგება, გადამცემი ხაზის ტრანსფორმატორის, აპარატურის დადგმა. ამას დასჭირდება 400 ათასი მანეთი. 30-31 წლისათვის სადგურები მიაწვდიან ენერგიას ყველა ქარხნებსა და მაღაროებს, წყალსაქაჩავებს. წინასწარ ამისათვის შეძენილი იქნება საჭირო მოწყობილობა, სულ 800 ათას მანეთად ღირებული.

31-32 წლიდან უკვე გამოყენებული იქნება რიონჰესის ენერგია. ქარხნებისა და მაღაროების გადაყვანას რიონჰესის ენერგიაზე დასჭირდება 50 ათასი მანეთი. ამგვარად ელექტროფიკაციაზე დახარჯული იქნება ხუთი წლის განმავლობაში სულ 850 ათასი მანეთი. ამ ხარჯებს გარდა ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს 4.500.000 მანეთის გაღებას რიონჰესის მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად ფერო-მარგანეცის ქარხნის საჭიროებისათვის.

პროდუქციის ზრდა

მაღაროების მექანიზაციას, ქარხნების რეკონსტრუქციას აუცილებლად მოჰყვება პროდუქციის ზრდაც. ხუთწლიანი გეგმით ეს ზრდა 27-28 წლიდან 32-33 წლამდე განისაზღვრება 9.162 ათასი ტონა ამოღებული შავი ქვით. აქედან 86,4 პროც-ტი იქნება გარეცხილი ქარხნებში, მხოლოდ დანარჩენი გაიზიდება საზღვარგარეთ ჩვეულებრივი მადნის სახით:

1927-28 წელს — 848,000 ტონა, 1928-29 წელს — 1.230.000 ტონა, 1929-30 წელს — 1.646.000 ტონა, 1930-31 წელს—1.928.000 ტონა, 1931-32 წელს — 2.058.000 ტონა, 1932-33 წელს — 2.290.000 ტონა.

თვითღირებულების შემცირება

კაპიტალურმა დაბანდებამ, საწარმოოთა გაფართოებამ და რეკონსტრუქციამ უნდა გამოიწვიოს შავიქვის თვითღირებულების შემცირება. ხუთწლიანი გეგმა შემდეგნაირად ითვალისწინებს თვითღირებულების თანდათანობით შემცირებას. მიმდინარე 29-30 წელს თვითღირებულებამ უნდა დაიკლოს— 10,8 პროც-ტით, 30-31 წ. 14,3 პროც-ტით, 31-32 წელს 28,6 პროც-ტით და 32-33 წელს 35,5 პროც. აბსოლ. ციფრებში თვითღირებულებამ თვითეულ გარეცხილ ტონაზე ჭიათურაში უნდა დაიკლოს 13 მან. 40 კაპეიკიდან — 8 მან. 45 კაპეიკამდე, ხოლო გაურეცხავზე — 6 მან. 8 კაპ-დან 4 მან. 79 კაპ-მდე. კომერციულმა თვითღირებულებამ ფოთში თვითეულ გარეცხილ ტონაზე 20 მან-დან 13 მან. 50 კაპ-დე, ხოლო ჩვეულებრივ შავ ქვაზე 12 მან. 68 კაპ-დან 9 მან. 54 კაპ-მდე. როგორც ამ ციფრებიდან სჩანს, უფრო კლებულობს გარეცხილი მადნის თვითღირებულება, ვიდრე გაურეცხავის, რაც აიხსნება გასარეცხი ქარხნების აგებით და გარეცხვის საქმის ცენტრალიზაციით. კომერციულ თვითღირებულების დაკლება კი მიეწერება შავიქვის საერთო ბრუნვის ზრდას, უმთავრესად კი იმ ეკონომიას, რომელსაც მოგვცემს დატვირთვა - გადმოტვირთვის მექანიზაცია.

შრომის ნაყოფიერება

რამდენადაც წლიდან - წლამდე სამუშაოების მექანიზაცია გაიზრდება და გაფართოვდება, მოიმატებს მუშა-ხელის ნაყოფიერებაც. 1928-29 წელს მუშის შრომის ნაყოფიერება უდრიდა 2,17 ტონას დღეში. თუ ამ ციფრს მივიღებთ საფუძვლად, შრომის ნაყოფიერების ზრდა მუშა - ხელზე ხუთი წლის განმავლობაში შემდეგი სახით წარმოგვიდგება: თვითეული მუშა - ხელის ნაყოფიერება უდრის 2,17 ტონას (100 პროც-ტი), 29-30 წელს შრომის ნაყოფიერება თვითეულ მუშა-ხელზე აღწევს 2,48 ტონას (114 პროც.), 30-31 წელს 2,80 ტ. (129 პროც.), 31-32 წელს 3,13 ტ. (144 პროც.), 32-33 წელს 3,78 ტ. (174 პროც.). ამგვარად თვითეული მუშის ნაყოფიერება ხუთი წლის დამლევისათვის გაიზრდება 74 პროც-ტით 28-29 საოპერაციო წელთან შედარებით. ნაყოფიერების ზრდა იქნება შედეგი, ერთი მხრივ, ყველა სამუშაოების მექანიზაციის და, მეორე მხრივ, ყველა მანქანების მაქსიმალურად გამოყენების წარმოების რაციონალიზაციის პირობებში, შრომის ნაყოფიერების ზრდას პარალელურად მიჰყვება ხელფასის ზრდაც. ხელფასი საშუალოდ თვითეულ მუშა-ხელზე გაიზრდება 64 მან-დან 86 მან-მდე, ანუ 35,5 პროც-ტით.

მუშა-ხელის რაოდენობა

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო 1928-29 წლისათვის მუშა - ხელის რაოდენობის აყვანა ყველა საწარმოებში 4.026-მდე, ფაქტიურად გასულ წელს მუშა-ხელის საშუალო რაოდენობა აღწევდა 4.000. შემდეგი პირველი ორი წლისათვის გათვალისწინებულია მუშა - ხელის ზრდა. მაგ. მიმდინარე 1929-30 წლისთვის მუშა-ხელის რიცხვი მიაღწევს 4.550 კაცს, 30-31 წლისათვის 4.542-ს, ხოლო ხუთწლედის მეოთხე წლიდან 31-32 წლ. სამუშაოების მექანიზაციისა და წარმოების რაციონალიზაციის გამო მუშა - ხელი შესამჩნევად დაიკლებს— 3.986-მდე, ხოლო 32-33 წელს მუშა-ხელის რიცხვი 3.470-ზე მეტ აარ უნდა იქნეს. მიუხედავათ ამისა, კვალიფიციურ მუშა-ხელის რაოდენობა მრეწველობაში მაინც მოიმატებს, რადგან სამთო მუშაობის მექანიზაცია და ტეხნიკური რეკონსტრუქცია მოითხოვს კვალიფიციურ მუშა-ხელის მეტ კადრებს. უკვე გასული წლიდან ტრესტი შეუდგა კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადებას. 28-29 წლისათვის გათვალისწინებული იყო 48 კვალიფიციური მუშის მომზადება სპეციალურად მაღაროების სამექანიზაციო სამუშაოებისა და ტრანსპორტისათვის. გარდა ამისა ჯავშნის წესით მომზადებული უნდა ყოფილიყო 142 მუშა-მნგრეველი. გასული წლის პირველ ნახევარ წელში ფაქტიურად მომზადებული იქნა 145 ჯავშნის ხაზით. 29-30 მიმდინარე წლისათვის მომზადებულ მუშა-ხელის რიცხვი უნდა გადიდდეს 164, აქედან ჭიათურის გარეთ მომზადებული იქნება 20 კაცი (დონბასში და კრივოი როგში), 30-31 წლისათვის დაგვჭირდება კიდევ 64 კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება. აქედან ფერო-მარგანეცის ქარხნისათვის 10 კაცი. 31-32 წელს (ფერო - მარგანეცისათვის) დაგვჭირდება 20 კაცი.

რაც შეეხება საინჟინერო - ტეხნიკურ პერსონალს, სამექანიზაციო მუშაობის ხელმძღვანელობისათვის მაღაროებსა და ქარხნებში 29-30 წლისათვის საჭირო იქნება კიდევ 6 ინჟინრისა და 16 ტეხნიკის მოწვევა. ამგვარად ინჟინერების რიცხვი მიაღწევს 20-ს, ხოლო ხუთი წლის დამლევს 24-ს. 29-30 წლისათვის ტეხნიკოსების რიცხვი გადიდებული იქნება 37-დან 53-მდე, ხოლო ხუთი წლის დამლევისათვის 69-მდე.

საბინაო მშენებლობა

მუშათა საბინაო მშენებლობას შავიქვის მრეწველობისათვის აქვს მეტად აქტუალური მნიშვნელობა, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ პროდუქციის საერთო ზრდას ხუთი წლის განმავლობაში. საცხოვრებელი საბინაო ფართობი იმდენად მცირეა ჭიათურაში, რომ მუშათა მნიშვნელოვან პროცენტს 8-12 ვერსის დაშორებულ სოფლებიდან უხდებათ სიარული, 6-24 ვერსის გავლა ყოველდღე ქანცავს მუშას და საგრძნობლად სცემს მის შრომას. მეორე მხრივ ასეთ პირობებში, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნება სამი ცვლის შემოღება საწარმოებში. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 32-33 წლისათვის საცხოვრებელი ფართობის გადიდება 37.210 მეტრამდე, რასაც დასჭირდება სულ 4.120 ათასი მანეთი. ეს ფართობი დააკმაყოფილებს დაახლოებით მუშათა მთელი რიცხვის 62,5 პროც-ს. ზემოხსენებული ფართობიდან 28-29 წელს აგებული უნდა ყოფილიყო 3.612 კვ. მეტრი. ამგვარად ძველ საცხოვრებელ ფართობთან ერთად მიმდინარე წლის დამლევისათვის უნდა ყოფილიყო 7.038 მეტრი, რაც დააკმაყოფილებს მთელი მუშათა რიცხვის 9,71 პროცენტს. 29-30 წლისათვის განზრახულია— 4.412 კვ. მეტრის აგება. ამ მიზნით შენდება 12 ორსართულიანი ქვის შენობა მუშათა რაიონებში და 8 ასეთივე სახლი ჭიათურაში კვალიფიციური პერსონალისათვის, სულ 984 კაცისთვის. ხარჯთაღრიცხვით გადადებულია ამ საქმისთვის 600 ათასი მანეთი, დამატებით საჭიროა კიდევ 400 ათასი მანეთი, 30-31 წლისათვის საცხოვრებელ ფართობს კიდევ უნდა მიემატოს 7.812 კვ. მეტრი, 31-32 წელს 8.333 კვ. მეტრი, ხოლო ხუთწლედის უკანასკნელ წელს 9.615 კვ. მეტრი. ამგვარად გამოსადეგი საცხოვრებელი ფართობი მიაღწევს 37.210 კვ. მეტრს, რომელიც დაიტევს 6.201 სულს (ერთ სულზე თუ ნორმად 6 კვ. მეტრს ვიანგარიშებთ), ანუ მუშებისა და მათი ოჯახის წევრების საერთო რიცხვის 62,5 პროცენტს. (32-33 წლისათვის მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი ჭიათურაში იქნება 3.305. თუ თვითეული მუშის ოჯახს სამი სულით განვსაზღვრავთ მივიღებთ 3.305×3=9.915). საბინაო მშენებლობა გაგრძელდება მეორე ხუთწლედში მთელი საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

შრომის დაცვა და უშიშროების ტეხნიკა

შრომის დაცვასა და უშიშროების ტეხნიკას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დამუშავების ნორმების შემოღებისა და სამთო - საქარხნო ოპერაციების ტემპის გაძლიერების გამო, რომელიც გამოიწვევს აუცილებლად სამთო მუშაობაში ხშირად გამოუცდელ ახალ მუშათა კადრების ჩაბმას, 28-29 წლისათვის ამ საქმისათვის გადადებული იყო 90 ათასი მანეთი, ხოლო მიმდინარე წლისათვის — 50 ათასი მანეთი, ეს თანხა სავსებით მოხმარდება დანიშნულებას. შემდეგ წლებში კიდევ დაიხარჯება ამ საქმეზე 150 ათასი მანეთი. სულ შრომის დაცვისა და უშიშროებისთვის გაღებული თანხა ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს 630 ათას მან.

წყალსადენები მაღაროებისა და სოფლებისათვის

წყლის მიწოდების საკითხი მთელი ჭიათურის რაიონის მცხოვრებისათვის მეტად მწვავედ სდგას. წინად, როგორც მუშები, ისე მოსახლეობა ხმარობდა წყაროების წყალს, რომელიც შავიქვის მადნების ზედაპირებიდან გამოდიოდა. შავიქვის ექსპლოატაციის გაძლიერებამ გამოიწვია ხიდაგის ძირს დაწევა, რასაც შედეგად ბევრი წყაროს დაკარგვა მოჰყვა, ამის გამო მოსახლეობა წყლის დიდ ნაკლებობას განიცდის. ამჟამად წყალს საჭიროებს დარკვეთი, პერევისი, თაბაგრებ, მღვიმევის და ქვედა და ზედა რგანის რაიონები. ხუთწლიანი გეგმით ამ სოფლებში წყალსადენის გასაყვანად უნდა დაიხარჯოს 350 ათასი მანეთი. კერძოდ მიმდინარე წელს ამ თანხიდან დაიხარჯება 68 ათასი მანეთი.

კულტდაწესებულებები

კულტდაწესებულებების მოსაწყობად გეგმა ითვალისწინებს 200 ათასი მანეთის დახარჯვას. შავიქვის ტრესტმა ამ თანხასთან შეფარდებით პროფორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად გამოიმუშავა კულტმშენებლობის პროგრამა, რომლის თანახმად 29-30 წელს დაიწყება ორი საკლუბო შენობის აგება მთავარ სამთო რაიონებში პერევისასა და მღვიმევში, რომლებიც თითქმის ყველა მაღაროებისა და ქარხნების ცენტრს წარმოადგენენ. ამ ორი კლუბის აგებას სჭირდება 50 ათასი მანეთი, ე. ი. თვითეულს 25 ათასი მანეთი. შემდეგ წლებში საკლუბო და სხვა სახის კულტმშენებლობა გაგრძელდება დანარჩენ რაიონებშიაც.

სამეცნიერო - საგამოკვლევო მუშაობა

სამეცნიერო - საგამოკვლევო მუშაობისა და გენერალურ კვლევა - ძიებისათვის ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 630 ათასი მანეთის დახარჯვა. ეს თანხა მოხმარდება ჭიათურის შავიქვის მრეწველობის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის საბოლოო დამუშავებას, ექსპერტების მოწვევას საბჭოთა კავშირიდან და უცხოეთიდან, მადნის გენერალურ სინჯვისა და საცდელი მუშაობის ორგანიზაციას სარეცხი ქარხნების და ელევატორის პროექტების დამუშავებას, მადნების მარაგის გამოკვლევას, რუქების შედგენას და სხვ. ამ თანხიდან მიმდინარე წელს უნდა დაიხარჯოს 150 ათასი მანეთი.

აი მოკლედ ის სამუშაოები, რომელთა დამთავრებას უნდა მოჰყვეს მთელი ჭიათურის შავიქვის მრეწველობის გადახალისება ახალ საფუძველზე, შავი ქვის მრეწველობის ხვედრითი წონის ზრდა მსოფლიო მარგანეცის წარმოებაში და მისი პირველობის აღდგენა მარგანეცის საერთაშორისო ბაზარზე.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობის 5 წლიანი გეგმა ციფრებში

მარგანეცის წარმოების ზრდა (ტონებში)

წლები	გარეცხილი	ჩვეულებრ.	ს უ ლ
1928/29	600.000	150.000	730.000
1929/30	800.000	200.000	1.000.000*)
1930/31	900.000	300.000	1.200.000
1931/32	1.100.000	300.000	1.400.000
1932/33	1.300.000	300.000	1.600.000

*) 5 წლ. გეგმის მეორე წლის 1929/30 წ. წარმოება გადიდებულია: გარეცხილი 1.100.000 ტ. და ჩვეულებრივი 150.000 ტ., სულ 1.250.000 ტონა.

ფერრო-მარგანეცის წარმოების დაწყება

წლები	ტონებში
1928/29	—
1929/30	—
1930/31	—
1931/32	40.000*)
1932/33	50.000

*) 5 წლედის უკანასკნელი 2 წლის წარმოების დანიშნულება—საექსპორტოა.

მარგანეცის ექსპორტი

წლები	გარეცხილი	ჩვეულებრ.	ს უ ლ
1928/29	600.000	150.000	750.000
1929/30	800.000	200.000	1.000.000
1930/31	900.000	300.000	1.200.000
1931/32	1.100.000	300.000	1.400.000
1932/33	1.300.000	300.000	1.600.000

მუშა ხელი*)

წლები	მუშები	მოსამს.	ს უ ლ
1928/29	4.026	233	4.259
1929/30	4.550	365	4.915
1930/31	4.542	384	4.926
1931/32	3.986	332	4.318
1932/33	3.470	303	3.773

*) ამ ციფრში არ შედის მრავალ სხვა დარგის მუშები, მაგალითად მტვირთავები, მშენებლები და სხვ. ამ ჟამად ჭიათურის შავი-ქვის ტრესტში მუშაობს 9.386 მუშა ხელი.

მარგანეცის თვითღირებულება*)

წლები	საქარხნო თვითღირებულება	კომერციული თვითღირებულება
	რკინ. გზ. ბაქნებზე	ფ ო თ შ ი
1928/29	6.08/13.40 მან.	12.68/20 მან.
1929/30	5.75/11.87 „	11.75/17.88 მ.
1930/31	5.48/11.42 „	11.44/17.38 „
1931/32	5.14/9.35 „	9.91/14.12 „
1932/33	4.79/8.45 „	9.54/13.50 „

*) მეორე ნაწევრის ნახევარი არის გარეცხილი ქვის თვითღირებულება, პირველი კი – ჩვეულებრივისა.

კაპიტალური ხარჯები 5 წლიან გეგმის მიხედვით.

1928/29 წ.	—	2.569.000 მან.
1929/30 წ.	—	9.878.000 „
1930/31 წ.	—	9.547.000 „
1931/32 წ.	—	7.258.000 „
1932/33 წ.	—	4.938.000 „
ს უ ლ		34.190.000 მან.

საერთო კაპიტალური დაბანდების ჯამი 34.190.000 მანეთი ნაწილდება შემდეგნაირად:

მაღაროებზე	12.985.000 მან.
საბინაო მშენებლობა	4.120.000 „
კულტურ. დაწესებულ.	200.000 „
შრომის დაცვის და ტეხნიკ. უშიშროების	630.000 „
სამეცნიერო-საგამოკვლეო სამუშაოთათვის	630.000 „
ფეროო-მარგანეცის ქარხანის	11.125.000 „
რიონჰესის მონაწილეობა	4.500.000 „
ს უ ლ.	34.190.000 მან.

50 წლის იუბილიარი და განახლებული ჭიათურა

1929 წელი უაღრესად მნიშვნელოვანი თარიღია ჭიათურის შავი ქვის ცხოვრებაში არა მარტო იმიტომ, რომ ეს წელი ჭიათურის მაღაროების რეკონსტრუქციის პირველი წელიწადია, იგი მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ ამ წელს შესრულდა 50 წელიწადი,—სრული ნახევარი საუკუნე მას შემდეგ, რაც არსებობს ჭიათურის შავი ქვა, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის სამრეწველო ერთეული. სწორედ 50 წლის წინათ, 1879 წელს, ჭიათურის მიდამოებში ამოღებულ იქნა პირველი ტონა მარგანეცი და იმავე წელს ევროპის ბაზარზე გაიგზავნა ჭიათურის შავი ქვით დატვირთული პირველი გემი. ამ პირველ გემის კვალს გაჰყვა გემთა მთელი რაზმი, რომელიც ძლევამოსილი ლაშქარივით შეიჭრა ევროპის შავი ქვის ბაზარზე, დაიპყრო იგი და გახდა მისი მბრძანებელი. მთელი 35 წლის განმავლობაში (1914 წლამდე) ევროპის ბაზარზე ჭიათურის შავ ქვას პირველობაში არავინ შესცილებია. მაგრამ დაიწყო მსოფლიო იმპერიალისტური ომი, ჩაიკეტა დარდანელი და ჭიათურის შავი ქვა მოწყდა ევროპის ბაზარს. მსოფლიო მძიმე ინდუსტრიას მოაკლდა ნედლეული, ხოლო ჭიათურის შავ ქვას გამსაღებელი. ჭიათურა, როგორც მარგანეცის მიმწოდებელი წარმოება ჩაკვდა. გაჭირვებაში ჩავარდა ევროპის მძიმე ინდუსტრია, რომელსაც უკვე აღარ ჰყოფნიდა სხვა ქვეყნებიდან მიწოდებული შავი ქვის მარაგი. მარგანეცის ფასმა საზღაპროდ აიწია. ფასის გადიდებამ მადა აღუძრა სხვა ქვეყნების შავი ქვის მრეწველთ, რომელთაც იკისრეს მაღალი ფასების პირობებში ევროპის ინდუსტრიის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. თანდათან, წლიდან წლამდე ევროპის მძიმე მრეწველობა შეეგუა ახალ საქონელს, მის თვისებას და ღირსებას შეუფარდა თავისი მუშაობა. და როცა უკვე ომის დამთავრების შემდეგ ჭიათურის შავ ქვას ევროპის ბაზარზე გამოსვლის საშუალება მიეცა, მისი წინანდელი მომხმარებელნი სხვის ხელში აღმოჩნდა.

ტეხნიკურად უკვე ჩამორჩენილ ჭიათურისათვის ძნელი იყო მოწინააღმდეგეების არა თუ განდევნა, არამედ მათთან სერიოზული გაჯიბრებაც კი. სამისოდ მას უნდა ჰქონოდა ისეთი ტეხნიკა, ისეთი შეიარაღება, როგორც მის კონკურენტებს. როგორც არ შეიძლება კაჟიანი თოფით შეიარაღებული მებრძოლის ტყვიისმფრქვეველით აღჭურვილს, ისე ჭიათურა არ შეიძლება თავის დღევანდელი ტეხნიკით გაუმკლავდეს ტეხნიკურად დაწინაურებულ მსოფლიო ფირმებს. თანამედროვე ტეხნიკური შეიარაღება კი მოითხოვს დიდ რესურსებს, დიდ თანხებს. საბჭოთა ხელისუფლებამ სწორედ ამ მიზნით სამი წლის წინად ჭიათურა კონცესიით გადასცა ჰარიმანს. მაგრამ ამ უკანასკნელმა არა თუ გაამართლა იმედი, არა თუ გაანაღდა მიღებული ვალდებულება, არა თუ აღადგინა და გადაახალისა ჭიათურის შავი ქვის წარმოება, არამედ იმდენად გააუარესა მისი მდგომარეობა, რომ ჭიათურამ კინაღამ დაჰკარგა მომხმარებელთა ის მცირე პროცენტიც, რომელიც მას ომის შემდეგ შერჩა.

სხვა გამოსავალი არ იყო. ისევ თვით ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს უნდა ეკისრა ჭიათურის, როგორც მსოფლიო სამრეწველო ერთეულის აღდგენა, ევროპის ბაზარზე მისთვის ძველი გაბატონებული მდგომარეობის დაბრუნება.

მან იკისრა ეს დიდი რთული ამოცანა. სწორედ ამ ამოცანის გადასაჭრელად მან ჭიათურისათვისაც შეადგინა თავისი ხუთწლიანი გეგმა, გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს ჭიათურის შავი ქვა ისევ გახადოს უკონკურენტო მბრძანებელი ევროპის ბაზარზე.

ამ გეგმით ჭიათურა ხელახლა იბადება, როგორც ნედლეულის მიმწოდებელი ევროპის მეტალურგიისათვის.

ჭიათურის ეს მეორე დაბადება ხდება სწორედ მაშინ, როცა ძველ ჭიათურას უკვე შეუსრულდა თავისი არსებობის 50 წელიწადი. ძველი ჭიათურა გზას უცლის განახლებულ ჭიათურას.

ძველისა და ახალის შეხვედრა მოხდა 1929 წელს, სწორედ იმ წელს, როცა ძველმა სიბერის ასაკს მიაღწია, ხოლო ახალს კი შეუსრულდა პირველი წელიწადი—რეკონსტრუქციის პირველი წელიწადი.

აი რატომ არის 1929 წ. მნიშვნელოვანი თარიღი ჭიათურის შავი ქვის ცხოვრებაში.

ახლა მოკლედ თვალი გადავავლოთ ამ ძველი ჭიათურის უახლოეს წარსულს, რომლის წიაღიდან უნდა წარმოიშვას ძველზე უფრო ძლიერი ახალგაზრდა ჭიათურა. თვალი გადავავლოთ იმ მიზნით, რომ უფრო ნათელი და აშკარა გახდეს გადახალისებული ჭიათურის ძალა და უპირატესობა, რომელსაც იგი აუცილებლად მოიპოვებს მსოფლიო ბაზარზე.

როგორც ვსთქვით, ჭიათურის შავი ქვის ჰარიმანზე გადაცემის უმთავრესი მოტივი იყო ჭიათურის ექსპორტის გაფართოება მაქსიმუმამდე და მისი უპირატესობის აღდგენა მსოფლიო ბაზარზე. კონცესიონერმა იკისრა ვალდებულება, რომლის ძალით ჭიათურა-შორაპნის ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა განიერ ლიანდაგიან გზად უნდა გადაეკეთებია, მოეხდინა შავი ქვის ამოღების, მისი ქარხნებში მიზიდვის და ფოთში გადატვირთვის მექანიზაცია. ერთი სიტყვით,—კონცესიონერს უნდა მიეღო ყველა ის ზომები, რომლებიც ისევ გააბატონებდენ საქართველოს შავ ქვას მსოფლიო ბაზარზე. მაგრამ კონცესიონერებმა არა თუ მოაწესრიგა ჭიათურის მრეწველობა ახალ საფუძველზე, არამედ პირიქით გაანადგურა და გააჩანაგა ისიც კი, რაც მანამდე იყო გაკეთებული ათეული წლების განმავლობაში. ასევე უანგარიშოდ და შეუგნებლად მოქმედებდა ჰარიმანი საერთაშორისო ბაზარზე. ჰარიმანმა საქართველოს შავ ქვაზე დააწესა ისეთი დიდი ფასი, რომლებიც სრულებით არ შეეფერებოდა მაშინდელ ნამდვილ ფასებს, და თუ ჰარიმანი მაინც ახერხებდა ჩვენი ქვის გატანას 4.000 ტონამდე (წელიწადში)—ეს აიხსნება მხოლოდ იმ გარემოებით, რომ ზოგიერთი ფირმები ხმარობდნენ უმეტესად ჩვენ შავ ქვას, რადგან მათი საწარმოების სადნობი ღუმელები სპეციალურად ჩვენი ქვისათვის არიან მოწყობილნი. (კონცერნები, „ბიტლეემ სტილ კომპანი", „კისინი", „კრუპი" და სხვ.) შავი ქვის მომხმარებელ ქვეყნების უმრავლესობა, რომელთაც არ ჰქონდათ საკუთარი მაღაროები, იძულებული გახდა თავის საჭიროების დასაკმაყოფილებლად მიემართათ სხვა წყაროებისათვის. ამით აიხსნება, რომ დაარსდა ორი სპეციალური ამხანაგობა ერთი გერმანული ფირმის „გუტე ხოფნუნგს ხიუტე"-ს მეთაურობით აფრიკის მაღაროების საექსპლოატაციო და მეორე ყოფილ რეიხსკანცლერ კუნოს მეთაურობით სამხრეთ-ანატოლიის მაღაროების საექსპლოატაციოთ; თვით შეერთებულ შტატებში მოხდა მარგანეცის მწარმოებელთა გაერთიანება იმ მიზნით, რომ ამერიკის შავი ქვის მრეწველობა აწიონ იმ ნორმამდე, რომ შესაძლებელი გახდეს საკუთარი მარგანეცით თავის მოთხოვნილების დაკმაყოფილება; საფრანგეთიც შეუდგა მაროკოს მარგანეცის ექსპლოატაციას და რკინის გზის გაყვანას მაღაროებიდან ნავთსადგურამდე.

საქართველო ს.მ.უ.-სთან მოწყობილმა შავი ქვის ტრესტმა კონცესიონერისაგან მემკვიდრეობათ მიიღო სწორედ ასეთი სიტუაცია მსოფლიოს შავი ქვის ბაზარზე, ხოლო თვით ჭიათურაში კი განადგურებული და განიავებული მრეწველობა.

ჭიათურაში მომქმედ 35 სარეცხი ქარხნიდან ტრესტმა სალ მდგომარეობაში ჩაიბარა მხოლოდ ერთი ქარხანა.

ასეთი მდგომარეობის მემკვიდრეს სჭირდება განსაკუთრებული ღონისძიებების მიღება, თუ სურს ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდეს.

სწორედ ამ ღონისძიებებს ითვალისწინებს შავი ქვის მრეწველობის განვითარების ხუთწლ. გეგმა. თუ რა წონის და ღირებულების არის ეს ღონისძიებები, ამას ააშკარავებს ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ციფრი: ხუთი წლის განმავლობაში შავი ქვის მრეწველობის რეკონსტრუქციაზე უნდა დაიხარჯოს— 34.190.000 მანეთი. ეს თანხა უნდა მოხმარდეს მაღაროების და ქარხნების რეკონსტრუქციას, ამოღების და გადატვირთვა-გადაზიდვის მექანიზაციას, ფერო-მარგანეცის ქარხნების აგებას, საბინაო და კულტურულ აღმშენებლობას.

ამ ღონისძიებების გატარებით არის მოსახერხებელი შავი ქვის მრეწველობის წინანდელი მდგომარეობის აღდგენა.

შესძლებს თუ არა ტრესტი ამ ღონისძიებების გატარებას, ეყოფა თუ არა მას რესურსები. ტრესტი რომ ამას შესძლებს, ამის თავდებია შარშან ჩატარებული ნაყოფიერი მუშაობა და მთელი შავი ქვის მრეწველობის ფინანსიური გეგმის უზრუნველყოფა საკავშირო წყაროებიდან.

ტრესტმა შავი ქვის მაღაროების ჩაბარებისთანავე ჩქარი ტემპით განავითარა მრეწველობის აღსადგენი მუშაობა, რასაც შემდეგი ციფრები მოწმობს:

კონცესიონერიდან ტრესტმა ჩაიბარა მხოლოდ ერთი მომქმედი მაღარო და ერთი გასარეცხი ქარხანა. 1928 წლის 1-ლ აგვისტოში ამოღებულ იქნა სულ 14.221 ტონა მარგანეცი. იმავე წლის ოქტომბრამდე უკვე აღდგენილ მაღაროების რიცხვმა 13 მიაღწია, ყოველთვიურმა ამოღებამ კი—55.827. 1920 წლის აპრილში მომქმედ მაღაროების რიცხვი უკვე უდრიდა 18-ს, ხოლო ამოღებული მადნის რაოდენობა 96.343 ტონას. ამავე წლის სექტემბერს ამოღებამ მიაღწია 143.536 ხოლო მაღაროების რიცხვმა 19-ს. სულ კონცესიონერის წასვლის დღიდან 14 უკანასკნელი თვის განმავლობაში ამოღებულია — 1.230.672 ტონა. ეს პროდუქცია სრულიად საკმაო აღმოჩნდა აღდგენილი ქარხნების დასაკმაყოფილებლად შავი ქვის მარაგით.

კონცესიონერის დროს ჭიათურაში მძვინვარებდა უმუშევრობა, ამჟამად სრულიად მოისპო და დღეს ჭიათურის რაიონის მუშათა კლასი მთლიანად ჩაბმულია საქმეში. კონცესიონერისაგან ჩაბარებულ ერთ ქარხანასა და ერთ მაღაროში მუშაობა მხოლოდ 450 კაცი (ამაში არ შედის ფოთის მტვირთავნი) მაღაროების და ქარხნების თანდათან აღდგენასთან ერთად მუშათა რიცხვიც იზრდებოდა, რომელიც გასული წლის ოქტომბერში უდრიდა 1.878, ხოლო ეხლა კი უდრის 9.500. ზრდის პროცენტი 1926 წ. აგვისტოსთან შედარებით 2.100 პროც. აღემატება.

გაიზარდა აგრეთვე ექსპორტიც. 1928 წ. აგვისტოში გატანილი იყო 23.360 ტონა შავი ქვა; 1929 წლის ივნისში—89.650 ტ., ხოლო სექტემბერში—92.624 ტ., 14 თვის განმავლობაში გატანა უდრის სულ 670.522 ტონას. ამგვარად ექსპორტის საქმეში ტრესტმა სავსებით შეასრულა დაკისრებული ამოცანა. მიწოდებული ქვის რაოდენობით ტრესტმა 100 პროცენტით განახორციელა თავის მთავარი კონტრაგენტის „ექსპორტმარგანეცის" საექსპორტო მოთხოვნილება. სპეციალურ კომისიის გამოკვლევით ტრესტმა წარმატებით ჩაატარა პირველი წლის სამუშაო პროგრამა. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ტრესტს უნდა ამოეღო 800.000 ტონა შავი ქვა, ნამდვილად კი ამოიღო 1.230.672 ტონა. ასე რომ პირველ წელიწადშივე ტრესტმა დაამყარა რეკორდი შავი ქვის წარმოების საქმეში.

როგორც კი დასრულდა ნაწილობრივად ქარხნებისა და სხვა საწარმოთა კაპიტალური რემონტი და ახალი შენობის აგება, ტრესტი შეუდგა ტრანსპორტისა და დატვირთვის მექანიზაციას. გამოყვანილია მავთულის საჰაერო გზები შავი ქვის მაღაროებიდან ქარხნებამდე, დაიწყო შენება ახალ ქარხნების, რომელთა დამთავრება ჭიათურას საშუალებას მისცემს შეუდგეს მსოფლიო ინდუსტრიისათვის ნედლეულობის მომარაგებას ფართო მასშტაბით. დაიწყო აგება საცდელი ღუმელისა ფერო-მარგანეცის გადასადნობად და მუშაობა ფერო-მარგანეცის ქარხნის პროექტის განსახორციელებლად. დაიწყო და უკვე შენდება ჭიათურაში ახალი საბინაო სახლები, რომელთა დამთავრება საბოლოოდ მოაგვარებს ბინის კრიზისს, რაც მეტად აბრკოლებს შრომის ნაყოფიერების ზრდას.

განვლილი პირველი წელიწადი იმის აშკარა მაჩვენებელია, რომ ჩვენ შევსძლებთ ჭიათურის მრეწველობის სრულ რეკონსტრუქციას დასახულ ვადაში. შეიძლება ვისმე დაებადოს ეჭვი იმაში, რომ ჭიათურა ვერ შესძლებს წინანდელი მდგომარეობის მოპოვებას შავი ქვის საერთო მარაგის სიმცირის გამო, მაგრამ ამ ეჭვს სავსებით აბათილებენ ჩატარებული გეოლოგიური გამოკვლევანი. ჭიათურის შავი ქვის საბადოების მთელი არე უდრის 18.610.000 კვ. საჟენს, ანუ 85 კვ. კილომეტრს, ხოლო ხელუხლებელი 146.000.000 ტონას. ამგვარად შავი ქვის მარაგი იმდენად დიდია, რომ ათეულ წლის განმავლობაში დამშვიდებით შეგვიძლია განვაგრძოთ მისი ექსპლოატაცია.

თუ რაოდენობის მხრივ ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის მდგომარეობა საიმედოა, კიდევ უფრო უკეთესია მისი მდგომარეობა ღირსების მხრით. მარგანეცის საქმის მსოფლიო სპეციალისტების და მეტალურგიის მცოდნე პირების დასკვნით, ხარისხის მხრით ჭიათურის შავ ქვას ბადალი არ ჰყავს.

ჭიათურას სხვა ქვეყნებთან შედარებით დიდ უპირატესობას აძლევს მისი გეოგრაფიული მდებარეობა. იმ დროს, როდესაც მარგანეცის მაღაროები ინდოეთის და ბრაზილიის მთელ მიდამოებში არიან მიმოფანტული, ერთიმეორისაგან 8 ათას კილომეტრით დაშორებული, ჭიათურის მადნები შეჯგუფებულია ერთ მცირე რადიუსიან რაიონში, ყველა მისი მაღარო მოთავსებულია ერთ რგოლში. გარდა ამისა ჭიათურა მდებარეობს ფოთის ნავთსადგურიდან 126 კილომეტრის მანძილზე, ფოთი კი იმ ნავთსადგურებს, სადაც მიაქვთ ჩვენი შავი ქვა (ლონდონი, როტერდამი), დაშორებულია მხოლოდ 3720 მილით მაშინ, როცა ინდოეთის მარგანეციანი ადგილები იმ ადგილებს, საიდანაც მიდის ქვა (ბომბეა, კალკუტა) დაცილებული არიან 745—800 კილომეტრით, ხოლო მანძილ ინდოეთის ნავთსადგურებსა და ლონდონ-როტერდამს შუა 7.960 მილ. აღწევს. ამიტომ ფრახტი ამ მანძილზე ღირს ორჯერ მეტი, ვიდრე ფრახტი ფოთიდან ლონდონ-როტერდამამდე. ამგვარად ჭიათურის შავი ქვის სამადნოები თვითღირებულების მხრით მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო იმყოფებიან გაცილებით უკეთეს პირობებში, ვიდრე მისი კონკურენტები.

ჭიათურის შავი ქვის თვითღირებულება კიდევ უფრო მეტად დაიკლებს, როდესაც მოგვარდება ქვის მექანიკური მიწოდება მაღაროებიდან ქარხნებში, ქარხნებიდან რკინის გზის ბაქანამდე, როცა მოეწყობა მადნეულობის ცენტრალური გარეცხვა და ფოთში მექანიკური დატვირთვა. ერთი სიტყვით, როცა დამთავრდება მთელი შავი ქვის მრეწველობის რეკონსტრუქცია. ამ სამუშაოების შესრულებას კი ითვალისწინებს ხუთწლიანი გეგმა.

ლ. რ—ძე.

შავი-ქვის მრეწველობა დღეს და ჩვენი მორიგი ამოცანები

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობა ს.მ.უ.ს. შავი-ქვის ტრესტის ხელში კვლავ გადავიდა მხოლოდ 1928 წლის აგვისტოდან. მანამდე, როგორც მკითხველებს მოეხსენება იგი, სამი წლის განმავლობაში ამერიკული ფირმის „ჰარიმანის" ხელში იყო.

ტრესტმა კონცესიონერისაგან მძიმე მემკვიდრეობა ჩაიბარა. დანგრეული მაღაროები საჭიროებდა აღდგენას, ხოლო გაძარცული ქარხნები ხელახალ მოწყობას. იმის საილუსტრაციოთ, თუ რამდენად გაუარესდა კონცესიონერის ხელში შავი ქვის მრეწველობა, კმარა შემდეგი ფაქტის დასახელება: კონცესიის გაცემამდე რამოდენიმე ათეულ მომქმედ მაღაროდან და 32 ქარხნიდან (3500 მუშა-ხელით) ტრესტმა ჩაიბარა ერთი მომქმედი მაღარო და ერთი მომქმედი ქარხანა, სადაც მხოლოდ 750 მუშა იყო დასაქმებული (მტვირთავებთან ერთად).

ჩაბარებისთანავე ტრესტი დაჩქარებით წესით შეუდგა მრეწველობის აღსადგენ მუშაობას. ჯერ კიდევ თავის საორგანიზაციო პერიოდში ტრესტმა განაახლა მუშაობა კონცესიონერის მიერ გაუქმებულ 20 მაღაროში. დანარჩენ მაღაროების აღსადგენად მუშაობა მიმდინარეობს და ამ მოკლე ხანში დამთავრდება. ტრესტის მუშაობამ გამოიღო სათანადო ნაყოფი, რაც აშკარად სჩანს ტრესტის მოქმედების დამახასიათებელ შემდეგ ცნობებიდან.

თვეები	ამოღება (ტონებში)	გარეცხვა (ტონებში)	ექსპორტი ფოთიდან (ტონებში)	მუშების რიცხ.	მომქმედი საწარმოთა რიცხვი. მაღარო-ები	ქარხ-ნები
1928 წ. აგვისტო	14.221	8.355	23.360	941	1	1
„ სექტემბერი	18.334	11.397	17.500	989	4	4
„ ოქტომბერი	36.363	21.615.	15.356	1.464	7	8
„ ნოემბერი	55.827	28.987	17.432	2.059	13	8
„ დეკემბერი	78.188	33.229	19.776	2.927	15	9
1929 წ. იანვარი	87.958	28.670	12.869	3.431	16	12
„ თებერვალი	76.909	31.504	41.753	4.557	17	12
„ მარტი	89.646	46.723	65.890	5.178	17	12
„ აპრილი	96.343	50.208	81.339	5.998	17	14
„ მაისი	105.417	52.423.	75.657	7.009	17	16
„ ივნისი	120.828	74.539.	89.660	7.865	18	16
„ ივლისი	149.917	82.791	67.923	8.616	18	16
„ აგვისტო	156.885	84.450	49.535	9.068	19	18
„ სექტემბერი	143.536	81.083	92.631	9.386	20	21

შავი ქვის თვიური ამოღება — 14.221-დან **გადიდდა 143.536 ტონამდე.** წარმოების ზრდის ტემპთან ერთად სისტემატიურად **იზრდება მაღაროებში და ქარხნებში დასაქმებულ მუშა-ხელის რაოდენობა, რომელმაც 941-დან 9.386 კაცს მიაღწია.**

წარმოების შემდგომ გაფართოების პროცესი ებჯინება საწარმოთა სრულ გადახალისების, ტრანსპორტისა და დატვირთვის მექანიზაციის საკითხს.

წარმოება ამჟამად განიცდის კვალიფიციურ მუშა-ხელის ნაკლებობას. მისი მომზადება მორიგ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

ზემოდმოყვანილი ცხრილი სისრულით გვიხატავს წარმოების სწრაფი ზრდის სურათს, მაგრამ, აღსადგენი მუშაობის დაჩქარებითი ხასიათის გამო, პირველი წლისთვის მიღებული საწარმოო პროგრამა შედგენილ იქნა ტრესტის საწარმოო შესაძლებლობათა ზუსტი აღნუსხვის გარეშე. აქ საჭირო ხდება საგანგებოთ შევაჩეროთ ყურადღება იმ სიძნელეებსა და დაბრკოლებებზე, რომელთა დაძლევა მოუხდა ტრესტს თავისი მუშაობის აღდგენის პროცესში.

ა) წარმოების მოწყობილობის ტეხნიკური და მორალური გაცვეთილობა იმ დონემდე იყო მისული, რომ მეტად აბრკოლებდა საწარმოთა შეუჩერებელ მუშაობას. ტრესტი განიცდიდა როგორც მანქანების ისე ძალოვან დადგმულობათა ტეხნიკური ნაწილების დიდ ნაკლებობას.

ბ) საინჟ. კვალიფიციური მუშა-ხელის ნაკლებობა იმ თავითვე საგრძნობი შეიქნა.

გ) დღემდე ჭიათურაში საცხოვრებელ ბინების სიმცირე, დ) განსაკუთრებით მწვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვედ იდგა და სდგას შინაგანი ტრანსპორტის საქმე. (მაღაროებიდან და ქარხნებიდან რკინის გზის ბაქანამდე მზა პროდუქციის გაზიდვის საქმე). ამ საკითხის გადასაჭრელად აუცილებელია შინაგანი ტრანსპორტის დაუყოვნებლივი მექანიზაცია. ე) რკინის გზის ტრანსპორტიც არ იყო და არ არის დამაკმაყოფილებელი. ამ საკითხის მოგვარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს შავი-ქვის სამრეწველო მეურნეობის სწრაფი აღდგენისათვის. ვ) კონცესიონერის მიერ მუშაობის შიკვეცით გამოწვეული უმუშევრობის პერიოდი ამჟამად უკვე გავლილია, მაგრამ საწარმოო მუშაობის შემდგომ გაშლას შეიძლება მოჰყვეს კვალიფიციურ მუშა-ხელის კრიზისი 29-30 საოპერაციო წლიდან. ამიტომ აუცილებელია ამთავითვე —წინასწარი ზომების მიღება.

ყველა ეს სიძნელე გამოაშკარავდა ტრესტის მუშაობის პირველ პერიოდში, ცხადია, ძნელი იყო მათი გათვალისწინება მუშაობის დასაწყისში.

შავი-ქვა უმთავრესად ხალდება უცხოეთის ბაზარზე. ამიტომ ამ პროდუქციის გასაღების პრობლემას ახასიათებს თავისებურება. რომ არაფერი ვსთქვათ იმაზე, რომ მსოფლიო მეტალურგია უფრო და უფრო მკაცრ მოთხოვნილებებს უყენებს შავი-ქვის ხარისხობრივ და მექანიკურ შემადგენლობას, ესეც რომ არ მივიღოთ მხედველობაში გასაღების და ბაზრის პრობლემა, რთულდება კიდევ იმ გარემოებით, რომ კონცესიონერის დამღუპველი პოლიტიკის წყალობით ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობამ დაჰკარგა თავისი პირველობა მსოფლიო ბაზარზე და ეხლა გვიხდება მისი ხელახლა დაპყრობა იმ ქვეყნებშიაც კი, სადაც ჩვენ ქვას მოდავე არ ჰყავდა. შავი-ქვის ექსპორტის და რეალიზაციის საკითხი ჩვენს წინაშე აყენებს მეტად პასუხსაგებ ამოცანას — ძველი ბაზრების აღდგენისა და ახალი ბაზრების დაპყრობის ამოცანას. ამ ამოცანის სირთულე გვავალებს ჩვენი პროდუქციის რეალიზაციისათვის მკაცრად დამუშავებული და მოფიქრებული პოლიტიკა ვაწარმოოთ.

ჩვენი შავი-ქვის გამოსვლამ მსოფლიო ბაზარზე და მისმა წარმატებამ ჩააფიქრა ჩვენი კონკურენტები, რომელნიც უკვე ეძებენ ნიადაგს ჩვენთან შესათანხმებლად. ჩვენ ეს მომენტი უნდა გამოვიყენოთ. ჭიათურის შავი-ქვის განდევნა ბაზრიდან ჩვენს კონკურენტებს უკვე არ შეუძლიათ, მაგრამ არც ჭიათურის შავ-ქვას შეუძლია მთლიანად ჩვენი კონკურენტების გაძევება მსოფლიო ბაზრიდან. ყოველი მათგანი თავის როლს თამაშობს და რამდენადაც ჩვენი კონკურენტები მიხვდენ ჩვენს ძალას, შეფიქრიანდენ ჩვენი გამოსვლით მსოფლიო ბაზარზე, ეს მომენტი, რაც შეიძლება, მეტი მოხერხებით უნდა გამოვიყენოთ. ამ საკითხის სწორი გადაჭრა ჩვენი საექსპორტო პოლიტიკის უახლოეს ამოცანას წარმოადგენს.

მ. ლორთქიფანიძე.

საქართველოს ფერო-მარგანეცის მრეწველობა

შავი - ქვა ფოლადის გადადნობის დროს არ იხმარება უშუალოდ, იგი იხმარება ნახევარ - ფაბრიკატის სახით, რომელიც შესდგება რკინა - ნარევი შავი - ქვის შენადნობისაგან. ეს შენადნობი არის ფერო - მარგანეცი. შავი - ქვის შემადგენლობა ფერო-მარგანეცში საშუალოდ უდრის 75-დან 85 პროც.-მდე.

რადგან ფერო - მარგანეცს კარგი ბაზარი აქვს და შესაძლოა ამ პროდუქციის რეალიზაცია მსოფლიო ბაზარზე, საქართველოში ფერო - მარგანეცის გადადნობის საკითხი წამოყენებულ იქნა ჯერ კიდევ 1906 წელს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ეს საკითხი გადადიოდა ერთი დისტანციიდან მეორეში და მხოლოდ 1924 წელს, საქართველოს სახკომსაბჭომ გადასწყვიტა— შეიქმნას საქართველოში ფერო - მარგანეცის მრეწველობა. მან 1927 წლის შემოდგომაზე მოაწყო ფერო - მარგანეცის განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაავალა ამ საკითხის შესწავლა. კომისიის მუშაობაში ჩაბმულ იქნენ გამოჩენილი გერმანელი სპეციალისტები — პროფ. ახკენაზი, ვილზერი, და ლუდინი. მან საბჭოთა კავშირის სპეციალისტებთან ერთად შეასრულა ყველა სამუშაო და მოგვცა ყოველმხრივ დამუშავებული მასალა შემდეგ საკითხებზე: 1) ენერგეტიულ, 2) ჰიდრო - გეოლოგიურ და სამთომადნეულ და, 3) გადამდნობი ღუმელების და, ტრანსპორტის საკითხებზე. კომისიამ შეისწავლა, თუ რამდენად გამოსადეგია საქართველოს ქვა - ნახშირი დაკოკსებისათვის, რამდენად გამოსადეგია ადგილობრივი რკინის მადანი, ელექტროდები და სხ. კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფერო - მარგანეცის წარმოების მოწყობა საქართველოში ყველა მოსაზრებით შესაძლო და სასარგებლოა. მთელი ეს მასალა განხილულ იქნა საქართველოს და ამიერ - კავკასიის უმაღლეს ორგანოებში, საკავშირო სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოში, საკავშირო სახელმწ. საგეგმო კომისიაში, სადაც დადასტურებულ იქნენ საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ გამოყოფილი, ფერო - მარგანეცის კომისიის დასკვნები.

მაგრამ ეს საკითხი ერთ წერტილზე გაიყინა მას შემდეგ, როცა ჭიათურის შავი-ქვის მადნები კონცესიად გადაეცა ჰარიმანს, რომელსაც მიენიჭა განსაკუთრებული უფლება — 1928 წლის ივლისის დამლევამდე განეცხადებია სურვილი ფერო - მარგანეცის ქარხნის აგების შესახებ. მხოლოდ კონცესიონერის წასვლის შემდეგ, კვლავ დადგა ეს საკითხი მწვავედ, მაგრამ გაცილებით უფრო ხელსაყრელ პირობებში, რომელთა შორის მთავარია: ლენინის სახელობის ჰიდროსადგურის — ზაჰესის ამუშავება, რიონჰესის და აბჰესის აგების დაწყება. ამის გამო, ფერო - მარგანეცის ქარხნის აგების საკითხი დამატებით იქნა გადამუშავებული და დადებითად გადაწყდა საკავშირო უმაღლეს ორგანოებში. გადაწყდა აიგოს საქართველოს ფერო - მარგანეცის ქარხანა, რომელმაც წელიწადში უნდა დაამზადოს 50.000 ტონა ფერო - მარგანეცი. გადაწყდა აგრეთვე შესრულდეს სამუშაოთა ნაწილი ქარხნის გასაფართოებლად დამატებითი პროდუქციისათვის (100.000 ტონა წელიწადში). ამავე დროს თბილისთან შენდება საცდელი ელექტრონის ღუმელები ფერო - მარგანეცის გადასადნობად. ქარხანა ამუშავდება 1931—32 წელში და დაჯდება 11.125.000 მანეთი.

საქართველოს სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა საპროექტო ბიურომ დაათვალიერა ყველა ადგილები, რომლებიც გამოსადეგად იყო ცნობილი ფერო - მარგანეცის ქარხნის ასაგებად. ბიურომ უფრო მიზანშეწონილად სცნო ამ ქარხნის აგება სად. ზესტაფონის მახლობლად, ჩხარის გზატკეცილის მარჯვენა მხარეზე მდებარე ადგილას.

ერთი ტონა ფერო - მარგანეცის დასამზადებლად საჭიროა შემდეგი მასალები: მარგანეცის მადანი (52 პრ.)—2.100 კილ. კოკსი—700 კილ., რკინის მადანი (50 პრ.) — 120 კილ. ქვა-კირი — 140 კილოგრ., ელექტროდები — 40 კილ. ამ მასალების მიწოდება ფერო - მარგანეცის ქარხნისათვის სავსებით უზრუნველყოფილი იქნება.

შავი - ქვის მადანი. ჭიათურის შავი-ქვის მადნების მარაგი ფერო - მარგანეცის წარმოებას უზრუნველჰყოფს უდიდესი მასშტაბით. გარდა ამისა, ფერო - მარგანეცის წარმოებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნან აჯამეთ - ჩხარის მადნები, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე ვერსით არიან დაშორებული ზესტაფონიდან. სპეციალური კომისიის გამოკვლევით, ეს მადნები სავსებით გამოსადეგია ფერო - მარგანეცის წარმოებისათვის.

რკინის მადნები. საქართველოში მთელი რიგი რკინის მადნებია. მათ შორის გამოკვლეულია: შროშა-უბისის მადნები; ქვიშა მაგნიტის რკინით შავი - ზღვის ნაპირზე სუფსა - ნატანების რაიონში; ჩათახის მადნები თბილისის სამხრეთით.

ქვა-ნახშირი და კოკსი. ლითონის გადადნობის პროცესებისათვის, საზოგადოდ, საჭიროა გამოყენებულ იქნას ქვა-ნახშირი, როგორც გადამდნობი და ალსადგენი საშუალება. ფერო - მარგანეცის წარმოებისთვის ელექტრონის ღუმელში ალსადგენ საშუალებად საკმაოა ნახევარკოკსი, თუ კი იგი წმინდაა და ცოტა ნაცარს შეიცავს. ამ მიზნით, გამოყენებულ უნდა იქნას როგორც ტყიბულის, ისე ტყვარჩელის ქვა - ნახშირი.

ქვა - კირი. ფერო - მარგანეცის ქარხნისათვის ქვა - კირის მიწოდების საკითხი კარგად სწყდება. გადამდნობი ქარხნის მახლობლად არიან კარგი ქვა - კირის დიდი მადნები. ეს ქვა - კირი შეიცავს ფოსფორს, და კაჟის სიმყავეს. ქვა - კირის ამოღების ღირებულება არ აღემატება 1,2 — 2,8 მან. ტონაზე.

ელექტროდები როდებერგის ელექტროდების დასამზადებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას გრუშევის ანტრაციტი; ეს არის ერთად - ერთი ნედლი მასალა, რომელიც საქართველოში არ მოიპოება. ანტრაციტის ღირებულება (ფრანკო ქუთაისი) შეადგენს 80,5 მანეთს ტონაზე. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროდების დასამზადებლად საჭიროდ იქნება ცნობილი ნავთის კოკსის გამოყენება, ეს შეიძლება მივიღოთ „აზნეფტში“ 104 მანეთად ტონა.

ცეცხლგამძლე მასალები. დასავლეთ საქართველოში სადგ. ძირულის მახლობლად არის ცეცხლგამძლე თიხის ბუდობები (შროშაში). ეს თიხა, პროფ. ვილზერის ცნობებით და პროფ. ახკენაზის ანალიზით, იძლევა უმაღლესი ხარისხის ცეცხლგამძლე მასალას, რომელიც აიტანს 1700°C ტემპერატურას. ამ ქარხნის აგება, რომელიც წელიწადში დაამზადებს 50.000 ტონას, დაჯდება 5 მილიონი მან. კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯთ - აღრიცხვის მიხედვით, ეს თანხა დაიხარჯება შემდეგნაირად: 1929 — 30 წელს — 2 მილიონი მან., 1930 — 31 წელს — 2 მილ., 1932 — 33 წელს — 1 მილ.

ფერო - მარგანეცის ქარხნის ამუშავება, როგორც ვსთქვით, განზრახულია 1931—32 წლისათვის. ქარხნის ნაყოფიერება შეადგენს 50.000 ტონას წელიწადში. 1931 — 32 წელს დაიწყება მუშაობა ფერო - მარგანეცის ქარხნის გასაფართოებლად იმ მიზნით, რომ ამ ქარხნის ნაყოფიერება შემდგომი ხუთი წლის დასაწყისში უდრიდეს 150 ათას ტონას წელიწადში. ამ სამუშაოზე განზრახულია დაიხარჯოს: 1931 — 32 წელს—3 მილიონი მანეთი, 1932 — 33 წელს — 3 მილიონი მანეთი.

ფერო - მარგანეცის ექსპორტი. გასასყიდი ფასი ფერო - მარგანეცის ერთ ტონაზე — 14 გირვ. სტერლინგი, ლითონის ერთეულზე — 14 პენსი, ფრახტი ფერო-მარგანეცისათვის — 15 შილინგი, ფრახტი მადნისათვის — 12 შილინგი. გასასყიდი ფასი — 12 გირვ. სტ. 5 შილინგი, რაც უდრის 117 — 60. თვითღირებულება ხუთწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრების მიხედვით, — 96—98. შესაძლო მოგება 20—70. (გირვ. სტერლინგის კურსად აღებულია 9 მან. 60 კაპ.).

1 ტონა მაღალი ხარისხის ფერო - მარგანეცის დასამზადებლად საჭიროა 2,5 ტონა, მარგანეცი, ხოლო ფოლადის დასამზადებლად 0,01 ტონა ფერო - მარგანეცი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ფოლადის მსოფლიო წარმოება 75 მილიონ ტონიდან 1913 წელს გაიზარდა 101 მილიონ ტონამდე, 1928 წელს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფერო - მარგანეცის მსოფლიო მოხმარება შეადგენს 1 მილიონ ტონას წელიწადში. ამას უნდა დაუმატოთ ის, რომ ფოლადის წარმოება იზრდება ყოველ თვეობით, რაიც გაადიდებს ფერო - მარგანეცის მოხმარებას. ეს ფაქტი ერთის მხრით და მეორეს მხრით ის ფაქტი, რომ ფერო - მარგანეცის მომხმარებელ მთავარ ქვეყნებს ესაჭიროებათ საიმპორტო ფერო - მარგანეცი, ნათლად მოწმობს, რომ ბაზარი ჩვენი ფერო-მარგანეცის იმ პროდუქციისათვის, რომელიც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით, სავსებით უზრუნველყოფილია.

გარდა ამისა, ფერო - მარგანეცი ესაჭიროება საკავშირო ლითონის ინდუსტრიას, რომელიც ჩვენი ფერო - მარგანეცის ქარხნის ამუშავების მომენტიდან მიიღებს უმაღლესი ხარისხის პროდუქტს.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ფერო-მარგანეცის ქარხნის გახსნა ავტომატიურად იწვევს მუშაობის დაწყებას მრეწველობის სხვა დარგებში (მაგ., კოკსი, ცეცხლგამძლე თიხა, რკინის მადანი, ქვა-კირი და სხვ.); რაც მუშათა ახალ კადრებს ჩააბამს მრეწველობაში.

დავ. წერეთელი.

მარგანეცის მრეწველობის კონცენტრაცია

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა მარგანეცის მრეწველობის ახალი გადიდებული საწარმოო პროგრამა 1929-30 წლისათვის. მთელი წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 1.250.000 ტონა მარგანეცის ამოღება, ამ რაოდენობიდან მარგანეცის სარეცხი ქარხნები გამოუშვებენ 1.100.000 ტონა გარეცხილ მადანს.

იმ მიზნით, რომ საწარმოო პროგრამის შესრულება გაადვილდეს, ს. მ. უ. საბჭომ წინადადება მისცა მარგანეცის ტრესტს მოახდინოს მარგანეცის სამრეწველო ერთეულების კონცენტრაცია. კონცენტრაცია უნდა დამთავრდეს 1-ლი ნოემბრისათვის. გარდა ამისა, მარგანეცის ტრესტს დავალებული აქვს შემოიღოს 6 დღიანი განუწყვეტელი საწარმოო კვირა და ზოგიერთ წარმოებებში აწარმოოს სამ ცვლათ მუშაობა.

ყველა აღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებისათვის თვალყურის დევნება დაევალა ს. მ. უ. ს. შრომის ეკონომიკის განყოფილებას.

გავაძლიეროთ განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის ტემპი

განუწყვეტელი საწარმოო კვირა--ინდუსტრიალიზაციის დაჩქარების მძლავრი იარაღია

განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ

საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება

1. საქართველოს ს.ს.რ. ყველა სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადაყვანა საჭიროდ იქნას ცნობილი.

2. წინადადება მიეცეს მ.-გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატს დაამუშაოს საკითხი საქართველოს ს.ს.რ. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადაყვანის შესახებ და მისი დაინტერესებულ დაწესებულებებთან და ამ.-კავ. მ.-გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმების შემდეგ, თავისი დასკვნა წარმოუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს, ერთი კვირის განმავლობაში.

3. წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს დაამუშაონ საკითხი თავიანთი აპარატების განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე მოკლე დროში გადაყვანის შესახებ.

თავმჯდომარე ფ. მახარაძე.
საქმეთა მმართველი
პრ. მეგრელიშვილი.
1929 წ. 24 სექტემბერი.

კულტმუშაობა და განუწყვეტელი წარმოება

განუწყვეტელმა წარმოებამ, რომელიც ოქტომბრიდან იწყება, უდიდესი როლი უნდა ითამაშოს მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებაში და თვალსაჩინოდ უნდა დააჩქაროს ხუთწლიანი გეგმის განხორციელების პროცესი. განუწყვეტელი წარმოების პირობებში ჩვენმა მრეწველობამ უნდა დასძლიოს ეკონომიური ხასიათის მრავალი სიძნელე, ნედლეულის, კვალიფიციური მუშა ხელის, ტექნიკური პერსონალის ნაკლებობა და სხვ. მაგრამ ამასთან ერთად საჭირო იქნება ბრძოლა მუშათა იმ ზოგიერთი ჯგუფების ჩამორჩენილ განწყობილებებთან, რომელნიც განუწყვეტელ წარმოებას მიიჩნევენ მათი ძველი ცხოვრების პირობების შელახვად, კვირა უქმე დღეებში დასვენების მოსპობის ცდათ და სხვ.

ზოგიერთი წარმოება მაინც წყებებად იმუ- განუწყვეტელ კვირაზე გადასვლის გამო შავებს. ამასთან დაკავშირებით პროფკავშირების წინაშე ისმება შემდეგი ძირითადი ამოცანები: განუწყვეტელი წარმოების მნიშვნელობისა და როლის ყოველმხრივ ახსნა-განმარტება, ბრძოლა ჩამორჩენილ განწყობილებებთან და დახავსებულ ყოფა-ცხოვრებასთან და მუშათა მასებისათვის კულტურული სამსახურის გაწევა ახალ პირობებში. ყოველმა მუშამ ნათლად უნდა შეიგნოს, თუ რის მოცემა შეუძლია განუწყვეტელ წარმოებას, ამის მიღწევა კი შეიძლება, თუ თანდათან განვუმარტებთ მუშებს ხუთწლიანი გეგმის შესრულების მნიშვნელობას. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების (კლუბები, წითელი კუთხეები, თეატრები, კინოები, მუზეუმები, სკოლები, ბიბლიოთეკები და სხვ.) მეორე ამოცანას წარმოადგენს მუშათა მასებისათვის განუწყვეტელი კულტურული სამსახურის გაწევის ორგანიზაცია. უკანასკნელი ამოცანაა, წყებებში მომუშავე მუშებისათვის კულტურული სამსახურის გაწევა. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გარდაქმნა,—აი ძირითადი გადაუდებელი ამოცანა. ჩვენს სინამდვილეში სათანადოთ ამ საკითხზე არავის არ უფიქრია. პირველ რიგში ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდონ პროფკავშირთა კლუბებმა და წითელმა კუთხეებმა. კულტურულმა კომისიებმა თავის დროზე უნდა შეისწავლონ განუწყვეტელი კულტურული სამსახურის გაწევის საკითხი და გამონახონ ისეთი მეთოდები, რომლებიც იმის საშუალებას უნდა იძლეოდნენ, რომ თანაბარი სისრულით დაკმაყოფილებულ იქნას მუშათა სხვადასხვა ჯგუფების კულტურული მოთხოვნილებანი. კულტმუშაკებს უნდა ახსოვდეთ, რომ განუწყვეტელი საწარმოო კვირა შემოღებული იქნება პირველი ოქტომბრიდან, და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ამ დროსთვის შეაფარდონ.

ნ. ჭელიძე.

განუწყვეტელი საწარმოო კვირა

თბ. ალმასკომში

თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა რაც. ბიუროს მიერ წარმოდგენილი აღმასკომის იმ ქვემდებარე დაწესებულებების სია, რომელნიც პირველ რიგში უნდა იქნენ გადაყვანილი განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე.

შესაფერ მოხსენების მოსმენის შემდეგ პრეზიდიუმმა დაადგინა დღეიდან, 15 ოქტომბრიდან, განუწყვეტელი სამუშაო კვირა შემოღებული იქნეს თბ. აღმასკომის აპარატში, მის განყოფილებებში და ქვემდებარე დაწესებულებებში. განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე სულ გადავა 79 ერთეული.

აღმასკომის წარმოებებში განუწყვეტელ სამუშაო კვირის შემოღების გეგმა ცალკე მუშავდება.

სატრანსპორტო - სამომხმარებლო კოოპერაციაში.

10 ოქტომბრიდან განუწყვეტელი სამუშაო კვირა შემოღებულია სატრანსპორტო-სამომხმარებლო კოოპერაციაში.

მთელი პასუხისმგებელი მუშაკები დაყოფილია ორ ჯგუფად და გამოსასვლელ დღეებში მუშაობენ შენაცვლებით. ასეთივე წესია შემოღებული დანარჩენ თანამშრომლებისთვისაც.

ჭიათურის წარმოებებში

განუწყვეტელი საწარმოო კვირა ჭიათურის მაღაროებში შემოღებული იქნება 1-ლ ნოემბრიდან. ამის გამო 16 ქარხანაში მუშაობა იწარმოებს სამ ცვლად.

განუწყვეტელი სამუშაო კვირა შემოღებული იქნება, როგორც წარმოებებში, ისე საწყობებში და ტრანსპორტზე.

კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭროებში

მუშკოოპის და სატრანსპორტო-სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭროები და საწყობები განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადავლენ 20 ოქტომბრიდან, ხოლო „სახ. ვაჭრობის“ სავაჭრო დაწესებულებები—15 ოქტომბრიდან.

განათლების კომისარიატში

15 ოქტომბრიდან განათლების სახალხო კომისარიატი გადადის განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე. განსახკომის დაწესებულებების და სკოლების განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადასაყვანად მუშავდება ცალკე გეგმა.

ა.-კ. ნავთსადგურების სამმართველოში

გზათა კომისარიატის დადგენილების თანახმად, ამიერ-კავკასიის ნავთსადგურთა განყოფილება და შინა წყლებზე ნაოსნობის სამმართველო მთელი თავისი აპარატით და ქვემდებარე დაწესებულებებით 15 ოქტომბრიდან გადადის განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე.

განუწყვეტელ კვირაზე გადაყვანილნი იქნებიან ბათუმის, ფოთის და სოხუმის ნავთსადგურები, მდ. მტკვარი, რიონი, სევანის ტბა და სხ.

მაქსიმ გორკის სახელობის სკოლაში

მაქსიმ გორკის სახელობის მეორე 10-წლიანი შრომის სკოლა გადავიდა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე.

თბილისის აღმასკომში

თბილისის აღმასკომი განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადავა 20 ოქტომბრიდან.

შრომის ბირჟაში

დღეიდან, 15 ოქტომბრიდან, თბილისის შრომის ბირჟა გადადის განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე.

სახალხო მეურნეობის ინჟინერთა კადრით უზრუნველყოფის შესახებ

საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება

საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს 1928 წ. 29 აგვისტოს დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების ტემპის დაჩქარების მიზნით, საქართველოს სსრ სახ. მეურნეობის საინჟინერო პერსონალის კადრებით თავის დროზე უზრუნველყოფისათვის,—სახ. მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, საქ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიიღოს ზომები რათა გაძლიერებულ იქნას პრაქტიკანტების გადამზადება და აწეულ იქნას ინჟინრების კვალიფიკაცია, საკავშირო სმუს მიერ მოწყობილ კვალიფიკაციის ასამაღლებლად კურსებზე გასაგზავნ პირთა რაოდენობის გადიდების გზით, იმ ვარაუდით, რომ 1929—30 წლის განმავლობაში კურსებზე გასაგზავნ პირთა რაოდენობა შეადგენდეს არა ნაკლებ 10 პროც. პრაქტიკანტების და ინჟინრებისა, რომლებიც კვალიფიკაციის ამაღლებას საჭიროებენ.

2. დაევალოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საქ. განათლების სახ. კომისარიატთან ერთად:

ა) 29—30 წლის დასაწყისისათვის დამთავროს საქ. სახ. პოლ. ინსტ. ინდუსტრიალური ფაკულტეტების და განყოფილებათა მიმაგრება სათანადო საწარმოებზე და უზრუნველყოფილი იქნას სამეცნიერო გამოკვლევითი დაწესებულებების გამოყენება სასწავლო მიზნებისათვის.

ბ) დამთავრებულ იქნას მომავალ სასწავლო წელში საქ. უმაღლეს სასწავლებლების და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების ინდუსტრიალურ და სამრეწველო-ეკონომიურ განყოფილებების სასწავლო გეგმების და პროგრამების გადაკეთება დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით.

3) განათლების სახალხო კომისარიატმა გააძლიეროს და გააფართოვოს მუშების და მუშის შვილების უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში შესვლისათვის მოსამზადებელი კურსები და საქ. საგეგმო კომისიაში ორი თვის განმავლობაში წარადგინოს ამ კურსების გაფართოვების გეგმები.

4. საქ. სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭომ და საქ. შრომის სახ. კომისარიატმა უზრუნველჰყონ 29—30 წელში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების მოსწავლეებისათვის განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკის გატარება; მრეწველობის, საკრედიტო, სატრანსპორტო, სავაჭრო და კავშირგაბმულობის წარმოებაში არა ნაკლებ სამჯერ მეტი რაოდენობისა, ვიდრე 28—29 წელში იყო პრაქტიკანტები, და მიღებულ იქნას ზომები, რათა ეს პრაქტიკა წარმატებით ჩატარდეს, რისთვისაც უნდა გაუმჯობესდეს მოსწავლეების და მათი ხელმძღვანელთა საორგანიზაციო-ტექნიკური და მატერიალური ყოფა-ცხოვრების პირობები.

5. ახლად გახსნილ საშუალო ტექნიკური სასწავლებლების და აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლების და უმაღლეს ტექნიკური სასწავლებლების ახალი განყოფილებების და კათედრების ორგანიზაციის საქ. სახ. მეურნეობის განვითარების გეგმასთან უფრო მჭიდრო დაკავშირებისათვის, საქ. განათლების სახ. კომისარიატმა ორი თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს საქ. საგეგმო კომისიაში ამ ახალი საშუალო ტექნიკური სასწავლებლების, უმაღლეს და უმაღლეს ტექნიკური სასწავლებლების განყოფილებების და კათედრების ორგანიზაციის პროექტები.

ამ პროექტებში ნაჩვენები უნდა იყოს სპეციალიზაცია, სამოსწავლო გეგმების უმთავრესი ელემენტები, მასწავლებლები, შენობებით და სამოსწავლო სახელსაწყოებით უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებანი, განზრახული აღმშენებლობა და აგრეთვე ძირითადი საფინანსო ანგარიშები.

6. 29—30 წელში მიღებულნი უნდა იქნან საზღვარგარედ კვალიფიკაციის ასამაღლებლად ახალგაზრდა, ყველაზე ნიჭიერი და საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის საჭირო სპეციალისტები, რომლებმაც უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები დაამთავრეს.

7) 29-30 წელში გადიდდეს ახალ ასპირანტების და იმ დაწინაურებულ სტუდენტების კონტინგენტი, რომლებიც ემზადებიან ასპირანტობისათვის პოლიტექნიკურ ინსტიტ. ინდუსტრიალურ ფაკულტეტებზე, იმ ვარაუდით, რომ მათი რაოდენობა 30—31 წელში შეადგენდეს არსებულ სამეცნიერო მუშაკთა არა ნაკლებ 20% -სა.

8) წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს წარმოუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს მოსაზრებანი იმ თანხების შესახებ, რაც საჭიროა ინჟინერებისა და ტექნიკოსების კადრის მოსამზადებელ სასწავლო დაწესებულებათა და ღონისძიებათა ფინანსირებისათვის.

9) დაევალოს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას ერთი თვის განმავლობაში წარუდგინოს საქ. სახკომ. საბჭოს თავისი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რანაირ საორგანიზაციო ფორმებში უნდა გამოიხატოს ურთიერთო კავშირი იმ ორგანოთა შორის, რომლებიც საინჟინრო-ტექნიკურ კადრების აღზრდას გეგმავენ ან ხელმძღვანელობენ.

10) დაევალოს საქ. მ. გ. ინსპექციის სახ. კომისარიატს გადაათვალიეროს იმ ცენტრალურ დაწესებულებათა შტატი, რომლებიც აწარმოებენ სპეციალისტების მომზადების დაგეგმვას და ხელმძღვანელობენ სათანადო სასწავლო დაწესებულებებს, აპარატის ამ ნაწილის თვისობრივი და რაოდენობრივი გაძლიერების მიზნით.

საქართველოს ს. ს. რ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.
საქმეთა მმართველი პრ. მეგრელიშვილი.
1929 წ. 1 ოქტომბერი.

რევოლუციონური ლიტერატურის საერთაშორისო ბიუროს დელეგაცია თბილისში

დელეგაციის შემადგენლობა

გუშინ საღამოს თბილისში ჩამოვიდა რევოლუციონური ლიტერატურის საერთაშორისო ბიუროს დელეგაცია ამხ. ბელა ილეშის მეთაურობით. დელეგაციაში შედიან: ცნობილი პროლეტარული მწერალი და გერმანიის პროლეტარულ-რევოლუციონური მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. იოჰანეს ბეხერი, უნგრეთის პროლეტარული მწერალი — მატე ზალკა, უნგრელი პროლეტარული მწერალი შანდე კაგანი, (დელეგაციის მდივანი), ცნობილი გერმანელი პროლეტარული მწერალი და გაზ. „პრავდა“-ს კორესპონდენტი ამხ. ანდორ გაბორი. გარდა ამისა დელეგაციაში შედიან გერმანელი პროლეტარული მწერალი ლუდვიგ რენი, რომელიც რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა თბილისში და პოლონელი პროლეტ. მწერალი—ბრუნო იასენსკი.

დელეგაციის დანარჩენ წევრებს—ჩეხოსლოვაკიის პროლეტარულ პოეტს და მწერალს ამხ. ვაისკოფს და რუსეთის პროლეტარულ მწერალს და კრიტიკოსს ამხ. სათანოვს თბილისში მოელიან ამ დღეებში. პროლეტარულ მწერალთა სრულიად საკავშირო გაერთიანებიდან დელეგაციას ახლავს—ამხ. ი. ვარდინი.

შეხვედრა სადგურზე

დელეგაციის ჩამოსვლის წინ სადგურზე თავი მოიყარეს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის და საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის წარმომადგენლებმა და ცალკე მწერლებმა. სადგურის წითელ დარბაზში ამხ. ვარდინმა დელეგაციის წევრები. გააცნო საქართველოს მწერლების წარმომადგენლებს.

შემდეგ დელეგაციას გერმანულ ენაზე მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის წარმომადგენელმა გრ. რობაქიძემ. მან აღნიშნა ის სიხარული, რომლითაც ხვდებიან საქ. საბჭოთა მწერლები რევოლუციონური ლიტერატურის უდიდეს მოღვაწეთ ჩამოსვლას თბილისში.

შემდეგი მისასალმებელი სიტყვით გამოდის საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წარმომადგენელი სანდრო ეული. მან იმედი გამოსთქვა, რომ საქართველოს პროლეტარული მწერლებიც შეიძლებენ თავისი წვლილი შეიტანონ საერთაშორისო რევოლუციონურ ლიტერატურაში, რომელიც ხელს უწყობს და აჩქარებს საერთაშორისო ოქტომბერს მთელ კაპიტალისტურ სამყაროში.

ამხ. ბელა ილეშის საპასუხო სიტყვა

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. ბელა ილეშმა.

— მხურვალე მადლობა,—განაცხადა მან,—და ძმური სალამი საქართველოს საბჭოთა და პროლეტარულ მწერლებს. საქართველოში ჩვენი ჩამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ საკუთარი თვალით ვნახოთ, თუ როგორ მუშაობს და რას აკეთებს საქართველოს მშრომელი ხალხი. უცხოეთში ჩვენ ბევრი რამ გვესმოდა საქართველოს შესახებ, მაგრამ ეს ცნობები გამომდინარეობდნენ საქართველოს მუშებისა და გლეხების მტრებისაგან—აქედან გადახვეწილი ქართველი ემიგრანტებისაგან.

საქართველოში, სხვათაშორის, შევამოწმებთ იმასაც, თუ რამდენათ მართალი არის ის ინფორმაცია, რომლითაც ჰკვებავენ ევროპის მშრომელებს ბურჟუაზიული გაზეთები. მიიღეთ გულითადი სალამი მთელი დელეგაციისაგან, რომელიც თქვენთან ერთად ამბობს: „გაუმარჯოს წითელ საბჭოთა საქართველოს“.

ამხ. ბელა ილეშის სიტყვა დაჰფარა მქუხარე ტაშმა. სიტყვების დამთავრების შემდეგ დელეგაციის წევრები გაემგზავრნენ დასასვენებლათ.

როგორ ჩატარდა მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე

გარე-კახეთში

სამზადისი

გარე-კახეთის რაიონის სოფლებში ფართო მოსამზადებელი მუშაობა ჩატარდა მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღისათვის. დღესასწაულის ჩასატარებლად წინასწარ ჩამოყალიბებული იყო ცენტრალური კომისია რაიალმასკომთან და ქვე-კომისიები—სასოფლო საბჭოებთან. მოსამზადებელ მუშაობაში ჩაბმული იქნა სოფლის კულტურული მუშაკები და მშრომელი გლეხობის აქტიური ნაწილი. მოსამზადებელი მუშაობა გეგმიანად მიმდინარეობდა. ყველა საუკეთესო კულტურული ძალები და ადგილობრივი პასუხისმგებელი ამხანაგები მიმაგრებული იქნენ რაიონის სოფლებზე რამდენიმე დღით ადრე დღესასწაულის ჩატარებამდე.

12 ოქტომბერია. გარე-კახეთის გლეხობა უკვე მზადაა დიდი დღესასწაულის შესახვედრათ. თბილისიდან ჩამოსულ მუშათა ბრიგადების, შეფების და ადგილებზე მიმაგრებული ამხანაგების ენერგიული მუშაობით, უკვე მომზადებულია ნიადაგი ახალი კოლექტივების დასაარსებლად.

— მზადა ვართ კოლექტიური შრომისათვის, გადავწყვიტეთ კიდეც ჩამოვაყალიბოთ ძლიერი კოლექტივი, მიუხედავათ იმისა, რომ კულაკები ცდილობენ ხელი შეგვიშალონ ამ საქმეში—აცხადებენ სოფ. პატარძეულის გლეხები თბ. საშეფო საბჭოს წარმომადგენელ ამხ. სტეფანოვთან საუბარში.

12 ოქტომბერს საღამოთი ყველგან ტარდება მოხსენება-საუბრები მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის ამოცანებზე და აგრეთვე გაეწყობილებული საღამოები თბილისელ სტუმრების შესახვედრათ.

სტუმრებთან

13 ოქტომბერია. სოფლები მორთულია საზეიმოთ. თბილისიდან სპეციალური მატარებლით ჩამოვიდნენ სოფლის შეფები და ათასამდე მუშა-მოსამსახურე.—ძვირფას სტუმრებს გლეხობა სადგურებზე შეეგებნენ სიმღერითა და მუსიკით. გარე-კახეთის სოფლებს ეწვივნენ აგრეთვე ამხ. ლ. სუხიშვილი, ტყაბლაძე, სტეფანოვი, მარკმანი, გილაშვილი, ინჟ: ქურდიანი და სხ: მუშების საზეიმო შეხვედრის შემდეგ მუშები და გლეხები ხელიხელ ჩაკიდებულნი ერთად განაწილდნენ სამუშაოებზე. მუშებისა და გლეხების ერთად მუშაობის სურათი საამური და ამაფრთოვანებელი იყო ყველა მათთვის, ვინ გამსჭვალულია ახალი ქვეყნის მშენებლობის იდეით.

გაძლიერებთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას

13 ოქტომბერს, გარდა იმ მუშაობისა, რომელიც ტარდებოდა გარე-კახეთის რაიონის სოფლებში, საფუძველი ჩაეყარა ახალ კოლექტიურ მეურნეობებს. ახალი კოლექტივები დაარსდა შემდეგ სოფლებში: სოფ. კაკაბეთში—1 კოლექტივი, რომელშიც გაერთიანდა 26 მეურნეობა, ჩაილურში—2 კოლექტ. მეურნეობა, ბურლაზში ერთი კოლექტივი, თოხლიაურში 1 კოლექტივი, გიორგწმინდაში 1 კოლექტივი, ნინოწმინდაში 1 კოლექტივი, ახტალაში—1 კოლექტივი, პატარძეულში 1 მსხვილი კოლექტივი „ქალაქისა და სოფლის კავშირის“ სახელწოდებით, ამ კოლექტივში გაერთიანდა 80 მეურნეობა, ხაშმში—1 კოლექტივი, სართიჭალაში—1 კოლექტივი, მალხაზოვკაში 1 მსხვილი კოლექტივი 70 მეურნეობის შემადგენლობით, უჯარმაში—1 კოლექტივი, გომბორში—1 კოლექტივი, მულაალოში ერთი კოლექტივი, საგარეჯოში 2 კოლექტივი. გარდა ამისა მოხდა მთელი რიგ კოლექტივების გამსხვილება. აღსანიშნავია ის, რომ თბილისის საოლქო კომისიის გეგმით განზრახული იყო მთელ ოლქში 19 კოლექტ. დაარსება; გარე-კახეთის რაიონში დაარსდა 18 კოლექტივი. კოლექტივების ყველა წევრები ჩაბმული იქნენ სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის წევრებათ და ყველა კოლექტივის წევრებმა შეიძინეს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაცია.

შეფებმა სამაგალითოდ შეასრულეს დავალება

საზეიმო დღის შეფები გლეხობას ეწვივნენ საჩუქრებით; შეფების უშუალო მონაწილეობით დაარსდა ახალი კოლექტივები, მათივე მონაწილეობით მთელ რიგ სოფლებში გაყვანილი იქნა გზები, ბოგირები, წყალი, შეკეთდა და საფუძველი ჩაეყარა კულტურულ დაწესებულებათა შენობებს და სხ.

საგარეჯოში

საგარეჯო 13 ოქტომბერს არაჩვეულებრივი სანახავი იყო, ეს დღე საგარეჯოს და მთელი გარე-კახეთის მშრომელთათვის დაუვიწყარი იქნება. აქ, 13 ოქტომბერს, ერთ და იმავე დროს საფუძველი ჩაეყარა სამ უდიდეს საქმეს: 48 ოთახიან სკოლის შენობას, რომელიც რამდენიმე ასი ათასი მანეთი დაჯდება ელექტრო-სადგურს და აბანოს. მუშაობდა ყველა მუშა, გლეხი და მშრომელი ინტელიგენცია ზეიმითა და აღფრთოვანებით.

გარე-კახეთის სოფლებში გარდა ზემოაღნიშნულისა, ჩატარდა მთელი რიგი ახალი სამუშაოები. საგარეჯოში და სართიჭალაში მოეწყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენები; 14 ოქტომბერს დაიწყო კოლექტივიზაციის ჰექტარის მოხვნა, გლეხთა ექსკურსიები და სხვ.

ალ. ბედ—ლი.

ჩოხატაურის რაიონში

ჩოხატაური, 14 ოქტომბერი. ჩოხატაურის რაიონში მოსავლიანობისა და კოლექტივიზაციის დღის ჩატარებისათვის ადრევე დაიწყო სამზადისი. 14 ოქტომბერს სოფლებში და კოლექტივებში დაიგზავნა აგიტკოლონები, მოეწყო გლეხთა ექსკურსიები აგროპუნქტებისა და კოლექტიურ მეურნეობათა დასათვალიერებლად. აბულიდის მოწაფეებმა მასწავლებლებთან ერთად მოაწყვეს შაბათობა, დახმარება გაუწიეს ღარიბ მოწაფეთა ოჯახებს, სკოლის მეურნეობაში გაასუფთავეს ჩაის პლანტაცია, გადაბარუნეს საყანე და საბოსტნე მიწა, გაიყვანეს არხები. მოწაფეებმა სკოლის ეზოს 5 ჰექტარზე მოწყობილ მეურნეობას უწოდეს ამხ. მარიამ ორახელაშვილის სახელობის მოწაფეთა კოლექტივი. ორ საათზე აღმასკომის წინ გაიმართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია და სახელდახელო მიტინგი რევოლუციონური სიმღერებით, პლაკატებით, ლოზუნგებით, სამუშაო იარაღით, საკრედიტო ამხანაგობამ გადასცა თანხა ამხანაგობის 27 ღარიბეთ გლეხის მისაღებად. სწრაფად გაცხოველებული მზადება 7 ნოემბრისათვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოსაწყობად.

პ. ცინცაძე.

პურის დამზადება

წლიური გეგმა შესრულებულია 115,5 პროც.

10 ოქტომბრამდე პურის დამზადების წლიური გეგმა მთელ საქართველოში შესრულებულია 115,5 პროცენტით. ცალკე რაიონების მიხედვით: კახეთის ოლქში — 130,9 პროცენტით, გორის ოლქში — 110,7 პროც.-ით, თბილისის ოლქში—141,2 პროც.-ით, ახალციხის მაზრაში — 66,2 პროც-ით, ახალქალაქის მაზრაში — 94 პროც.-ით.

აეროპლანი „წითელი სამეგრელო“

ახალსენაკი, 14 ოქტომბერი. (საქ. კორესპ.) თვითმფრინავ „მუშა და ფაბრიკა“-ს ჩამოფრენის გამო, მრავალრიცხოვან მიტინგზე დადგენილ იქნა სენაკის მაზრამ ააგოს ამხ. სამს გიუბეტკარის სახელობის თვითმფრინავი „წითელი სამეგრელო“. ამავე მიზნით სენაკის მაზრამ გამოიწვია ზუგდიდის მაზრა, რომელმაც მიიღო ეს წინადადება.

მაზრაში თავდაცვა - ავიაქიმის ორგანიზაცია უკვე აწარმოებს საჭირო მუშაობას, თვითმფრინავის ასაგები ფონდის შესაგროვებლად. თვითმფრინავის აგება ჯდება 35 ათასი მანეთი. სენაკის მშრომელი მოსახლეობა: მუშები, გლეხები, მოსამსახურეები, მშრომელი ქალები და ორგანიზაციები შეძლებენ საკუთარი თვითმფრინავის აგებას მტრის დასამარცხებლად.

გ. უჩანეიშვილი.

რა ხდება ადგილებზე

ამხ. მიხა ცხაკაია თელავში

თელავი, 14 ოქტომბერი. (საქ. კორ.) 13 ოქტომბერს ჩამოვიდა ამხ. მიხა ცხაკაია. საზეიმო სხდომაზე მან გააკეთა ვრცელი მოხსენება. ხალხი ოვაციით შეხვდა

ვან—ლი.

ქუთაისის კომკავშირის დიდი მიღწევები

ქუთაისი, 12 ოქტომბერი. დაიხურა ახალგაზრდათა კომკავშირის ქუთაისის პირველი სარაიონო კონფერენცია. კონფერენციამ მოისმინა ორი მოხსენება: ახალგაზრდათა კომკავშირის სრულიად საქართველოს კონფერენციის შედეგები და კომკავშირის მონაწილეობა საბჭოთა აპარატის წმენდაში. პირველი საკითხის გამო კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც სავსებით იწონებს სრულიად საქართველოს კონფერენციის დადგენილებებს. მეორე მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში კონფერენცია კომკავშირის ახალი შემადგენლობის რაიკომს, რომელიც 65 პროცენტით არის განახლებული და რომლის შემადგენლობაშიაც მრავალი ახალგაზრდა მუშა და მოჯამაგირე იქნა შეყვანილი, წინადადება მიეცა — გააძლიეროს მუშაობა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის და საბჭოთა აპარატის წმენდის საქმეში და აქტიური მონაწილეობა მიიღოს სოციალისტურ შეჯიბრებაში. რეზოლუციაში აღნიშნულია აგრეთვე, სარაიონო ორგანიზაციის მიღწევები გახრწნილი ელემენტების გამოაშკარავების საქმეში რაც კომკავშირმა ჩაატარა პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციებში. დიდი მუშაობა მოუწყვია „მსუბუქ კავალერიას“, რომელმაც მრავალ დაწესებულებაში აღმოაჩინა კლასობრივი ხაზის გამრუდების შემთხვევები. აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ არც ერთი საზოგადოებრივ - პოლიტიკური მუშაობა არ ჩატარებულა კომკავშირელთა მონაწილეობის გარეშე (ადს).

მოღალატე და მექრთამე მენშევიკი პროკურორის როლში

ზესტაფონი, 12 ოქტომბერი. ჭიათურის და ზესტაფონის მუშებმა შეამოწმეს შორაპნის რაიონის სასამართლოს პარტუჯრედი და გამოარკვიეს, რომ რაიონის პროკურორის თანაშემწედ მსახურობს ვინმე მოდებაძე, რომელიც წარსულში აქტიური მენშევიკი იყო. მან დამალა თავისი წარსული მენშევიკობა და ასე მოახერხა კომუნისტურ პარტიაში შეძრომა. პროკურორის თანაშემწე თანამდებობაზე მოდებაძე ამრუდებდა კლასობრივ ხაზს და სისტემატიურად მფარველობდა კულაკებს და ვაჭრებს. მოდებაძეს დაუმტკიცდა მექრთამეობა და თვითდაბეგრის გზით შეგროვილი თანხის მითვისება. მოდებაძე მდიდრების შვილებს ქრთამით ათავისუფლებდა წითელ ჯარში გაწვევისაგან. ასეთი „შემოსავლით“ მან აიგო საკუთარი სახლი და შექმნა მეურნეობა. დამტკიცდა აგრეთვე, რომ მენშევიკების დროს მოდებაძემ მენშევიკების ხელისუფლებას გადასცა საიდუმლოდ მომუშავე ბოლშევიკების ჯგუფი. შემამოწმებელმა კომისიამ მოდებაძე გამორიცხა პარტიიდან და დასვა საკითხი მისი თანამდებობიდან მოხსნის შესახებ (ადს).

ქუთაისის ოლქში

სესხი მასიურად ვრცელდება

მესამე ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანია საბჭოთა და სავაჭრო დარგის მუშაკების პროფკავშირმა ბრწყინვალედ ჩაატარა. არ დარჩენილა არც ერთი მუშა-მოსამსახურე სესხზე ხელმოუწერელი.

სოც. შეჯიბრების შემოწმება

5 ოქტომბრიდან ქუთაისის პროფკავშირებში დაიწყო სოც. შეჯიბრის შედეგების შემოწმება. დაიწყო აგრეთვე ძველი კოლხელშეკრულებების გადასინჯვა და ახლის დადება.

პროფსაბჭოში

ამ ორი დღის წინათ ქუთაისში დამთავრდა საოლქო პროფსაბჭოს პირველი პლენუმი, რომელზედაც გარჩეული იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა სოციალისტური შეჯიბრების ჩატარება ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელება და საბჭოთა აპარატის წმენდა. პლენუმმა გამოიმუშავა ღონისძიებები მუშაობის გასაცხოველებლად ამ გადაუდებელ ამოცანების გარშემო.

დასის დაბრუნება

ერთი კვირაა, რაც მწვანე კონცხიდან ქუთაისში დაბრუნდა აკადემიური თეატრის დასი კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით, თეატრის შენობას უკეთდება კაპიტალური რემონტი, რის გამო დასი ამჟამად მოსამზადებელ მუშაობას მომავალ სეზონისათვის აწარმოებს მუშათა ცენტრალურ კლუბში და კინო „ეთერის“ შენობაში.

შვებულებიდან უკვე დაბრუნდა და თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა თეატრის დირექტორი დაწინაურებული მუშა ამხ. კოსტა თავბერიძე.

ავტომობილის კატასტროფა ოზურგეთში

ოზურგეთი, 14 ოქტომბერი. (ტელეგრ. ჩვენი კორესპონდ.) გუშინ, დილის 9 საათზე ოზურგეთიდან გავიდა „საქართველოს ჩაის“ ადგილობრივი განყოფილების ავტომობილი, რომელშიაც ისხდა 12 მუსიკოსი. მუსიკოსები მიემგზავრებოდნენ ნაგომრის რაიონში აგიტკოლონასთან შესაერთებლად.

ოზურგეთიდან ნახევარი კილომეტრის მანძილზე მანქანას წინ შემოეჩეხა რამდენიმე ძროხა. შოფერი არ დაიბნა და საქონელს გვერდი თავისუფლად აუარა, მაგრამ ამ დროს ავტომობილს მოულოდნელად წინ გადაურბინა 6 წლის ბავშმა. შოფერი შეეცადა მარცხის თავიდან აცილებას, მაგრამ ამაოდ! მანქანა მძლავრად დაეტაკა ბავშს და შორს გადაისროლა იგი, შემდეგ კი დაეჯახა ტელეგრაფის ბოძს, გადაბრუნდა, თხრილში ჩავარდა და დაიმსხვრა.

კატასტროფის დროს სასიკვდილოდ დაშავდა ასთაიანი ბავში, ორი მგზავრი დაშავდა მძიმედ, დანარჩენი მსუბუქად.

დაშავებულთ აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

კატასტროფის ადგილზე გამოცხადდნენ პროკურორი, მილიციის უფროსი, „საქართველოს ჩაის“ წარმომადგენელი და სხვები.

შოფერი დაპატიმრებულია.

ბ. მასხულია.

ბრძოლა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოსთან დასავლეთ საქართველოსა, აფხაზეთის ს.ს.რ.-სა აჭარისტანის ავტონომიურ ს.ს.რ.-სა და სამხრეთ - ოსეთის ავტონომიურ ოლქში სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან საბრძოლველად კომიტეტის დაარსების შესახებ.

, რადგანაც საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 11-ს დადგენილებით, საქართველოს ს.ს.რ. ზოგიერთი რაიონები მიმდინარე წელში მომხდარ სტიქიურ უბედურებათა გამო, ცნობილია მოუსავლიან რაიონებად, საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაარსებულ იქნეს საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოსთან დასავლეთ საქართველოსა, აფხაზეთის ს.ს.რ.-ასა, აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ასა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან საბრძოლველად კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), გ. მგალობლიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), მ. კახიანი, ლ. ღოღობერიძე, ლ. სუხიშვილი, ვ. ბოლქვაძე, ს. ჯუღელი, პ. ქუთათელაძე, ა. საკიანი, გ. მამალაძე, ე. ღვამიჩავა, ნ. ლაკობა, ზ. ლორთქიფანიძე, აბაევი, ა. ერისთავი, შ. ლეჟავა, ს. ვირსალაძე, ნ. მახვილაძე, ს. კანდელაკი, ა. ბუაჩიძე, შ. ნუცუბიძე, ი. ჟვანია, ჭანკვეტაძე, არუთინოვი, თ. დოლიძე, ი. თრანგულაიანი, ლ. ნაზარეთიანი და ბ. მაჩაიძე.

საქარ. ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.
საქარ. ს.ს.რ. სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
პ. მეგრელიშვილი.
1929 წ. ოქტომბრის 11,
თბილისი—სასახლე.

მზად ვართ იარაღით დავიცვათ საბჭოთა კავშირის საზღვრები

მოხალისეები--შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში

მე, მინადორა სოლომონის ასულ. ვაშაკიძემ ხონის აზრ. ძაფსაღ. ქარხნის მუშამ, გაზეთებიდან გავიგე, რომ მოხალისეთ ეწერებიან შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში, მეც მაქვს დიდი სურვილი გვერდში ამოუდგე ჩვენს მებრძოლ ძმებს და ოქტომბრის მონაპოვარი დავიცვა იარაღით ხელში. გთხოვთ ჩამრიცხოთ შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში.

მინადორა ვაშაკიძე.

ჩვენს სოფლამდის მოაღწია ცნობამ შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის შექმნის შესახებ. გვაქვს სურვილი მივიღოთ მონაწილეობა მშრომელთა ბრძოლაში ჩინელ ხუნხუზების და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ, რომლებიც თავს ესხმიან საბჭოთა კავშირის მშვიდობიან მოსახლეობას და ამიტომ ვეწერებით შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში.

ნიკოლოზ ჯინჭარაძე, მაკარი ჯინჭარაძე.
(ქუთაისის ოლქი, სოფ. გომი)

ვეწერები მოხალისეთ შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიის რიგებში, რათა იარაღით ხელში დავიცვა დიდი ოქტომბრის მონაპოვარი თავისუფლება.

ალექსანდრე ბაბუნია.
(ა.-კ. რკინის გზების დამცველი რაზმის მსროლელი)

ჩვენ, ქ. ახალსენაკის კომკავშირის ორგანიზაციის წევრები, ვეწერებით მოხალისეებათ შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის რიგებში, რათა დავიცვათ საბჭოთა კავშირი ჩინელი ბანდიტების და თეთრგვარდიელთა ყაჩაღურ თავდასხმისაგან, ვიძლევით სიტყვას, რომ არ დავიხევთ უკან და გავცემთ ბანდიტებს სათანადო პასუხს.

ანტონ გეგეჭკორი, ვალერიან კალანდარიშვილი, სერგო გოგინავა, გრიგოლ ხოშტარია, შალვა გაბისკირია.

მოხალისეების შესახებ

როგორ იწარმოებს მოხალისეების სამხედრო მომზადება

საკავშირო თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ცენტრალური საბჭოს დადგენილების თანახმად, მოხალისეების სამხედრო მომზადების საქმე დაეკისრა თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ორგანიზაციებს.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა შეიმუშავა და დაუგზავნა თავის ადგილობრივ ორგანიზაციებს ცირკულიარი მოხალისეებს შორის სამხედრო მუშაობის შესახებ.

ცირკულიარში აღნიშნულია, რომ ამ ბოლო დროს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, ბევრ ადგილას სტიქიურად ჩამოყალიბდა ათასეულები, ლეგიონები და დივიზიებიც კი, რომლებშიაც შედიან მოხალისე მშრომელები. რათა არ შეიქმნეს პარალელიზმი მოხალისეთა და ტერიტორიალური ნაწილების მუშაობაში, თავდაცვა-ავიაქიმი წინადადებას აძლევს თავის ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ დაშალონ მოხალისეთა ნაწილები, აიყვანონ აღრიცხვაზე ყველა მოხალისენი და სასწრაფოდ შეუდგენ მოხალისეთა შორის სამხედრო მუშაობის წარმოებას.

მოხალისეთა აღრიცხვა ევალება მხოლოდ თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედებს. ვინაიდან ბევრ მოქალაქეს, რომელსაც სურს მოხალისეთ შესვლა წითელი ჯარის რიგებში, არ აქვს სამხედრო მომზადება, ამიტომ ისინი ჩაირიცხებიან სამხედრო ცოდნათა პირველი საფეხურის წრეებში, სადაც შეიძენენ მებრძოლისათვის საჭირო ცოდნას.

სამხედრო ცოდნათა მეორე საფეხურის წრეებში ჩაირიცხებიან ის მოხალისენი, რომლებსაც უმსახურიათ წითელ ჯარში და იცნობენ სამხედრო საქმეს.

სამხედრო ცოდნათა წრეებში ჩარიცხვის დროს ყურადღება მიექცევა მოხალისეების სპეციალობას.

თადარიგის მეთაურები, რომლებსაც აქვთ სურვილი შევიდნენ მოხალისეებათ წითელ ჯარში, გამოყენებული იქნებიან ინსტრუქტორებათ და დაინიშნებიან მეთაურებათ და პოლიტხელმძღვანელებათ.

მოხალისეებისაგან შეკრებილი ცალკე ერთეულები (წრეები), შეკავშირებული იქნებიან მსხვილ ერთეულებათ, მხოლოდ არა უმეტეს ლეგიონებისა. გარდა თეორეტიული მეცადინეობისა, ერთეულები გაივლიან აგრეთვე პრაქტიკულ მეცადინეობასაც, როგორიც არის მანევრები, ლაშქრობა, ველად გასვლა და სხვა.

კოოპერაციამ უნდა მოაწესრიგოს ვაჭრობა

რა აღმოჩნდა თბ. ბაზრის სახელდახელო გამოკვლევის დროს

იმის გამოსარკვევად, თუ რა უწყობს ხელს კოოპერატიულ სავაჭროებთან რიგების ზრდას, ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს პრესის წარმომადგენელთან ერთად კვირას, 13 ოქტომბერს, მოაწყო თბილისის ბაზრის მფრინავი გამოკვლევა.

ჩვენი ბაზარი ამჟამად განიცდის ზოგიერთ საგნის ნაკლებობას, მაგრამ საქონლის არსებული მარაგის განაწილება რომ წესიერად სწარმოებდეს, კუდები საგრძნობლათ შემცირდებოდა. რიგების ზრდას ნაწილობრივ ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ მოსახლეობა ეძლევა უსაფუძვლო შიშს და ცდილობს შეიძინოს ზედმეტი საქონელი. მეორეს მხრივ, და უმთავრესად, რიგების ზრდაში ბრალი მიუძღვით ჩვენ კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომლებმაც სავაჭრო წერტილებში აქამდე ვერ მოაგვარეს შტატის რაციონალური მუშაობა. ამაში ჩვენ მტკიცედ დაგვარწმუნა უკანასკნელმა გამოკვლევამ.

მაგალითად მუშკოოპის მაღაზიაში № 7 (ავლაბარი) რძის ნაწარმოების გაცემას აწარმოებს ერთი კაცი, მასთან რიგში იდგა 73 კაცი, რომელთაც უკვე მიღებული ჰქონდათ ჩეკები, ე. ი. ფული უკვე გადახდილი ჰქონდათ. ამ მაღაზიაშივე მოსამსახურეებს ნაწილი სხვა განყოფილებებში არც იმდენად იყვნენ დატვირთულნი, რომ შესაძლებელი არ ყოფილიყო მათი მიშველება (დროებით—სანამ მყიდველების რაოდენობა შემცირდებოდა).

ამავე მაღაზიაში სადუქნო კომისიის წევრი ოსიპოვი რიგს გარეშე იღებდა შაქარს 5 წონაკით.

ავლაბრის დახურულ ბაზარში, სადაც დილაობით მყიდველ მომხმარებელთა რაოდენობა 500—600-მდე აღწევს, დილის ცვლაში მუშაობს მხოლოდ ორი მოლარე, რომლებიც რასაკვირველია, ვერ ასწრებენ მყიდველთა დროზე განთავისუფლებას, რაც იწვევს „კუდების“ ზრდას.

ასეთივე მდგომარეობა იყო „ზაკტპო“-ს მაღაზია № 17-ში. მაღაზია სავსე იყო მყიდველებით და გარდა ამისა ქუჩაში რიგში იდგა 125 კაცი. ამ მაღაზიის სალაროში მუშაობს მხოლოდ ერთი მოლარე, რომელიც, რასაკვირველია, ვერ აუვიდოდა ამდენ ხალხს.

მუშკოოპის მაღაზია წყნეთის და ვარდისუბნის ქუჩების კუთხეში დღეში ანაწილებს ხორცს არა ნაკლებ 25 ფუთისა. ამ განყოფილებაში (ხორცის) მუშაობს მხოლოდ ერთი კაცი.

აღსანიშნავია, რომ თითქმის წესად არის გადაქცეული კოოპერატიულ მაღაზიებში სურსათ-სანოვაგის გვიან მიტანა. რამდენიმე სავაჭროში დილის 11 საათისთვის კიდევ არ იყო მიტანილი კარტოფილი, რის გამო ამ მაღაზიებთან კარტოფილის მოლოდინში გამწკრივებული იყო დიდძალი ხალხი.

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მიერ შემუშავებულია კალოშების გაცემის წესი, რომლის მიხედვითაც მოქალაქეებს კალოშები ეძლევათ პურის წიგნაკებით. ამასთანავე პურის წიგნაკში აღნიშნული უნდა იქნას კალოშის გაცემა. ზოგიერთი მაღაზიაში კალოშების გაცემა არ ნიშნავენ წიგნაკში, რასაცა შეიძლება შედეგად მოჰყვეს ის, რომ ერთი და იგივე მოქალაქე რამდენჯერმე მიიღებს კალოშს და უკალოშოდ დარჩება მუშა-მოსამსახურეთა ნაწილი, რადგან კალოშები განსაზღვრული რაოდენობით არის შემოზიდული.

საჭიროა მოვაჭრე ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად.

ბ. ტ.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა რაიონულ კომიტეტებს პარტსწავლის მორიგ დღეს, ხუთშაბათს, 17 ოქტომბერს, პარტგანათლების მთელ ქსელში (ყველა საფეხურში: მთლიან პარტსკოლაში საღამოს საბპარტსკოლამდე და სხვ.) დაამუშაონ:

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 24 სექტემბრის მიმართვა და თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმის ა-წ. 28 სექტემბრის რეზოლუცია.

ამ საკითხზე სამშაბათს, 15 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში შესდგება პროპაგანდისტთა და პარტგანათლების ყველა ტიპის სკოლების ხელმძღვანელთა თათბირი. გამოცხადება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი ე. ასრიბეკოვი.

1929 წ. 15 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე სასახლის წითელ დარბაზში მოწვეულია

საზოგადოება „წერა-კითხვა“-ს სრულიად საქართველოს პირველი ყრილობა

ყრილობის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1) კულტურული რევოლუცია და საზოგადოება „წერა-კითხვა“-ს ამოცანები.
2) საზ-ბის ცენტრალური გამგეობის ანგარიში.
3) სარევიზიო კომისიის ანგარიში.
4) მთავარპოლიტგანის მოხსენება (წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის დარგში 3 წლიანი გეგმის შესახებ).
5) კომკავშირის ამოცანები წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაში.
6) არჩევნები.

ქრონიკა

საბჭოთა აპარატის წმენდა

თბ. აღმასკომში წმენდა დაიწყება 1 ნოემბრიდან. პირველ რიგში გაიწმინდება თელასი, ფინანსიური და საადგილ-მამულო განყოფილებები.

თელასის გამწმენდი კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. **გელაშვილი,** ხოლო ფინანსიურ და საადგილ-მამულო განყოფილებების გამწმენდ კომისიის თავმჯდომარედ ამხ. **ტყაბლაძე.**

თანხები კაპიტალური სამუშაოებისათვის

ს. მ. უ. საბჭოში მიღებულია ცნობა, რომ უმაღლესმა საკავშირო ორგანოებმა დაამტკიცეს 1929—30 საბიუჯეტო წლისათვის, საქართველოს მრეწველობის კაპიტალურ სამუშაოებისათვის საჭირო თანხა—29.730.000 მანეთის რაოდენობით. ამ თანხაში არ შედის ელექტროფიკაციის და ნაწილობრივ ადგილობრივი მრეწველობისათვის საჭირო თანხა.

სტუდენტთა ყოფა - ცხოვრების გასაუმჯობესებლათ

სტუდენტთა ყოფა - ცხოვრების და ეკონომიურ პირობების გასაუმჯობესებლათ საქართველოს სახკომსაბჭომ წინადადება მისცა განათლების სახალხო კომისარიატს, დანიშნოს 400 ახალი სტიპენდია, სახ. უნივერსიტეტში და 240 სტიპენდია პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში.

გარდა ამისა, სახ. უნივერსიტეტი და პოლიტეხნიკური ინსტიტუტი უკანასკნელი სურსის სტუდენტთათვის მიიღებენ რამოდენიმე გაძლიერებულ სტიპენდიას, (100 მან. თვითეულ სტუდენტს).

პროფმოძრაობის ფაკულტეტი

თბ. მუშათა უნივერსიტეტში

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ ხელშეკრულება დასდო განათლების სახალხო კომისარიატის პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოსთან, რომლის ძალით პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო კისრულობს ვალდებულებას მოაწყოს თბილისის მუშათა უნივერსიტეტში პროფესიონალური ფაკულტეტი საქ. პროფკავშირთა საბჭოსთვის პროფმოძრაობისა და პროფმუშაობის თეორიისა და პრაქტიკის მცოდნე საშუალო ტეხნიკურ მუშაკების მოსამზადებლად.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილება თავის მხრივ კისრულობს პროფესიონალურ ფაკულტეტის მოსაწყობ და შესანახ ხარჯებს ქვემოდ დასახელებულ ფარგლებში.

მიმდინარე 1929 — 30 სასწავლო წელშივე მოწყობილი უნდა იქნეს პროფესიონალური ფაკულტეტის 1 და მე-2 კურსი. პირველი კურსი 30 მსმენელით, მეორე 20 მსმენელით.

მსმენელები პროფ-ფაკულტეტის სამივე კურსზე მიიღებიან მხოლოდ პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მეშვეობით.

მუშათა უნივერსიტეტის პროფესიონალური ფაკულტეტის სასწავლო გეგმა და პროგრამა დამყარებული იქნება უნივერსიტეტის ძირითად სასწავლო გეგმაზე, ხოლო 1-ლ კურსიდანვე აღებული იქნება პროფესიონალური განხრა, სპეციალური პროფესიონალური საგნების სწავლება კი დაიწყება მეორე კურსიდან.

პროფესიონალურ ფაკულტეტის კურსი, ისე როგორც მუშათა უნივერსიტეტის სხვა დარგში, განისაზღვრება 3 წლით.

სკოლის ასაკამდე აღზრდისათვის ლაშქრობა დაიწყო

სკოლის ასაკამდე აღზრდისათვის ლაშქრობა, რომელიც ამჟამად მთელს საბჭოთა კავშირში ტარდება, საქართველოშიც დაიწყო.

ამ ლაშქრობის მიზანია მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობისა და მშრომელი მოსახლეობის ჩაბმა სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელის გაფართოების საქმეში, რაც სოციალისტური მშენებლობის წარმატების ერთ-ერთ მთავარ პირობად უნდა ჩაითვალოს.

მართლაც, სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა საბავშო ბაღებისა და საბკერების მუშაობას უდიდესი სოციალური და კულტურული მნიშვნელობა აქვს.

ბავშის ბუნება საბავშო ბაღის ასაკში, 3 წლ. 8 წლ. ყველაზე უფრო ადვილად ემორჩილება ყოველგვარ აღმზრდელობით ზეგავლენას. ყველაზე უფრო ადვილად ითვისებს გარემოდან მიღებულ შთაბეჭდილებებს, ამიტომ მისი აღზრდაც იმ პრინციპების მიხედვით, რომელიც საბჭოთა პედაგოგიკას უდევს საფუძვლად, სწორად ამ ასაკში განსაკუთრებით ადვილი ხდება.

საბავშო ბაღსა და კერაში მიღებული კულტურულ-ჰიგიენური და ყოფა-ცხოვრებითი ჩვევები ბავშებს თავ-თავის ოჯახებში გადააქვთ. ამრიგად საბავშო ბაღი ერთგვარი კულტურული კერაა, რომლის საშუალებით მშრომელ მოსახლეობაში ახალი ყოფა-ცხოვრების ელემენტები მტკიცდება, ბავშთა მოუვლელობა და უპატრონობა ისპობა და სოციალური აღზრდის შემდეგ საფეხურზე—სკოლაშიც მცირდება ბავშთა ჩამორჩენილობის შემთხვევები.

სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მნიშვნელობა მხოლოდ აღნიშნულით არ განისაზღვრება. საბავშო ბაღს გამოჰყავს მშრომელი მუშა და გლეხი ქალი ოჯახის ვიწრო ფარგლებიდან და გზას უხსნის მას საზოგადოებრივ საქმიანობისაკენ, რაც ახალი ცხოვრების შექმნის მთავარი პირობა არის.

მართალია, საბჭოთა ხელისუფლებამ ოქტომბრის რევოლიუციის პირველი დღიდანვე უდიდესი ყურადღება მიაქცია სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა, საბავშო ბაღებისა და კერების მასიურად გახსნას, მაგრამ სკოლის ასაკამდე ბავშთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ არსებული ქსელი მთელს კავშირში ამ ასაკის ბავშთა მხოლოდ 0,6 პროც. აკმაყოფილებს. კერძოდ საქართველოში საბავშო ბაღებსა და კერებში მოთავსებულია საბ. ბაღის ასაკის ბავშების მხოლოდ 1,7 პროც. რადგან ჯერ-ჯერობით ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობა საშუალებას არ იძლევა მოსახლეობის მოთხოვნილება საბავშო ბაღების ქსელის გაფართოების მხრით სავსებით დააკმაყოფილოს, ამიტომ საჭიროა მშრომელი მოსახლეობის ფართო ფენებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ დიდ საქმეში.

სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობა სწორედ ამ მიზნით ეწყობა.

ლაშქრობის მონაწილეობის გარეშე არ უნდა დარჩეს არც ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, არც ერთი საწარმო.

ყოველი ღონისძიება უნდა იქნას მიღებული, რომ სკოლის ასაკამდე დაწესებულებათა ქსელი გაფართოვდეს. პირველ რიგში საბ. ბაღები უნდა გაიხსნას მშრომელი მოსახლეობის ბავშებისათვის იმ წარმოებასთან, სადაც უმთავრესად ქალები არიან ჩაბმული და საბჭოთა კოლმეურნეობებთან.

ლაშქრობა პირველად თბილისში იქნება ჩატარებული. მიღებული გამოცდილების შემდეგ ლაშქრობა გადატანილი იქნება ადგილებზე, რისთვისაც აქედანვე სწარმოებს სამზადებელი მუშაობა.

საჭიროა, როგორც პარტიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, ისე საწარმოებმა და საერთოდ მთელმა მშრომელმა მოსახლეობამ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობაში.

მშრომელი მოსახლეობის არც ერთი ბავში საბავშო ბაღის გარეშე!

არც ერთი ქარხანა-ფაბრიკის და კოლმეურნეობის წევრთა ბავში საბავშო ბაღის გარეშე!

დაეხმარეთ სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობას!

განსახკომის სკოლის ასაკამდე აღზრდისა და პირველი საფეხურის სკოლების ინსპექცია.

ოთხშაბათს, 16 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (შესავალი რუსთაველის თეატრის ეზოდან) შესდგება **საქალაქო საინსტრუქციო თათბირი** იმ მომხსენებლებისა, რომლებიც მობილიზაციის წესით გაგზავნეს რაიონულმა კომიტეტებმა უჯრედებში საბჭოთა აპარატის წმენდის საკითხის დასამუშავებლად.

დღის წესრიგი: — ამხ. ს. ვარდანიანის საინსტრუქციო მოხსენება სახელმწიფო აპარატის წმენდის შესახებ

მომხსენებელთა და საბჭოთა აპარატის წმენდისათვის ხელისშემწყობი კომისიების თავმჯდომარეთა გამოცხადება სავალდებულოა.

თბილისის საოლქო კომიტეტის აგიტპროპბეჭდვითი განყოფილება.

16 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, თბილისის საბჭოს დარბაზში მოწვეულია თათბირი მებამბეობის შესახებ.

ქვემოთ დასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: **გიგინეიშვილი, ჭანიშვილი** (საქ. მებამბეობის კომიტეტი), **ქურდაძე, ცილიტი** („სოფლის კავშირი"), **გოგია, მეიშვილი** (საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველო), **პარჩიანი** (ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამ.), **კაჭარავა, ქურდიანი ს.** (მიწსახკომი), **ძამანაშვილი, თოტაძე** (კოლმეურნეობათა ცენტრი), **კალატოზოვი, მენაბდე** (სას.-სამ. ბანკი), **საკაიანი** (ა.-კ. ვაჭ. კომის. რწმ. საქ.-ში), **ელისაბედაშვილი და ალშიბაია** (სახ. საგ. კომისია), **კანდელაკი** (განსახკომი), **ტოროშელიძე, ქუთათელაძე** (ცეკავშირი), **ადიკაშვილი** (თბილისის საოლქო აღმასკომი), **ჩახვაძე** (სტ. სამმართველო).

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. სოფლად მუშაობის განყოფილება

სტუდენტების სამხედრო შეკრება

შესრულდა ერთი კვირა, რაც დაიწყო სახ. უნივერსიტეტის პირველი და მეორე კურსის სტუდენტების სამხედრო სამოსწავლო შეკრება. შეკრება ტარდება № ქართ. მსრ. და საარტილერიო ლეგიონებში—ამავე ლეგიონების მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ხელმძღვანელობით.

ყველა სტუდენტებს შეკრების პირველ დღესვე დაურიგდა სამხედრო ტანსაცმელი.

როგორც სამხედრო, ისე პოლიტმეცადინეობა სტუდენტებთან ნორმალურად მიმდინარეობს. სტუდენტები ეცნობიან პარტ-პოლიტ მუშაობას წითელ ჯარში, წითელ არმიელთა აღზრდის საქმეს და სხვ.

სამხედრო დარგში ყურადღება მიქცეული აქვს სტუდენტების მიერ ისეთი ცოდნის შეთვისებას, რომელიც აუცილებელია ყოველი მებრძოლისათვის. ამ მიზნით სტუდენტები სწავლობენ სამწყობრო საქმეს, ეცნობიან სროლას, ვარჯიშობენ თოფით. მეცადინეობა ტარდება როგორც ყაზარმის ეზოში, აგრეთვე ველად.

სტუდენტების ერთი ნაწილი გაწვეულია სამეცადინო საარტილერიო ლეგიონში, სადაც ეცნობიან საარტილერიო საქმეს.

ამას წინად № ქართ. მსრ. ლეგიონში შესდგა სტუდენტების საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრო კავკ. წითელდროშოვან არმიის პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. იპპო. ამხ. იპპომ სხდომაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა სტუდენტების სამხედრო შეკრების მნიშვნელობა და სთქვა, რომ წითელ ყაზარმასა და უნივერსიტეტს შორის უნდა იქნეს დამყარებული მჭიდრო კავშირი, ვინაიდან ეს კავშირი შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას.

სიტყვები წარმოსთქვეს უნივერსიტეტის სამხედრო ხელმძღვანელებმა ამხ. დ. მელაძემ და სტუდენტებმა, ამ უკანასკნელებმა აღნიშნეს, რომ პროლეტარული სტუდენტობა ყოველთვის მზად იქნება იარაღით ხელში იბრძოლონ მუშურ-გლეხურ წითელ არმიასთან ერთად. მათ არმიის სამხ.-რევ. საბჭოს სიტყვა მისცეს, რომ შეკრების დროს საუკეთესოდ შეისწავლიან სამხედრო საქმეს.

სასამართლო

თემსაბჭოს თავმჯდომარის გასაჭირი

ს. გლდანში (ყოფ. თელავის მაზრა) ხუთი წლის განმავლობაში თემსაბჭოს თავმჯდომარედ იყო გიორგი მათესძე ჟურულიშვილი.

საკვირველი ის არის, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში სარევიზიო კომისიას ერთხელაც არ შეუღია საბჭოს კარები. ერთხელაც არ მოუკითხავს თავმჯდომარისათვის გაწეულ ხარჯების ანგარიშები. ჟურულიშვილიც „პირნათლად" გამოდიოდა საარჩევნო - საანგარიშო კრებებზე და გლეხებიც ერთხმად ირჩევდნენ მას თავმჯდომარედ, როგორც გამოცდილ და კეთილსინდისიერ (!) მუშაკს.

ჟურულიშვილი ყოველმხრივ ცდილობდა თავის პოსტის შენარჩუნებას. არ შორდებოდა თემსაბჭოს. აბა რატომ უნდა მოშორებოდა, როცა თემსაბჭო იყო მისი პირადი კეთილდღეობის წყარო, მისი საწველი ფური.

ჟურულიშვილი დაეპატრონა თემსაბჭოს თანხებს, რომელთაც სისტემატიურად თავისი ოჯახის მოსაღონიერებლად ხარჯავდა. მართალია, სარევიზიო კომისია არსებობდა, მაგრამ, იმისათვის, რომ მხოლოდ ეარსებება. სარევიზიო კომისია მტკიცედ იცავდა „სხვის საქმეებში ჩაურევლობის" პრინციპს.

თუ ცენტრიდან ეწვეოდა ჟურულიშვილს რევიზია, ესეც არ იყო მისთვის საშიში, რადგან მაშინვე დატრიალდებოდნენ მისი ძმა - ბიძები და კოოპერატივიდან და სხვა სამეურნეო დაწესებულებებიდან შეუგროვებდნენ დანაკლისის დასაფარავ თანხას.

წელს თებერვალში ჟურულიშვილი ძალიან დიდ გასაჭირში ჩავარდა. სრულიად მოულოდნელად კარს მიადგა ფინსახკომის მიერ გაგზავნილი სარევიზიო კომისია.

— აბა, ეხლა უნდა დამიმტკიცო შენი მეგობრობა. გადამარჩინე, გამოიყვანე განსაცდელიდან და შემდეგ მე ვიცი, როგორ უნდა დაფასება მეგობარს, — მიმართავს ჟურულიშვილი ერთიან სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის წევრს და ხაზინადარს სერგო სარქისოვს.

სარქისოვს ბევრი არ უფიქრია. გამოუწერა ორდერი, თითქოს ჟურულიშვილს კოოპერატივში ანაბარის სახით შენახული ჰქონდა 1.280 მანეთი. ნამდვილად კი ერთი კაპიკიც არ ჰქონდა შეტანილი. განა ჟურულიშვილი ფულს გაიმეტებდა კოოპერატივში შესატანად!

მეგობარმა სარქისოვმა მთლად კარგად ვერ უმეგობრა საბჭოს თავმჯდომარეს. ყალბი ორდერი გაუკეთა ძველ ბლანკზე, რომელიც ხმარებაში არ იყო.

ყალბი ბლანკი მაშინვე გამოიცნო სარევიზიო კომისიამ. ამან უკვე საბაბი მისცა კომისიას მოეხდინა დაწვრილებითი რევიზია.

თემსაბჭოს თავმჯდომარე ჩავარდა განსაცდელში. გაიქცა საკრედიტო ამხანაგობაში. იქიდანაც მოახერხა შინაურულად 1.000 მანეთის წამოსესხება, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა გაფლანგული თანხის დაფარვას.

სარევიზიო კომისიამ ფარდა ახადა ჟურულიშვილის მთელ ბნელ საქმიანობას. გაფლანგული აღმოჩნდა 2.530 მანეთი, რაც მეტად საგრძნობი თანხაა თემის ბიუჯეტისათვის.

ამ გაფლანგულ თანხაში შედის აკრეფილი სასოფლო - სამეურნეო გადასახადი, სესხის ობლიგაციების ანგარიშში შემოსული თანხა და სხვ...

ჟურულიშვილი დაპატიმრებულ იქნა. მასთან ერთად პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი სარქისოვი (ყალბი ორდერის გამცემელი) და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე **მიხეილ იოსების ძე შათირიშვილი,** რომელსაც თავი არ შეუწუხებია მრავალი წლის განმავლობაში თემსაბჭოს თავმჯდომარის ანგარიშების გადასასინჯად.

საქმეს ამ დღეებში გაარჩევს საქართველოს უზენაეს სასამართლოს სესია ს. შილდაში.

ბერ.

შემთხვევები

თავის დაჭრა

სოფიო მოსეს ასულმა თათეოზოვამ (მცხ. სტავროპოლის ქ. № 7) თვითმკვლელობის მიზნით დანით დაიჭრა თავი. მას აღმოუჩინეს სასწრაფო სამედ. დახმარება და გადაგზავნეს საავადმყოფოში.

ტრამვაის ქვეშ

12 ოქტომბერს, ღამით, კომინტერნის ქუჩაზე მიმავალ ტრამვაის ვაგონს (№ 265) შეახტა გრიშა ეგნატეს ძე ერქვანია, რომელსაც ფეხი დაუსხლტა და მოჰყვა ვაგონს ქვეშ. ერქვანია გადაგზავნეს მთავარ საავადმყოფოში.

ხანძარი

ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის შენობას (კლასიკური ქ. № 2) საკვამლე მილის გაუწმენდაობის გამო გაუჩნდა ცეცხლი. სასწრაფოდ გამოიძახეს სახანძრო რაზმი, რომელმაც ცეცხლი 12 წუთში ჩააქრო. ზარალი ირკვევა.

გაძარცვა

გიორგი ზაქარიას ძემ მაისურაძემ (მცხ. ძირის გასავალი № 2) და რაჟდენ ალექსის ძე ცაბაძემ (მცხ. ლენინის ქ. № 54) თავიანთ ბინაზე დააპატიჟეს ლიუბა პეტრეს ასული სამოილოვა და ევდოკია ვასილის ასული პახომოვა. მათ დაათვრეს ქალები და შემდეგ გაძარცვეს ისინი. ორივე ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

აფერისტი

გუშინწინ ვიღაც უცნობი პირი მივიდა პოლოს გრიგოლის ძე საფაროვის ბინაზე (ძეგვის ქ. № 18) და განუცხადებია, რომ ის არის პოლოსოვის დაკარგული ძმა. აღმოჩნდა, რომ უცნობი ყოფილა აფერისტი—გეურქა მელიქის ძე საგიანი, (მცხ. ლენინაკანში), რომელსაც განზრახული ჰქონდა საფაროვის ბინის გაქურდვა. აფერისტი დაპატიმრებულია.

დაჯახება

ავტო-მანქანა № 170, რომელსაც მართავდა შოფერი გარეგინ გარუმოვი, საბჭოთა ქუჩაზე დაეჯახა სარა ხვადაგიანს და მძიმედ დააშავა.

დაჭრა

მიხეილ გიორგის ძემ ამირხანოვმა ხანჯლით დასჭრა გარეგინ ყაზარის ძე ამირხანოვი. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.—არშაკ ტიგრანის ძე მელკანიანცმა დანით დასჭრა იოსებ მანუკის ძე მარტიროსოვი (მცხ. კახეთის ქ. № 4).

უბედური შემთხვევა

პეტრიწის მოედანზე ცხენიდან გადმოვარდა პავლე მიხეილის ძე ზალეევი, რომელიც მძიმედ დაშავდა. იგი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

თავის მოწამვლა

მარგო ოგანესის ასულმა დავითიანმა (მცხ. კეცხოველის ქ. № 6) იოდით მოიწამლა თავი. დავითიანის ქალი სიკვდილს გადაარჩინეს.

მოკვლის განზრახვა

ვიღაც ბოროტმოქმედმა მოკვლის მიზნით რევოლვერი ესროლა ინვალიდ მიხეილ ნიკიტის ძე კოლოკოლჩიკოვს.

ქურდობა

გაქურდეს ალ. კუპრეიშვილის ბინა (კლარა ცეტკინის ქ. № 84),—წაიღეს 100 მანეთის ნივთები,—კედლის გამონგრევის საშუალებით გაქურდეს წითელი ჯვრის აფთიაქი (ელორესის ქ. № 16), წაიღეს ფულად 165 მანეთი;—დავით ხებუას ბინიდან (აღმასკომის ქ. № 1) მოიპარეს 150 მანეთის ნივთები,—სასტუმრო „ნაციონალში" ევგენი ივანოვს მოპარეს 80 მანეთის ნივთები,—გაქურდეს ირინე ტაბიძეს ბინა (წულუკიძის ქ. № 1) წაიღეს 300 მანეთის ნივთები,—ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობიდან მოიპარეს 80 მანეთის ტანსაცმელი.

ხელოვნება

მოძრაობის და ცეკვის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის დაარსება

განათლების სახ. კომისარიატის დადგენილებით, თბილისში არსდება მოძრაობის და ცეკვის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი. ინსტიტუტის ხელმძღვანელად დანიშნულია **სრბუი ლისიციან-აზარპეტიანი.**

ს. ლისიციან - აზარპეტიანის ხელმძღვანელობით თბილისში ათი წლის განმავლობაში არსებობდა რიტმისა და ცეკვის ინსტიტუტი. 1926 წელში ლისიციან - აზარპეტიანი სამი მოწაფით განათლების კომისარიატის მიერ გაგზავნილი იყო ევროპაში ახალგაზრდობის სცენიური და ფიზიკური აღზრდის საქმის გასაცნობად და თბილისის რიტმისა და ცეკვის ინსტიტუტის მიღწევათა საჩვენებლად.

ინსტიტუტის გასტროლები ყველგან წარმატებით ჩატარდა, სცენიური და ფიზიკური აღზრდის სისტემა კი, რომელიც ინსტიტუტშია შემოღებული, საინტერესოდ და ევროპისათვის ახალ სისტემად იქნა მიჩნეული. **გერმანიის** გაზეთებში დაიბეჭდა მრავალი წერილი, სადაც ქებით იხსენიებდნენ ინსტიტუტს და მის ხელმძღვანელს.

ამჟამად სრბუი ლისიციან - აზარპეტიანი განათლების კომისარიატის მიერ გამოწვეულია ევროპიდან და მას დავალებული აქვს მოძრაობის და ცეკვის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის მოწყობა და ხელმძღვანელობა.

ინსტიტუტს ექნება ორი ფაკულტეტი: სცენიური — სადაც მოწაფეები გაივლიან მოძრაობის კურსს საოპერო, დრამატიულ და კინო - სცენისათვის (ინსტიტუტი მოამზადებს დამთავრებულ მოცეკვავებს) და პედაგოგიური, რომელიც მოამზადებს მოძრაობის ხელოვნების მასწავლებლებს სკოლებისა, მუშათა წრეებისა და თეატრალურ სტუდიებისათვის.

ინსტიტუტის მუშაობასთან პარალელურად ბავშვებისა და მოზარდთათვის მოეწყობა „ფიზიკური აღზრდის განყოფილება", რომელიც იმუშავებს ინსტიტუტის მეთოდებით.

პროლეტ. სტუდ. ბიუროში

◆ **საერთო საცხოვრებლების შეკეთება.** ამ დღეებში დაიწყება სტუდენტთა ყველა საერთო საცხოვრებლების კაპიტალური შეკეთება.

◆ **სტიპენდიის გაგრძელება.** პრ. სტუდ. ბიუროს დადგენილებით, 8 სემესტრ მოსმენილ სტუდენტებს სტიპენდია გაუგრძელდა ერთი წლით.

◆ **სტუდენტთა პროფორგანიზაციების გადარჩევა.** ა. წ. 1-ლ იანვრამდე დასრულდება სტუდენტთა პროფორგანიზაციების გადარჩევა.

◆ **საკავშირო სას.-სამ. თათბირზე.** ახლო მომავალში მოსკოვში გაიხსნება საკავშირო სას.-სამ. თათბირი. თათბირზე პრ. სტუდ. ბიურო გზავნის აგრ. ფაკულტეტის 2 სტუდენტს.

◆ **40.000 მან. სადილებისათვის.** ღარიბ სტუდენტთათვის უფასო სადილების მისაცემად პრ. სტუდ. ბიურო მიიღებს 40.000 მან.

ავიაქიმში

— **თავდაცვის გასაძლიერებლად** გაზ. „ახალი სოფელი"-ს რედაქციამ საქ. თავდაცვა-ავიაქიმს გადასცა 9.000 მანეთი, შეგროვილი ხელის მომწერთა შორის.

— **ხელოვნური სასუქის ქარხნის ასაგებათ** ბათომში საქ. თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა გადასდო 2.000 მანეთი.

— **ჟურნალი „ავიაქიმელი".** საქ. ავიაქიმის პრეზიდიუმის დადგენილებით, ოქტომბრის დღესასწაულისათვის გამოვა ჟურნალ „ავიაქიმელ"-ის სპეციალური ნომერი. ჟურნალის ტირაჟი ამ დღისათვის იქნება 100.000. მიღებულ იქნება ზომები ჟურნალის ფართედ გასავრცელებლად მოსახლეობაში.

— **ყრილობები.** ამჟამად ტარდება ავიაქიმის სამაზრო და საოლქო ორგანიზაციების ყრილობები და კონფერენციები. თავდაცვა-ავიაქიმის სრულიად საქართველოს ყრილობა მოწვეული იქნება ოქტომბრის ბოლო რიცხვებში.

ჭადრაკი

პირველ და მეორე კატეგორიის მოჭადრაკეთა შეჯიბრება

მეოთხე ტური

მეოთხე ტურშიაც თითქმის თამაშის ბოლომდი გამოურკვეველი იყო—თუ რომელი კატეგორია დარჩებოდა საბოლოოდ გამარჯვებული. **ფალავანდიშვილმა** შავებით რეტის დებიუტში დასაწყისშივე ჩქარი თამაშის გამო მიიღო სუსტი განცალკევებული პაიკი, რომლის მოგებას შეუდგა **კასპარიანი.** ფალავანდიშვილი ერთხანობას იცავდა ამ პაიკს, მაგრამ შემდეგში გადაწყვიტა მის შეწირვა და სამაგიეროდ ინიციატივის ხელში ჩაგდება. ასეც მოხდა: კასპარიანმა აიყვანა პაიკი და ინიციატივა გადასცა მოწინააღმდეგეს, რომლის ყველა ფიგურა აქტიური გახდა. ფალავანდიშვილმა მოისურვა, მათი გამოყენება მეფეზე შეტევის მიზნით, და შეტევა, ალბათ, მოგებითაც დამთავრდებოდა (მართალია, ხანგრძლივ და ზუსტად თამაშის შემდეგ), მაგრამ რატომღაც მოწინააღმდეგეები აქ ყაიმზე შეთანხმდნენ, რაც რამდენადმე ნაადრევი იყო ფალავანდიშვილის მხრით.

ლევიტასმა დებიუტში დაუდევრად დაიწყო თამაში **ასოვსკისთან,** მიიღო ცუდი მდგომარეობა და პარტია უნდა წაეგო, მაგრამ ასოვსკიმ თავის ფიგურების აქტიობა სათანადოდ ვერ გამოიყენა. მან, მართალია, მოიგო პაიკიც, მაგრამ თამაში გადავიდა ენდშპილში, მოწინააღმდეგეებს დარჩათ პაიკების გარდა თითო ეტლი. ლევიტასმა ზუსტი თამაშობით შესძლო პარტია ყაიმით დაესრულება.

საინტერესო იყო **პოლოსოვის** და **ტალვიკის** პარტია, სადაც პოლოსოვმა ესპანურ პარტიაში მოუგო ტალვიკს პაიკი. მოსალოდნელი იყო რომ მოიგებდა პარტიასაც, მაგრამ ტალვიკმა შუა თამაშში გაართულა მდგომარეობა, ცეიტნოტში მყოფი პოლოსოვი დაიბნა, დაკარგა პაიკები და პარტია გადასდო წაგებულ მდგომარეობაში (ორი ზედმეტი პაიკი ტალვიკს). ჩქარა დამთავრდა აგრეთვე **წერეთლის** და **ნენაროკოვის** პარტია, ნენაროკოვის მოგებით: წერეთელი უსისტემოთ თამაშობდა მთელ პარტიას.

მეხუთე ტური

მეხუთე ტურში **ჩერნიავსკიმ** კარგად გამოიყენა **ასოვსკის** უსისტემო თამაში დებიუტში, ჩქარა მოიგო ერთი პაიკი, ამას მოჰყვა მეორის და მალე პარტიის მოგებაც. საინტერესო იყო **ფალავანდიშვილის** და **ვეიზერის** პარტია, სადაც მდგომარეობა თავიდანვე გართულდა და ვეიზერს სასტიკი შეტევა მიჰქონდა მოწინააღმდეგის მეფეზე, მაგრამ ფალავანდიშვილმა ჩქარა მოიცილა შეტევა თავიდან და რამოდენიმე ფიგურის გაცვლით ინიციატივა წაართვა ვეიზერს, დააკარგვინა როკი და მიიღო ბევრად უკეთესი მდგომარეობა. სწორედ ამ დროს ფალავანდიშვილი დაუშვებს ერთს უხეშ შეცდომას, რის გამო აგებს ორ პაიკს, მერე იძულებული ხდება ლაზიერი შეწიროს ეტლში და კუში და რამოდენიმე სვლის შემდეგ პარტია დასთმოს.

საინტერესო იყო აგრეთვე **გოგლიძე-პოლოსოვის** და **ტალვიკის** და **ლევიტასის** პარტიები. გოგლიძე შუა თამაშში შეიჭრა მხედრით პოლოსოვის ბანაკში, მოიგო ერთი პაიკი და ჩააყენა იგი ჩქარად წასაგებ მდგომარეობაში, მაგრამ აქ რატომღაც დაიწყო თამაში პასიურად, იძულებული გახდა წასულიყო ლაზიერის და ეტლის გაცვლაზე. პარტია გადადებულია, და გოგლიძეს საკმაო მეცადინეობა დასჭირდება მისი მოგებისათვის. **ტალვიკმა** დებიუტშივე ბევრად უკეთესი მდგომარეობა მიიღო **ლევიტასის** წინააღმდეგ, რაც შემდეგშიაც ხელიდან არ გაუშვია, მოსალოდნელი იყო, რომ **ლევიტასი** წაგებას ვერ ასცილდებოდა, მაგრამ ტალვიკმა ბოლოს დაიწყო სუსტად თამაში, რაც ჩქარა გამოიყენა ლევიტასმა, რამოდენიმე ფიგურის ზედიზედ გაცვლით თამაში გადაიყვანა ენდშპილში. პარტია გადაიდო ისეთ მდგომარეობაში, როცა მოგების შანსები ორივეს ერთნაირი აქვთ.

ვ. გოგლიძე.

რკინის-გზებზე

რკინის გზელთა ბავშების დასვენების საქმე გაუმჯობესდა

ამიერ-კავკასიის რკინის გზების ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს და საგზაო დამზღვევ სალაროს ცემში მოწყობილი აქვთ ბავშთა ახალშენი, სადაც ყოველ ზაფხულობით იგზავნება რკინის გზელთა ბავშები. ახალშენთან ერთად მოწყობილია აგრეთვე ბანაკი, სადაც ისვენებენ შედარებით მოზრდილი ბავშები.

როგორც ახალშენებში, ისე ბანაკში რკინის გზელთა ბავშების მოვლისა და აღზრდის საქმეს საგრძნობი გაუმჯობესება დაეტყო წელს.

ახალშენი და ბანაკი მუშაობდა ორი ექიმის—ყანჩელის და ტერ-იზრაელიანის, ექვსი პედაგოგის და ფიზკულტურის ორი ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით.

პერსონალი დიდ ყურადღებას აქცევდა ბავშების პედაგოგიურ აღზრდას. სისტემატიურად იმართებოდა ექსკურსიები, საუბრები, კონცერტები და სხვადასხვა აღმზრდელობითი მნიშვნელობის თამაშობანი.

ახალშენში და ბანაკში ზაფხულს გაიარა 600-მა ბავშმა (300 ახალშენში, 300 ბანაკში). თითოეული ბავში დასასვენებლად რჩებოდა სამ კვირას.

გადასვლა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე

დღეიდან, 15 ოქტომბრიდან, ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობის მთელი აპარატი და ყველა განყოფილებები გადადის განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე.

ახალი სადგურები

ბათომ-სამტრედიის უბანზე მოწყობილი ახალი სადგურები—მახინჯაური (ბათომ-ჩაქვას შუა) და ოჩხამური (ქობულეთ-ნატანებს შუა) უკვე გახსნილია საექსპლოატაციოდ.

საყვედურების გამოცხადება

სადგ. იანეთის უფროსის თანაშემწეს—**გოთოშიას,** სადგ. რიონის უფრ. თანაშემწეს—**ბრეგაძეს,** აჯამეთის სადგ. უფრ. თანაშემწეს— **დოლონაძეს** და ზესტაფონის სადგ. უფრ. თანაშემწეს—**გოგოძეს** საგზაო ჟურნალის უწესოდ წარმოებისათვის ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობამ გამოუცხადა საყვედური-გაფრთხილებით.

ფიზკულტურა და სპორტი

კალენდარული შეჯიბრებების მეორე დღე

მეორე დღის შეჯიბრებებიდან ყველაზე უფრო საინტერესო გამოდგა ტრანსპორტელების და პოლიტეხნიკური ინსტიტუტის პირველი გუნდების შეჯიბრება. ამხანაგური შეჯიბრება აღნიშნულ გუნდებს შორის, ამ ორი კვირის წინად დამთავრდა სტუდენტების გამარჯვებით. მოსალოდნელი იყო, რომ კალენდარული მატჩი უფრო საინტერესო იქნებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, რადგან პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გუნდი ორივე ტაიმის განმავლობაში შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდა (გუნდი 10 კაცის შემადგენლობით გამოვიდა), რითაც ისარგებლეს ტრანსპორტელებმა და ადვილად მოიგეს შეჯიბრება 3:0. მეორე გუნდებში აღნიშნული კოლექტივების შეჯიბრება დამთავრდა 1:1.

დანარჩენი მატჩებიდან „დინამომ" იოლად დაარბია კომუნალური მუშაკები — 9:0 (მეორე გუნდებს არ უთამაშნიათ), ხოლო ძელითონელებმა მოუგეს მედსანშრომელ მუშაკებს 3:1. (პირველ გუნდებში).

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ელისაბედ არხიპოვა, მიხეილ სულხანიშვილი, რუბენ მამასახლისოვი, იოსებ ხასანაშვილი, იაკობ ხეჩუმოვი, ტიგრან ვართანოვი, სერგო ყარაგოზოვი, ვერა აივაზოვა, გალუსტ ტერ-სიმონიანცი, სორენ მარკოზოვი, ალექსანდრე ბერძენოვი, არტემ ტერ-ოგანოვი, სედრაკ მანუსარიანცი, გერასიმე მარტიროსოვი, მირონ მურადხანოვი, ანა პეტროსიანი, ლიუბა უგრუმოვა, ალაჯან ხოჯიანი.

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: გიორგი გოგოლაშვილი, გიორგი ჩილაშვილი, ივანე ოგანეზოვი, არტაშ მიკირტუმოვი, მალაქია გვრიტოშვილი, იოსებ ტურაშვილი, ვლადიმერ ბათუაშვილი, ელიზა გულიევა, სერგო მაღრაშვილი.

მშენებელ მუშათა სექციიდან: გრიგოლ ოგანეზოვი, ისაკ აგაჯანოვი, შაქრო ფეიქრიშვილი, გრიგოლ ნარიმანოვი, ივანე დოშინსკი, ონისიმე ჩლაიძე; სიმონ მატოსიანი, რუბენ ზუბიევი, მიხეილ უნანსკი, სევერიან თოფურია, ალექსანდრე ჯავრიშვილი, მირონ ამირიანი, ბიძინა გაბიჩვაძე, მანუკ ოგანეზოვი, ესტატე ხუციშვილი, მამიკ დიანოსოვი, ალექსანდრე ბერეზნიკი, ივანე ეპიტოვი, პოღოს ოგანეზოვი, სარქის მელიანცი, ოლღა ხუციშვილი, ივანე მანიევი, ვლადიმერ ჯანაშია, ზაქარია ბარსეგოვი, მიკირტიჩ გეგეშიანცი.

შავ მუშათა სექციიდან: ესტატე გაბელოვი, ბარბარე ბაიდაური, სერგო მახარაშვილი, პავლე ნოზაძე, ვიქტორ გოხელიძე, ალექსანდრე ტუაევი, კირილე მაისურაძე, ესტატე კერვალიძე, ივანე ჯანგელოვი, ვაგრამ გეურქიანი, არჩილ ლომონოვი, ვლადიმერ კუმაშოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სამშაბათს, 15 ოქტომბერს, ამხ. სვანიძის კაბინეტში, საღამოს სრულ 6 საათზე გაიმართება **საორგანიზაციო თათბირი ახალციხის საკითხზე.** ქვემო ჩამოთვლილი ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: სასოფლო - სამეურნეო ბანკი — **კალატოზოვი,** ახალგ. ლენ. კომკავშირის ცეკა — **ჯავახიძე,** კოლმეურნეობათა ცენტრი — **ძამანაშვილი,** ცეკავშირი — **ქუთათელაძე,** სოფლის კავშირი — **ქურდაძე,** მუშათა და გლეხთა ინსპექცია — **დევდარიანი,** განათლების სახ. კომისარიატი — **კანდელაკი,** ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებული — **საკოვი,** სახელმწ. პოლიტსამმართველო — **ლორთქიფანიძე,** მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი — **კაჭარავა,** გზატკეცილთა სამმართველო — **მარდალეიშვილი,** პოლიტგანის მთავარი სამმართველო — **ჩხარტიშვილი,** ფინსახკომი — **მესხი.**

—:—

ცეკას აგიტპროპ-ბეჭდვითი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. შმირევს (სახელმწ. ელექტროტრესტი) და ესპერანტისტების საზოგადოების მდივანს ერუშიკოვსკის დღეს დილის 11 საათზე გამოცხადდნენ ოთახში № 19-ში.

—:—

შაბათს, 19 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე საქართველოს სახკინმრეწვში გაიმართება საბჭოთა კინოს მეგობართა საზოგადოებასთან არსებული კულტურ - ფილმის სექციის სხდომა. სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: კრეიტანი, ა. დოლიძე, შ. ალხაზიშვილი, როზენფელდი, დაირეჯიევი, დორფმანი, კულტურფილმის დარგში მომუშავენი, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტსამმართველოს, საქ. ახალგ. ლენ. კომკავშირის წარმომადგენლები.

—:—

დღეს, 15 ოქტომბერს, შესდგება სახ.-უნ-ტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის სხდომა, დღის 12 საათზე. წევრ - კანდიდატების გარდა სხდომაზე უნდა გამოცხადდნენ: სტალაპინი, გოგორტიონი, უჩანეიშვილი.

—:—

ს. ს. პ. ი. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის დახურული სხდომა შესდგება დღეს ნაშუადღევის 4 საათზე. დაუგვიანებლივ.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის საალრიცხვო სექტორი სთხოვს ამხ. ანდრია ფროლისძე ტალნიკოვს მივიდეს ცეკაში ამხ. ელიგულაშვილთან (ოთახი № 22).

—:—

საქართველოს ა. ლ. კ. ცეკას საკონფლიქტო კომისია იუწყება, რომ **ოთხშაბათს, 16 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე,** ც. კ.-ის შენობაში (რუსთაველის პრ. № 20), შესდგება **საკონფლიქტო კომისიის სხდომა.** საკონფლიქტო კომისიის წევრების საწარმოო მუშაკების და ქვემო ჩამოთვლილი ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: სევერიან პერტენავა, აკაკი ვერულავა, ვ. მდივანი, ს. გეგეჭკორი, როსტომაძე, გრიგოლ ტორია, მიხეილ და ნინა ჰუმბურიძეები, ვასილ ვართანოვი, ბესარიონ კუკავაძე, ამბროსი ჯაოშვილი, პოლიკარპე ხორილიძე, ევგენი ნუსნუსოვი, სევერიან გეგეჭკორი, გრიგოლ ჯოჯიშვილი, ვასილ ხანიაშვილი, გიორგი მირიანაშვილი, არტაშ კულიჯანოვი, მიხეილ კულაკოვი, ავეტიკ პოზოევი, ეკატერინე გოდერძიშვილი, რუსუდან ჯავრიშვილი.

ამხანაგების ჩამოსვლა მაზრებიდან სავალდებულო არ არის.

—:—

— ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ 16 ოქტომბერს იხსნება საღამოს პარტსკოლები. წინადადება ეძლევა ყველა იმ ამხანაგებს, რომლებიც გამოყოფილნი არიან საღამოს საბჭოთა პარტსკოლების ხელმძღვანელებათ, გამოცხადდნენ დღეს, საღამოს 5 საათზე რაიკომის აგიტ-პროპგანყოფილებაში საჭირო დირექტივების მისაღებად.

—:—

ცეკას აგიტ. პროპ. ბეჭდვითი განყოფილება წინადადებას აძლევს თბილისის ყველა ნაბეჭდ კედლის გაზეთების რედაქტორებს, ორი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ აგიტ. პროპ. ბეჭვდ. განყოფილებაში ამხ. ქიქოძესთან და თან წამოიღონ თავიანთი გაზეთების ამ წლის გამოცემული ყველა ეკზემპლიარები.

—:—

ლენრაიონის მ.-გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ სამშაბათს 15 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახ. კლუბში შესდგება დელეგატ - ქალების გადარჩევა. ლენინის რაიონში მცხოვრებ დიასახლის - ქალთა დასწრება აუცილებელია.

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ცაცუ, მამა ნიკო, და ვალენტინა, ძმა ჟორჟი ლატარიები და ნათესავები: მინა, დუნია, ოლია, ტერენტი, სპირიდონი, ბაგრატი, ესტატე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

მიშა ლატარია

დაკრძალვა ოთხშაბათს, 16 ოქტომბერს, ს. ხეთაში, ზუგდიდის მაზრა. (შ)

ღრმად დამწუხრებულნი დედა—ნატალია, მამიდა—ქრისტინე, ძმები—დიმიტრი, ეგნატე და რომანოზი—ცოლშვილით, მეუღლე—ფრანციშკო, შვილი—კლარა, სიძე ვლადიმერ გველესიანი ოჯახობით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარ

სამსონ (ბუხუტი) ალექსის-ძის ჯაკონიას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 17 ოქტომბერს, სოფ. ძველსენაკში.
3432

შვილები ლუკა, გიორგი, ზინაიდა და ივანე, რძლები ნინა, თამარი და თამარი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 14 ოქტომბერს ქ. დუშეთში გარდაიცვალა

ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ოსიტაშვილი

3428

აპოლო სოლეი არფასტო	**ჩქარი № 2** რეჟისორი მაკაროვი ოპერატორი ენგელსი მთავარ როლებში: ტატიანა შკლიარი, პ. პეჩკო, შ. ხუსკივაძე, ი. ბარმატოვი
კალასი	**კაცი პორტფელით**
მინიონი	მეორე კვირა **პატარა ქალის დიდი მწუხარება**
დარბაზი	**ღამის მეეტლე**

მალე: „უკანასკნელი ატრაქციონი"
0—11

თბილისის ცირკი
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტისა.

დღეს, 15 ოქტომბერს
საუკეთესო წარმოდგენები
სამ განყოფილებად
უდაბნოს გმირის გასტროლები

სამი აქლემის, ცხენის და ვირის ჯგუფური გაწრთვნის აქტს, რომელიც ერთად ერთია ევროპაში, შეასრულებს **ა. ლაპიადო.** დაწვრილებით აფიშებში. აღებული აბონემენტები გამოდგება.
ნ. 3228 3—3 დირექცია.

ქ. თბილის სახელმწიფო დაწესებულებების და წარმოებების, საბინაო ამხანაგობების და კერძო მოქალაქეთა საყურადღებოთ:
დროშები იყიდება
ს. ს. ს. რ. კონსტიტუციის მიერ დაწესებული ნიმუშის თანახმად, ბავშვთა კომისიის მაღაზიაში (რუსთაველის პრ. № 11).
იქვე შეიძლება მიეცეს სპეციალური შეკვეთების მიღება დროშების დასამზადებლად.
3309 3—1 ბავშვთა კომისია.

რუსთაველის თეატრის დირექცია
აცხადებს
ვინაიდან ყველა სერიების 1-ლი და მე-2 აბონემენტები გაყიდულია მთლიანად,
გამოვიდა მე-3 და მე-4 აბონემენტი,
რომელზედაც ხელის მოწერა მიიღება თეატრის სალაროში და ადგილკომებში ა. წ. 1-ლ ნოემბრამდე.

დაბა ვანში
(ქუთაისის ოლქი)
გაზ. „კომუნისტზე"
ხელისმოწერის მიღებას აწარმოებს
თეოფანე (ჭიჭიკო) ერასტოსძე სვანიძე

გაზ. „კომუნისტი"

ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ. ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი),** რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 მთავარი კანტორა.

ბაღდათის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებ.
ი. დ. ლომთაძე

აცხადებს, რომ 1929 წ. 19 ოქტომბერს დღის 12 საათზე სოფ. ზეინდარში, ქუთაისის ოლქში, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არტიმონ ბათლომეს-ძე ხელაძის კუთვნილ მეწველ ძროხას ხბოთი, შეფასებული ორასი მანეთად, პოლიშკა ინაკავაძის ვალის ასანაზღაურებლად.

ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 3380

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
იღებს: დილ. 8—9 საათ. საღ. 6—8 საათ. ნაშუადღ. 4—5 ს. მხოლოდ ქალებს.
მისამართი: კამოს ქ. № 72 (ყოფ დიდიმთავრის) ქუჩ. ქალაქის მეორე საავადმყოფოს პირდაპირ.
25—1

თანახმად ს.ს.რ.კ. ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილებისა

ა. წ. 4 სექტემბრის თარიღით სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორის ქონების **სავალდებულო დაზღვევის** შესახებ, ყველა სახის კოოპერატიულ **ორგანიზაციების** (სას. სამ. სარეწაო, საბინაო-საამშენებლო და ინვალიდთა გარდა სამომხმარებლო ორგანიზაციების) და მათ შორის კოლმეურნეობათა კუთვნილ მთელი ქონება ითვლება დაზღვეულად ა. წ. 1 ოქტ. სრ. რუსეთის **კოოპერატიულ დაზღვევის კავშირში,** ამის გამო დაზღვევის წესებით გათვალისწინებულ სტიქიურ მოვლენებით კოოპერატიულ ქონებაზე მიყენებულ ზარალის ასანაზღაურებლად დაზარალებულ კოოპ. ორგანიზაციას უფლება აქვს პრეტენზიის წაყენებისა. კოოპერატიულ დაზღვევის კავშირში დაზღვეული კოოპორგანიზაციის ქონება განთავისუფლებულია სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევისაგან. თავის მხრივ ზემოაღნიშნული კოოპერატიული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან აწარმოონ მათი კუთვნილი ქონების აღრიცხვა კოოპ. დაზღვევ კავშირის მიერ დაწესებულ ფორმის ბლანკზე. რაც შეეხება პრემიის დარიცხვას, დაზღვევის ანარიცხების გადახდას ვადისა და წესების შესახებ, მითითებებს იძლევა კოოპ. დაზღვევის კავშირის სააგენტო: ქ. თბილისი, კომინტერნის ქ. (ყ. სასახლის) № 3, ოთახი № 35 სოფლის-კავშირთან.
ნ. 3249

საქ. კომ. მეურნეობის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობა

16 ოქტომბერს, საღამოს სრულ 6 საათზე კავშირის ბინაზე იწვევს

დაწინაურებულ ამხანაგების თათბირს

ჩვენი კავშირის ხაზით.

ჩვენი კავშირის ხაზით დაწინაურებული ამხანაგები უნდა გამოცხადდენ თავის დროზე.

3413 ს.კ.მ. კავშირის ცენ. გამგეობა.

ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრი
მეათე და დილის აბონემენტების გაცემა სწარმოებს 16 ოქტომბრიდან თეატრის სალაროში დილის 10-დან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე.
შეღავათიანი ტალონების გაცემა კოლექტიურ და ინდივიდუალური განცხადებებით სწარმოებს ყოველდღე დილის 10-დან 2 ს—მდე და საღამოს 6—დან 8 ს.-დე სალარო № 3-ში (ქანდარის ყოფ. სალარო).

ქუთ. 1-ლი უბ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
ი. მილორავა

აცხადებს, რომ 22 ოქტომბერს 1929 წ. დღის 12 საათზე, შაუმიანის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მიხეილ პეტრეს ძე ჯავახაძის ერთი ორ სართულიან ქვიტკირის სახლს, დახურულს შავი ყუსტით, ქვედა სართულში ორი თვალი დუქანი, ზედა სართული შესდგება ოთხი საცხოვრებელი ოთახიდან და ერთი სამზარეულოთი ზედა სართულს დასავლეთით და სამხრეთით ღია აივანი აქვს. შეფასებულია 3500 მანეთად. ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა წარმოადგინოს საბუთები, აღნიშნული სამოქ. საპ. კოდ. 311 მუხ. და შეფასებითი თანხის 10 პროც. საწინდარი. ვაჭრობა დაიწყება შეფასებითი თანხიდან. იმავე დღეს 22 ოქტომბერს 1929 წ. —იგივე აღმასრულებელი საჯარო ვაჭრობით გაყიდის იმავე მოვალის მიხეილ ჯავახაძის მოძრავ ქონებას: მაგიდებს, სურათებს, შეფასებულს 38 მანეთად. ვაჭრობა დაიწყება შეფასებითი თანხიდან. აღნიშნული სახლი და მოძრავი ქონება იყიდება „ზაკრედიტ ბიუროს" ვალის დასაკმაყოფილებლათ, თანახმად ამონაწერზე ნოტარიუსის მიერ წარწერის № 3614.
ნ. 3252

თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

აცხადებს, რომ ის **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ყოფ. ქალთა კოლექტივ „სალამის"-ს ლიკვიდკომის მოძრავ ქონებას, ა. წ. 18 ოქტომბერს დღის 2 საათზე საბჭოს ქუჩაზე № 104-ში, 3 საათზე საბაჟოს ქუჩაზე № 6-ში და 4 საათზე ორჯონიკიძის ქუჩაზე № 111-ში. გაიყიდება: მაგიდები, სკამები, სპილენძეულობა, ჭურჭლეულობა და საერთოდ სასადილოსა და საშაქარლამოს მრავალი მოწყობილობა, შეფასებული სულ 589 მანეთად სახალხო კვების კავშირის მუშების დასაკმაყოფილებლად, თბილისის შრომის სასამართლოდან გაცემულ ა. წ. 18 ივლისის თარიღით № 2695 და სხვა აღმასრულებელი ფურცლების თანახმად.
3434

ქუთ. 1-ლი უბ. სასამართლოს აღმასრულებელი
ი. მილორავა

აცხადებს, რომ გოგებაშვილის ქუჩაზე ფიჩხაძეების სახლში № 2, 24 ოქტომბერს დღის 12 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ილია და ისააკ (ი. ხაკ) არონის-ძე ფიჩხაძეების მოძრავ ქონებას როიალს შეფასებულ 596 მანეთად, ბუფეტის შკაფს, ნოხს და სხვ. შეფასებულს 250 მანეთად. ეს ქონება ეკუთვნის ისხაკ ფიჩხაძეს.

იმავე დღეს 12 საათზე იმავე შენობაში გაიყიდება ილია ფიჩხაძის მოძრავი ქონება—კედლის სარკე, ტუალეტი, შანდლები და სხვა შეფასებული 230 მანეთად.—ვაჭრობა დაიწყება შეფასებითი თანხიდან. ქონება იყიდება „ზაკრედიტბიუროს" და სხვ. დასაკმაყოფილებლათ.
ნ. 3252

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი. 1—90. 25—11

ზესტაფონი
ექიმი
პ. ს. ანანოვი
სიფილისი (შეშხაპუნება 914) ვენერიული (სუსუნატი და მისი შედეგები) და კანის სნეულებ. მიღება: 1—2 დღით, საღმოს 6—8 ს. 25 თებერვლის ქ. 130.

კბილის ექიმი
ი. გ.
ხარებავა-ბაქრაძე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმობა, პლომბები, ყოველი ფორმის ხელოვნური კბილები. სნეულ კბილების ამოღება უმტკივნეულოდ. კლარა ცეტკინის (ყ. ელისაბედის) ქუჩა, № 117.

თანახმად სრულიად საქარ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის და საქარ. სოც. საბჭ. რესპ. სახკომისართა საბჭოს 1923 წლის 15 მარტ ს № 12 ცირკულიარისა ადმინგანის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. გიორგი არტემის-ძე ორლიანსმა თავისი გვარი გამოიცვალა ახალ გვარზე ბაქრაძეზე.

მმაჩის ბიუროს გამგე
3429 (ხელმოწერილია).

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

- — ცუშკოოპის წიგნაკი № 59471 ადამ ანდრონიკაშვილის სახელზე. 3423
- — პურის წიგნაკის ტალონი № 29 და პირადობის მოწმობა ვანო რაჭველაშვილის სახელზე. 3424
- — განათლ. კავშირის წიგნაკი № 28315, მუშკოოპის წიგნაკი № 61288, სტეპენდიანტობის წიგნაკი № 86 და პირადობის მოწმობა № 2051 არჩილ კონსტანტინეს ძე გვარამაძეს სახელზე. 3425
- — საწევრო წიგნაკი № 31686 გაცემული ქუთ. განათლ. კავშირის მიერ, იულია გერასიმეს ასული ბოჭორიშვილის სახელზე. ნ. 3247
- — საბინაო დავთარი გაცემული ქუთაისის სამისამართო ბიუროს მიერ ზებულო ცხვირაშვილის სახელზე. ნ. 3247
- — პურის წიგნაკი (2 სულის) ბესარიონ მოსიძეს სახელზე. ნ. 3247
- — კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 446 ივანე ყორყოლიანის სახელზე. ნ. 3247
- — მუშკოოპის წიგნაკი № 337 ვალიკო ჯანგავაძეს სახელზე. ნ. 3247
- — კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 8884 სიმონ გაბრიელის-ძე ქუციაშვილის სახელზე. 3247
- — ზურგის ლაშქარში სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი ფ. № 10, აპოლონ მოსეს-ძე ტყეშელაშვილის სახელზე. ნ. 3247
- — კოოპერატივის წიგნაკი № 946 ნიკოლოზ პატარაიას სახელზე. 3431
- — სამხედრო საალრიცხვო ბარათი არტემ სტეფანეს-ძე სირანიშვილის სახელზე. 3430
- — 7 აქცია ღირებული 350 მან., გაცემული ბათომის კომუნალურ ბანკის მიერ გორაზეინდარის საკრედიტო ამხანაგობას. 3431
- — პირადობის მოწმობა № ჩ/3. რკინის გზის სასურსათო ბილეთი და ბილეთ-ბარათი ნიკოლოზ იოსების-ძე ჩხეიძეს სახელზე. 3431

ტირაჟი—42.979
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამოს ქუჩ. № 68.
მთავლიტი № 904